პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 თებერვალი სამშაბათი 2012

№ 036 (13 642) ფასი 80 თეთრი



12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევერკუზენში არც ოცნებობენ!

## ბარსასთან ბაიერის ერთადერთი იარაღი თოვლი და წვიმაა



9

ბარსელონას გერმანია ცივად დახვდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჯგუფური ეტაპის მთავარ სენსაციას ლიონში გამოცდიან

დღეს ჩემპიონთა ლიგა განახლდება

# აღიარება

## თორნიკე შენგელია ევროპის საუკეთესო ახალგაზრდაა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



3



## ზუგდიდის ბაიაში გაზრდილმა აფრიკის თასი მოიგო

## უკანასკნელ საათს

შოტლანდიის 54-გზის ჩემპიონი „რეინჯერსი“ მალე გაკოტრებასთან დაკავშირებულ ყველა იურიდიულ პროცედურას გაივლის, რომლის დასრულების შემდეგ უცნობია, გააგრძელებს თუ არა გლაზგოური კლუბი არსებობას. კლუბის ვალმა 50 მილიონ ფუნტს მიაღწია, რომლის გადახდაც „რეინჯერსს“ არ შეუძლია. გაკოტრებასთან ერთად, კლუბს 10 ქულას ჩამოაკლებენ.

■ ■ ■

თურქეთში დღეს იწყება გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალური სასამართლო პროცესი, რომელშიც სულ ასამდე ბრალდებულია, მათ შორის „ფენერბაჰჩეს“ ბოსი **აზიზ ილდირიმი**. უკვე ცნობილია, რომ პროკურორი ილდირიმის სასჯელის ალკვეთის ზომად 147-წლიან პატიმრობას მოითხოვს.

■ ■ ■

წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი **მარკო ვან ბასტენი** ჰოლანდიური ერედივიზიეს „ჰეერენვეენის“ თავკაცად დაინიშნება, ოღონდ ეს სეზონის დასრულების მერე მოხდება. ჩემპიონატს ძველი მწვრთნელი **რონ იანსი** ჩაამთავრებს.

■ ■ ■

ლისაბონის „სპორტინგის“ ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა 43 წლის მწვრთნელი **დომინგუშ პასიენსია** და **რიკარდუ სა პინტუ** დანიშნა, რომელთანაც კონტრაქტი 2013 წლის ივნისამდე გააფორმეს. 39 წლის სა პინტუ „სპორტინგის“ და პორტუგალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია. ის აქამდე კლუბის ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელო

მიმდინარეობს გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად

16

ქართული ფეხბურთი

სიტუაცია

# ფუტსალს ფედერაცია მიხედავს

## რატომ დაუშვა ფედერაციამ გამონაკლისი?

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა გაიმართა. ცნობილია, რომ მცირე ხნის წინ ახალგაზრდული ნაკრები **ალექსანდრე ჩივაძეს** ჩააბარეს, 19-წლამდელები - **კახა კაჭარავას**, 17-წლამდელები კი – **ნოდარ აკობიას**. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** საჭიროდ ჩათვალა, ალმასკომის წევრებისთვის აეხსნა, რა მოტივით დანიშნა თითოეული მათგანი: რადგან ყველა ნაკრების კოორდინატორი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაიაა**, წარდგენილი კანდიდატურების დანიშვნის ინიციატივაც მას ეკუთვნოდაო.



ალმასკომის წევრებმა ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები დაამტკიცეს, ჩივაძის სამწვრთნელო საქმიანობაში დაბრუნებით კი კმაყოფილება გამოთქვეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან გადამდგარმა **ვახტანგ ქორიძემ** ალმასკომში ადგილის შენარჩუნება ითაკილა: მისი აზრით, უპრიანი იქნება, აჭარის ფეხბურთში აქტიურად ჩართული პირი თუ შეცვლიდა - ქორიძის თხოვნა დააკმაყოფილეს.

ცნობილია, რომ ქართულ ფუტსალში არსებულ დაპირისპირებაში მედიატორობა სიჭინავამ იკისრა. ასოციაციის გამგეობის წევრები რიგგარეშე ყრილობის ჩატარებასა და პრეზიდენტის პოსტიდან **გიზო ფხოველიშვილის** გადაყენებას აპირებენ. ამას დაემატა ფუტსალის ჩემპიონატის პირველი ტურის ჩაშლაც - გამგეობის წევრთა გადაწყვეტილებით, გუნდებისთვის დაგზავნილი რეგლამენტით ტურნირის ჩატარება გაუმართლებელი იქნებოდა, ჩემპიონატი კი - არალეგიტიმური.

ჯერ კიდევ სექტემბერში დასაწყები ჩემპიონატი თებერვალშიც ვერ დაიწყო. ცხადი გახდა, რომ დაპირისპირების გამო, ჩემპიონატს ჩაშლა ემუქრებოდა. ამის გამო, ფუტსალის ასოციაციის ნაცვლად, მისი ჩატარება საკუთარ თავზე ფეხბურთის ფედერაციამ აიღო. უახლოეს დღეებში გაირკვევა ჩემპიონატის გამართვის ვადები და კალენდარი, შეიცვლება რეგლამენტი.

გარდა ამისა, სიჭინავამ ამ სახეობის განვითარებისთვის რეგიონულ ფედერაციებს ფუტსალის თითო კლუბის ჩამოყალიბება დაავალა, სავარაუდოდ, ჩემპიონატის ტურები რეგიონებშიც გაიმართება, თუმცა სად, ეს უცნობია, რადგან სტანდარტული დარბაზი ცოტაა, მით უფრო რეგიონებში; მაგრამ, მთავარია, საქმე დაიძრას და მერე რამენაირად ეშველება.

ალმასკომმა წყალტუბოს საკრებულოს თხოვნა გაითვალისწინა და საფეხბურთო კლუბ "სამგურალს" იურიდიული ფორმის შეცვლის უფლება დართო, პირველ ლიგაში კი შპს "სამგურალი 2009"-ს ნაცვლად, აიპ "სამგურალი" იასპარეზებს, ანუ სამართლებრივად სხვა კლუბი.

სოხუმის "აეტის" თავკაცების თხოვნაზეც გუშინ მოგახსენეთ: ჩემპიონატის დებულებით, კლუბმა განაცხადში 30-ზე მეტი ფეხბურთელი თუ შეიყვანა, თითოეულ ახალზე 300 ლარი უნდა გადაიხადოს. "აეტის" თავკაცებს განაცხადში ისედაც 36 ფეხბურთელი ჰყავდათ, ახლა კი 10-დან 15-მდე მოთამაშის დამატებას აპირებდნენ, მაგრამ ამხელა ხარჯს ველარ სწვდებოდნენ და ფედერაციას გადასახადისგან გათავისუფლება სთხოვეს.

ალმასკომის წევრებმა "აეტისთვის" გამონაკლისი დაუშვეს, მაგრამ ისიც ითქვა, რომ მომავალში ასეთ გულმოწყალებას ალარ გამოიჩენენ. ჩვენი მხრივ ვიტყვით, რომ გამონაკლისებიც დაუშვებელი უნდა იყოს და უკეთესი იქნება, თუ ეს გადასახადი გაუქმდება. ასეთ შემთხვევაში გუნდებს მეტი მოთამაშის დამატებისა და გაზრდის საშუალება მიეცემათ.

**მერაბ მამულაშვილი**

უმაღლესი ლიგა

# ყველა მატჩი 19 თებერვალს

თოვლიან დიდთოვლობამ ეროვნული ჩემპიონატის კალენდარში კორექტივები კიდევ არ შეიტანა, უმაღლესი ლიგა 19 თებერვალს განახლდება. კალენდრის მიხედვით, მე-20 ტური 18 თებერვალს უნდა გახსნილიყო "გაგრასა" და "ზესტაფონის" მატჩით, თუმცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრებო კომიტეტმა "მერანის" სტადიონის წესრიგში მოსაყვანად "გაგრას" ერთი დღე დაუმატა და ყველა შეხვედრა 19 თებერვალს გაიმართება.

ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან:

გაგრა-ზესტაფონი
კოლხეთი-ვიტ ჯორჯია
სპარტაკი-ტორპედო
ბაია-დილა
მეტალურგი-დინამო
სიონი-მერანი

ჩემპიონატის განახლებამდე "ლელო" საქართველოს სტადიონებზე არსებულ მეტეოროლოგიურ პირობებზე მოგაწვდით ინფორმაციას. იმედია, 19-ში ყველა მატჩი შეუფერხებლად გაიმართება და არც შემდგომ ტურებში შეიქმნება რაიმე დაბრკოლება.

უმაღლესი ლიგის განახლების გადადების გამო კლუბებმა საკუთარ გრაფიკში თითო საკონტროლო მატჩი კიდევ შეიტანეს. დღეს ქუთაისში "ტორპედო" ფოთის "კოლხეთს" უმასპინძლებს, ზუგდიდში კი "ბაია" მარტვილის "მერანს" მიიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



იმედია, ბუნება კალენდარში კორექტივებს ალარ შეიტანს

ლეგიონერი



# გიორგი განუგრავას ბუნდოვანი მომავალი

**23 წლის ფეხბურთელს კონტრაქტი უნგრულ „დიორ ეტოსთან" 2013 წლამდე აკავშირებს, თუმცა ის კლუბმა შეკრებაზე არ წაიყვანა. განუგრავა ერთი სეზონი „ლომბარდ პაპაში", ლაშა თოთაძესთან ერთად იყო განათხოვრებული, სადაც ფეხბურთელებს დარჩენა სურდათ. თოთაძემ მომავალი გორის „დილას" დაუკავშირა, განუგრავას მომავალი კი ამ დრომდე ბუნდოვანია. რატომ ვერ შეთანხმდა გორელებთან ფეხბურთელი და რატომ ვარჯიშობს „დიორის" დუბლებთან - „ლელო" განუგრავას უნგრეთში დაუკავშირდა:**

**- ჩვენი პირველი ინტერვიუს დროს, მითხარი, რომ „პაპაში" თავს ნამდვილ ფეხბურთელად გრძნობდი და სიამოვნებით გააახანგრძლივებდი იჯარას. იქ რატომ არ დარჩი?**

- „პაპაში" თავს მართლაც კარგად ვგრძნობდი, ხშირად მეძლეოდა თავის გამოჩენის საშუალება და ვფიქრობდი, დავრჩებოდი. ფინანსური პრობლემების გამო, მათ არაერთი საჭირო ფეხბურთელი დაკარგეს. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. კლუბს ჩემი ვალი დღემდე აქვს, ამის გამო, ალარ ღირდა დარჩენა.

**- თოთაძესთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია. შენზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დიორის" ფეხბურთელი ალარ ხარ. რა ხდება სინამდვილეში?**

- დღემდე გაურკვევლობაში ვარ, თითქოს შევთანხმდით, რომ კარიერა ისევ „ეტოში" უნდა გამეგრძელებინა, გუნდთან ერთად ბოლომდე ვვარჯიშობდი, თუმცა შეკრებაზე წამსვლელთა სიაში ჩემი გვარი არ ალმოჩნდა.

**- გამოდის, რომ გუნდს არ სჭირდები და თანაც ხელს გიშლის, რომ სხვაგან ნახვიდე?**

- ასე გამოვიდა, რადგან შეკრებაზე არ წამიყვანეს. კონტრაქტი კიდევ წელიწად-ნახევარი მაქვს და „ეტოს" ფეხბურთელი ვარ. გული მწყდება, რომ აქ თავის გამოჩენის შესაძლებლობას არ მაძლევენ. სხვა გუნდში კარიერის გაგრძელება უკვე რთულია, რადგან ბევრგან სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და გუნდებიც დაკომპლექტდა.

**- რა გიქმნის პრობლემას „დიორში"?**

- მთავარი მიზეზი მწვრთნელია. რაც ის მოვიდა გუნდში, ერთი შეხვედრაც კი არ მითამაშია. აშკარად ამოჩემებული ვყავარ. სეზონის წინ, სანამ „პაპადან" დავბრუნდებოდი, აქაურობის დატოვება მინდოდა, თუმცა მასთან საუბრის შემდეგ, იმედი მომეცა. მითხრა, გუნდში დავრჩენილიყავი და შანსი აუცილებლად მომეცემოდა, რაც ტყუილი ალმოჩნდა. როგორც გითხარით, შეკრებაზე არ წამიყვანეს.

**- თუკი მწვრთნელს არ სჭირდები, მაშინ რატომ არ გიშვებს?**

- მწვრთნელის საქციელზე პასუხის გაცემა არ შემიძლია.

**- საქართველოდან შემოთავაზებები გქონდა, შენით „დილა" და „ტორპედო" იყვნენ დაინტერესებული. რაზე ვერ შეთანხმდით?**

- საქართველოდან შემოთავაზებები ნამდვილად იყო, გადაწყვეტილებების მიღება არ ვიჩქარე. ყველაზე რეალური გორის „დილა" იყო, თუმცა ტრანსფერის ჩაშლა ნაწილობრივ ჩემი ბრალიცაა. ახლა კი, როგორც ვიცი, „დილა" უკვე დაკომპლექტებულია და წარმატებას ვუსურვებ მათ.

**- „დიორის" დუბლებში შენი სურვილით ვარჯიშობ?**

- პირველი გუნდის დამხმარე მწვრთნელი დუბლების მთავარ მწვრთნელად გადაიყვანეს და მისი თხოვნით, რამდენიმე დღეა მათთან ვვარჯიშობ, თუმცა მხოლოდ დუბლების ვარჯიშებით არ ვკმაყოფილდები. კლუბთან კონტრაქტი არ გამიწყვეტია, ახლა დაზუსტებით არაფრის თქმა არ შემიძლია, შეკრებიდან გუნდი უახლოეს დღეებში დაბრუნდება და გაირკვევა ყველაფერი.

**- თუკი შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ გეტყვიან, რომ მათთან ალარ დარჩები, რას აპირებ?**

- არ შემიძლია ამაზე პასუხის გაცემა.

**- თუკი უგუნდოდ დარჩები, ან დუბლებში ივარჯიშებ - ეს ხომ შენთვის წამგებიანი იქნება, თანაც თემურ ქეცბაიამ ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში ნაკრებში გამოგიძახა. თუკი სათამაშო პრაქტიკა არ გექნება, ნაკრებში თამაშის შანსსაც ხომ კარგავ?**

- ჩემთვის მთავარი ნაკრებია. ყველაზე მეტად ამაზე მწყდება გული. ცხოვრებაში ბევრი ისეთი სიტუაცია შემქმნია, მზად რომ არ ვყოფილვარ: რალაც გადაწყვეტილებებში მეც შევცდი, თუმცა ამით ცხოვრება არ მთავრდება, ბევრი პრობლემა მომიგვარებია და ამასაც როგორმე გადავლახავ.

**მაგდა კლდიაშვილი**

მწვრთნელი

# გაბელიას ბელარუსი ინფლაციამ ჩაუშალა

მცირე ხნის წინ ვწერდით, რომ ქართველმა ნახევარმცველმა **ზაზა ჭელიძემ** ბელარუსული ბრესტის "დინამო" ფინანსური პრობლემების გამო დატოვა.

ბელარუსში ინფლაციამ დიდი მასშტაბი მიიღო, რამაც გეგმები **ოთარ გაბელიასაც** ჩაუშალა. შევიტყვეთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ დამრიგებელს ბელარუსის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი კლუბის მთავარი მწვრთნელად იწვევდნენ. თუმცა, მოლაპარაკების დაწყებას ბელარუსში ინფლაციის მეორე ტალღა დაემთხვა, რამაც დაინტერესებული კლუბი დააფრთხო, შეპირებული პირობით კონტრაქტის გაფორმებაც ვერ მოხერხდა და მოლაპარაკებაც ჩაიშალა.

ასე და ამგვარად, გაბელია კვლავაც უმუშევარია; უცნაური კი ის არის, რომ ბელარუსებმა გაიხსენეს, საქართველოში კი რატომლაც დაივიწყეს.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



ბოლნისის „სიონმა" მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი ცხრილის ფსკერზე ჩაამთავრა, არადა „სიონი" უბრალო კლუბი არ არის, ერთხელ საქართველოს ჩემპიონიც კი გახდა და რაც მთავარია, ბოლნისში განსაკუთრებულად უყვართ ფეხბურთი და საკუთარი გუნდი.

„სიონის" გასაჭირი უსახსრობით იყო გამოწვეული, ახლა კი კლუბს დაფინანსება გამოუჩნდა და შესაბამისად იმის შანსიც, რომ უმაღლესი ლიგიდან არ გავარდეს. კლუბი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებს სახსრებს.

სეზონის დაწყების წინ გუნდს ხვიჩა ქასრაშვილი თავკაცობდა, თუმცა როცა გაირკვა, რომ გუნდი ფაქტობრივად უპატრონოდ იყო დარჩენილი, ქასრაშვილის და „სიონის" გზები გაიყარა. საშუასეზონო პერიოდში კი ეს სპეციალისტი ერთხელაც მიიწვიეს „სიონში" და გუნდიც სეზონის განახლებისთვის ქასრაშვილმა მოამზადა.

# ხვიჩა ქასრაშვილი: უკვე ბოლნისელი ვარ

**- რამდენად კმაყოფილი ხართ მოსამზადებელი პერიოდით?**

- უკეთესადაც შეიძლებოდა მომზადება, უამინდობას რომ არ შეეშალა ხელი. თბილისში ათდღიანი შეკრება გავიარეთ, სასტუმრო „ბატესტაში" ვიყავით და 35-ე სკოლის მოედანზე, „მარაკანაზე" ვვარჯიშობდით დღეში ორჯერ. ვითამაშეთ ექვსი საკონტროლო მატჩი, ორჯერ „მერანთან", ერთხელ „სპარტაკთან", ორჯერ პირველი ლიგის „ზოოვეტთან" და ერთხელაც „ნორჩი დინამოელთან". საერთო ჯამში, ურიგოდ მომზადებულები ნამდვილად არ ვართ.

**- „სიონიდან" არაერთი ფეხბურთელი წავიდა პირველი ეტაპის შემდეგ, მათ შორის ორმა ქუთაისის „ტორპედოს" მიაშურა, თუმცა გიორგი რეხვიაშვილმა და გიორგი ქუცურუამ იქ ფეხი ვერ მოიკიდეს...**

- რეხვიაშვილი უკვე დაბრუნდა „სიონში", რაც შეეხება ქუცურუას, მისი საკითხი მალევე გაირკვევა, სავარაუდოდ, ისიც ჩვენთან ითამაშებს.

**- „სიონის" ახალწვეულებზე რას გვეტყოდით?**

- ჩიკვილაძე და დავით ბოლქვაძე „ტორპედოდან" დავიმატეთ და ისინი უდავოდ გააძლიერებენ „სიონს". რა თქმა უნდა, სხვა ახალწვეულებისაც დიდად გვეიმედება: „დილადან" მეტრეველი, გველესიანი და ჯოჯუა მოვიდნენ, „ზესტაფონიდან" ვინათხოვრეთ ჭანკოტაძე და ლომია, „სიონშია" გამოცდილი ქემოკლიძეც, რომელსაც თითქმის ნახევარი წელი არ უთამაშია. ვფიქრობ, ჩვენ ხელთ არსებული კონტინგენტით მიზნის მიღწევა შესაძლებელია.

**- კონტინგენტის გაძლიერება კი მყარი ბიუჯეტითაა შესაძლებელი...**

- მასეა, გვითხრეს, რომ მაისის ბოლომდე სტაბილური დაფინანსება გვექნება.

**- სეზონის მერე ამ მხრივ რა ვითარება იქნება?**

- ვერ გეტყვით, ვნახოთ...

**- „სიონის" ამოცანა კი უმაღლეს ლიგაში დარჩენა უნდა იყოს...**

- ყველა დარჩენილი თამაშიც რომ მოვიგოთ, რვა საუკეთესო გუნდში მაინც ვერ მოვხვდებით. მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**- ქვედა რვა გუნდში პირველლიგელებიც იქნებიან. კარგად იცნობთ სავარაუდო მეტოქეებს?**

- „გურიას" და „ჩიხურას" მეტ-ნაკლებად ვიცნობ, დანარჩენებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაც ჩვენთვის რეალურია, თუმცა ამ ამოცანის შესრულება ადვილი ნამდვილად არ იქნება.

**- შეკრება, კონტინგენტის გაძლიერება და დაფინანსება - არის კიდევ ერთი ფაქტორი, რაც წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია...**

- რა თქმა უნდა, გულშემატკივრის ფაქტორი ძალიან ბევრს ნიშნავს. ბოლო დროს „სიონის" საშინაო მატჩებზე ბევრი ქომაგი არ დადიოდა, მაგრამ ამის გამოსწორება შესაძლებელია - გუნდი წარმატებულად რომ ათამაშდება, გულშემატკივართა რაოდენობაც გაიზრდება.

**- მერამდენედ დაინიშნეთ „სიონის" მთავარ მწვრთნელად?**

- მეხუთედ და შეიძლება ითქვას, რომ უკვე ბოლნისელი ვარ. მწვრთნელი ვარ და სადაც მიმიწვევენ, იქ მივდივარ, ასეთია ჩვენი პროფესია.

**- "სიონის" კაპიტანი ვინ იქნება?**

- ამ საკითხს მწვრთნელი წყვეტს და ვფიქრობ, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ გუნდის კაპიტანი შეიცვალოს – სამკლავური დავით სვანიძეს დარჩება.

**- ფაქტია, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო დროს ბევრი სენსაცია ხდება, შედეგის პროგნოზირება უფრო ძნელი გახდა. როგორ აჭყობთ, "სიონს" შეუძლია სიურპრიზების შემოთავაზება?**

- წინასწარ თქმა არ მიყვარს, თუმცა სიურპრიზები ალბათ იქნება. ჩვენ უკვე შეგვწევს იმის ძალა, რომ ყველა თამაშზე მოსაგებად გავიდეთ, ასე იქნება 19 თებერვალს მარტვილის "მერანთანაც".

**- სეზონი რომ განახლდება, სად ივარჯიშებს "სიონი"?**

- ახლა ბოლნისშიც თოვლია და ჯერჯერობით თბილისში ვემზადებით. გვინდა, რომ სეზონის განახლებისთანავე ბოლნისში ვივარჯიშოთ, იქ მოედანს კარგად უვლიან და იმედია, ხელს არაფერი შეგვიშლის. ყველა გვერდში გვიდგას და უმაღლეს ლიგაში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ.

**დავით თავართქილაძე**

სამზადისი

# ჩივაძე სპარტაკს დაუბრუნდა

## მეტალურგში ჩეხი მეკარე ისინჯება

ჩემპიონატის პირველი ტურის ჩაშლის გამო, რუსთავის "მეტალურგი" ცხინვალის "სპარტაკს" ამხანაგურად შეხვდა და 1:1 ითამაშა.

**1:0 ტატანაშვილი (42. ჯაფარიძის პასით), 1:1 გაბაშვილი (57. შონიას პასით)**

"მეტალურგი": ბედიაშვილი, ჯაფარიძე, გ. კვარაცხელია, სეთურიძე, მახვილაძე, ი. მაისურაძე, ქავთარაძე, რაზმაძე, დობროვოლსკი, ტატანაშვილი, სიხარულიძე.

შეცვლაზე: კურუ, ს. თოდუა, გავაშელიშვილი, თექთურმანიძე, ჭედია, გენაძე, ოთარიშვილი, ხოხონიშვილი, ექვთიმიშვილი.

"სპარტაკი": ნადირაძე, ქაფიძე, ლომაია, ორბელაძე, ნ. მაისურაძე, ჩივაძე, შარაშენიძე, ვ. კილასონია, თ. შონია, სამხარაძე, ლ. მელქაძე.

შეცვლაზე: ტეტუნაშვილი, ჩაფიძე, მიქაძე, გაბაშვილი, მ. ჯიშკარიანი.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველთა რიგებში მეორე ტაიმში წარმოშობით ჩეხმა მეკარე **ბერტი კურუმ** ითამაშა, რომელიც ავსტრიის მოქალაქეა. ის გასინჯვაზეა, მაგრამ გუნდს თურქეთში არ ახლდა.

ცხინვალის "სპარტაკის" პრეს-სამსახურის ცნობით, გუნდში დაბრუნდა **გიორგი ჩივაძე**, რომელსაც ტრავმისა და სარეაბილიტაციო კურსის გამო, წელიწადზე მეტი არ უთამაშია. ის იანვარში თბილისის "დინამოსთან" ერთად ესპანეთში ემზადებოდა. ჩივაძე "სპარტაკში" ემზადება და მისი საკითხი წესით ამ დღეებში უნდა გადაწყდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# გვაზავა მოედანს უბრუნდება

თურქულ შეკრებაზე მყოფი ნალჩიკის "სპარტაკი" რუსეთის პრემიერლიგის განახლებისთვის ემზადება.

გუნდში უკვე სამი ქართველი ვარჯიშობს, რაზეც "ლელო" უკვე წერდა – **დავით სირაძესა** და **გუჯა რუხაიას** გროზნოს "ტერეკის" ყოფილი ნახევარმცველი **ლევან გვაზავა** შეუერთდა. პირველმა ორმა ლამის ყველა საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, გვაზავა კი მოედანზე ჯერ არ გამოჩენილა.

"სპორტ-ექსპრესის" ცნობით, ლევანი ფორმის აღდგენას ცდილობდა და სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში დაგეგმილ მატჩებში გამოჩნდება – ხვალ "სპარტაკი" სერბულ ოფკ-ს შეხვდება, 17 თებერვალს კი ბელარუსულ "შახტიორს".

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან გვაზავა

# კრამარენკო ქართველებსა და სხვებზე

აზერბაიჯანის ნაკრების ყოფილი მეკარე, 37 წლის **დმიტრი კრამარენკო** ნლეულს **კახა ცხადაძის** "ინტერიდან" ზაქათალას "სიმურგში" გადავიდა.

ცნობილ რუსულ კლუბებში ნათამაშები კრამარენკო (მოსკოვის "დინამო", ცსკა, "ალანია", "ტორპედო", "ტერეკი") "აზერისპორტს" ელაპარაკა და უკმაყოფილება გამოთქვა აზერბაიჯანში არაკვალიფიციური ლეგიონერების მიწვევით. სწორედ ამ ინტერვიუში შეაქო რამდენიმე ქართველი.

*"ბოლო რვა წელიწადში ჩვენთან ბევრმა ლეგიონერმა ითამაშა, მაგრამ მათ შორის ბევრს ვერ გამოვარჩევ. არადა, პირველი ექვსეულის გუნდებს საკმაოდ დიდი ფული აქვთ. თითებზე შემიძლია ჩამოვთვალო ისინი, ვინც თავი დაგვამახსოვრა – ადამია, ლომაია, აბრამიძე, ბამბა, მიჩოვიჩი, დორომშევი, ჟუტაუტასი. ლირსეულებიდან ერთი გუნდიც ვერ დაკომპლექტდება"* – ამბობს კრამარენკო.

**მერაბ მამულაშვილი**



დმიტრი კრამარენკო

სადაურსა სად წაიყვან...



ერთ დროს ზუგდიდში მოთამაშე ჩისამბა ლუნგუ დღეს აფრიკის თასის გამარჯვებულია

# ჩისამბა ლუნგუს ქართული მოგონებები

## საქართველოს მოქალაქის ტრიუმფი შავ კონტინენტზე

დაგვეთანხმებით, აფრიკის თასი საკმაოდ წონადი ტიტულია და მისი მოპოვება ბევრი ძლიერი ნაკრებისა და კაშკაშა ვარსკვლავისთვის დარჩა ოცნებად. ზამბიელებმა კი, რომლებსაც ფავორიტთა შორის არავინ მოიხსენიებდა, ტურნირზე ნამდვილი ფურორი მოახდინეს და ჩემპიონობა იზეიმეს.

**ჩისამბა ლუნგუს** ნიჭიერებაში ეჭვი არასდროს გვეპარებოდა და ისიც ლოგიკურია, რომ თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრდა, აი, თანამემამულეებთან ერთად ამდენს თუ მიაღწევდა, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. ახლა უკვე ნათელია, რომ 21 წლის უნივერსალს რუსეთის რანგით მეორე ლიგაში აღარავინ გააჩერებს და დიდი ალბათობით, ჩისამბა ძალიან მალე კარიერას ან რუსულ პრემიერლიგაში, ანაც რომელიმე ძლიერ ევროპულ ჩემპიონატში გააგრძელებს. ამით კი, სამწუხაროდ, "ბაია" და ქართული ფეხბურთი უკვე ველარაფერს მოიგებს.

იმედია, ეს მაგალითი სკეპტიკოსებს საბოლოოდ დაარწმუნებს იმაში, რომ ქართულმა კლუბებმა აფრიკულ სატრანსფერო ბაზარზე უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, ამით ბიუჯეტსაც შეივსებენ და ქართულ ფეხბურთსაც არგებენ. ვფიქრობთ, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ მაღალი კლასის უცხოელთა ნატურალიზაციაზე და საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარი ვთქვათ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ნაკრები რაიმე საზომით შეედრება ზამბიის ნაკრებს, სადაც ჩისამბა ერთ-ერთი გამორჩეულია, მას ნამდვილად არ უნახავს აფრიკის თასი, სადაც ზამბიელებმა კოტდივუარს, განასა და სხვა ძლიერ გუნდებს ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთით დამსახურებულად აჯობეს.

ჩისამბას ქართული ისტორიის გახსენება "ბაიას" მწვრთნელ **ელგუჯა ქომეთიანს** ვთხოვეთ:

*"2009 წელს "ბაიაში" გასასინჯად ათამდე ზამბიელი ფეხბურთელი ჩამოიყვანეს და მათ შორის ჩისამბა აშკარად გამორჩეული იყო. თბილად მივიღეთ, ზუგდიდსა და საქართველოს უცებ გაუშინაურდა და მეგრულ-ქართული ლაპარაკიც ისწავლა. როცა მიდიოდა, თბილი და ცრემლიანი გაცილება მოვუწყვეთ. ჩვენთან ურთიერთობას სოციალური ქსელების მეშვეობით დღემდე ინარჩუნებს. მწვრთნელებს, ფეხბურთელებსა და ზუგდიდის მოსახლეობას ძალიან გვიყვარდა და იგიც იმავე გრძნობით გვპასუხობდა.*

*აფრიკის თასის ფინალს კი თითქმის მთელმა ზუგდიდმა უყურა და მატჩის შემდეგ სახელდახელო ზეიმიც მოვაწყვეთ. ჩისამბა შესანიშნავი ფეხბურთელი და ადამიანია და კარიერასა და ცხოვრებაში ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.*

*მერწმუნეთ, ეს მისი აღიარების მხოლოდ დასაწყისია, მთავარი მიღწევები მას წინ აქვს. ასეთი უნივერსალური ფეხბურთელი თითქმის არ შემხვედრია. მეკარის გარდა, მას აბსოლუტურად ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში".*

ქომეთიანისგან ერთი საინტერესო ამბავიც შევიტყვეთ – მცველი **სტოფირა სუნზუ**, რომელმაც ფინალში გადამწყვეტი პენალტი გაიტანა, 2009 წელს "ბაიაში" ვარჯიშობდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და ზუგდიდში ველარ დარჩა.

თუკი საქართველოში ჩისამბას ნიჭი არ გამოჰპარვიათ და "ბაიამ" მის ზრდაში გარკვეული წვლილი შეიტანა, მას ძალიან ცუდი ამბები გადახდა მეზობელ სომხეთში, სადაც დამკვიდრებას აქ ჩამოსვლამდე ცდილობდა.

მან სინჯებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა "პიუნიკის" სამწვრთნელო შტაბზე და თითქოს მისი დედაქალაქურ კლუბში ჩარიცხვა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევისას საკუთარ თავზე საინტერესო ამბები გაიგო – ერევნის ერთ-ერთი კლინიკის ექიმებმა უთხრეს, რომ გულზე სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ამის გამო ფეხბურთს ვერ ითამაშებდა. "პიუნიკმა" აფრიკელზე უარი თქვა. ჩისამბას მოსკოვში ურჩიეს გამოკვლევებზე წასვლა.

ლუნგუ მოსკოვიდან ერევანში ორ კვირაში დაბრუნდა, ხელთ კი მოსკოვის კარდიოლოგიური კლინიკის მიერ გაცემული ცნობა ეპყრა, რომლის მიხედვითაც პროფესიული ფეხბურთის თამაშში ხელს არაფერი უშლიდა. მაგრამ "პიუნიკში" ეს არ დაიჯერეს და მის აყვანაზე კვლავ უარი თქვეს. ჩისამბამ ერევნის მეორე კლუბში, "ბანანცში" სცადა დამკვიდრება, მაგრამ ერთკვირიანი სინჯების შემდეგ იქიდანაც გაუშვეს.

ამის შემდეგ ზამბიელმა კაპანს მიაშურა, მაგრამ არც იქაურ "განძასარში" მიიღეს, რადგან "ავტორიტეტული" სომეხი ექიმების მცდარი დასკვნა მტკიცედ დაიჯერეს. ჩისამბას "ავადმყოფობის" ამბავი მთელ სომხეთში გავარდა და დედაქალაქურმა "მიკამ" და "ულისმა" საერთოდ სინჯების გარეშე თქვეს მის სამსახურზე უარი.

საბრალო ლუნგუს "პიუნიკმა" მხოლოდ ერთი თვის გასამრჯელო მისცა, რაც მას გზისა და კვების ფულადაც არ ჰყოფნიდა. მან ფორმის შესანარჩუნებლად რამდენიმეჯერ ივარჯიშა ქვედალიგელ "იმპულსსა" და ფუტზალის კლუბ "ტალ გრიგთან" ერთად. განამებულ ჩისამბას ლატაკ ზამბიაში დაბრუნებაც სანატრელი გაუხდა, როცა მშველელად "ბაია" გამოუჩნდა.

ბუნებრივია, ლუნგუს განვითარებაში წვლილი "ურალმაც" შეიტანა, მაგრამ რომ არა ზუგდიდელთა ნდობა, ჩისამბას საფეხბურთო კარიერა შეიძლება საერთოდ შეწყვეტილიყო. მისი წარმატება გვიხარია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ბიჭს საქართველოსთან პასპორტისა და ტკბილი მოგონებების გარდა აღარაფერი აკავშირებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტორპედო. შეხვედრა გულშემატკივრებთან

# გია გეგუჩაძე: ყველაფერი ჩემდა საზიანოდ გავაკეთე

## ასათიანი ტორპედოში ? შეუძლებელი არაფერია...

ქუთაისის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე და მისი ასისტენტები „ტორპედოს" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ქუთაისური გუნდის ერთგულ გულშემატკივრებს შეხვდნენ და მათთვის საინტერესო თემებზე გულახდილად ისაუბრეს. ქომაგებს გეგუჩაძის მიმართ არაერთი კითხვა ჰქონდათ დაგროვილი და მწვრთნელმა მათი ინტერესი ბოლომდე დააკმაყოფილა. გულშემატკივრების მხრიდან იყო თამამი და მწვავე კითხვებიც, თუმცა საერთო ჯამში მწვრთნელთან შეხვედრამ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. კითხვა-პასუხი დაახლოებით ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, ჩვენც ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

**- როგორც ვიცით, ანთალიაში არც თუ სახარბიელო სავარჯიშო პირობები დაგხვდათ. რა იყო ამის მიზეზი და საერთოდ, თურქეთში გავლილი შეკრებით რამდენად კმაყოფილი დარჩით?**

- საცხოვრებელი პირობები და კვება ძალიან კარგი იყო, მაგრამ მიმდინარე კონტრაქტი დაგვირღვია. სათანადო სპარინგები ვერ შეგვირჩია. უშუალოდ ადგილზე მოგვიხდა მოწინააღმდეგეების მოძიება. მოედნებიც არ იყო კარგ მდგომარეობაში. კლუბის ხელმძღვანელობას ვესაუბრე და მომავალ წელს მათთან ურთიერთობის გაგრძელებას აღარ ვაპირებთ. მთლიანობაში შეკრებით მაინც კმაყოფილი დავრჩი. იქ გამართულ ამხანაგურ მატჩებში ვნახეთ, რისი პრეტენზია უნდა გვქონდეს და რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ.

**- დაცვაც და ნახევარდაცვაც, ასე თუ ისე, დაბალანსებულია, შეტევაში კი ძალიან გვიჭირს. როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?**

- შეტევაში პრობლემები რომ გვაქვს, ამაში გეთანხმებით. კვალიფიციურ თავდამსხმელს ვეძებთ და თუ „ტორპედოსთვის" გამოსადეგი ფორვარდი გამოჩნდება, გუნდში აუცილებლად ჩავრიცხავთ. ვახტანგ კვარაცხელიას დიდი იმედი გვქონდა, მაგრამ როგორც იცით, ტრავმა მიიღო და ნელ-ნელა ვერ დაგვეხმარება. დიდი სიამოვნებით ვიყოლიებდი გუნდში ისეთ თავდამსხმელებს, რომლებიც სტაბილურად გაიტანენ. ახალგაზრდა ნიჭიერი ფორვარდი ფანცულაია ჯერ ასაკით პატარაა, მაგრამ სამომავლოდ მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ შეტევაში არ გვაქვს პრობლემები. გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ, ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს.

**- გუნდის ახალწვევებით თუ ხართ კმაყოფილი და მათგან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება ვინ დატოვა?**

- არ მინდა ვინმე გამოვარჩიო. ახალწვეულები გუნდს ნორმალურად შეეწყვნენ, თუმცა ზოგიერთთან გამომჟღავნებას მოგვიწევს. რეხვიაშვილთან ერთად ქუთაისურ ფეხბურთსაც დავემშვიდობეთ, რომელიც სამწუხაროდ ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ მის პოზიციაზე დოლიძე და ფეიქრიშვილი გვყავს და მათთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდებოდა. ხმაურიანი ტრანსფერები არ განგვიხორციელებია, თუმცა ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს ეტაპი „ზესტაფონშიც" გავიარეთ, ისე არ ხდება, რომ ერთ წელიწადში ყველა სასურველი ფეხბურთელი დაიმატო. ყველაფერს დრო სჭირდება. მაშინ შოთა გრიგალაშვილი არავის ახსოვდა, ჯაბა დვალი სად თამაშობდა, კაციშვილმა არ იცოდა, ზაალ ელიავას კი ფეხბურთისთვის თითქმის თავი ჰქონდა დანებებული. თუმცა, როგორ ათამაშდნენ ისინი „ზესტაფონში", კარგად მოგეხსენებათ. ახლა „ტორპედოში" მოვიყვანეთ ვალერი ბოლქვაძე, რომელიც ანალოგიურად ფეხბურთიდან თითქმის წასული იყო, მაგრამ მისი ნიჭი მახსოვს და მივიჩნევ, რომ ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია. თუ მოინდომებს, დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია.

**- რა გახდა გუნდიდან დავით კორკოტაძისა და ცოტნე ხარაბაძის წასვლის მიზეზი, მათთან ერთად „ტორპედო" ოთარ კვერნაძემაც დატოვა, რომელიც პერსპექტიულ ფორვარდად ითვლება. იმ დროს, როცა ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების ძიებაში ვართ, მათი გუნდიდან გაშვება რამდენად გამართლებულია?**

- კორკოტაძეს და ხარაბაძეს პირველ გუნდში თამაშის პერსპექტივა ჰქონდათ. დუბლიორებისთვის ისინი გადაზრდილები იყვნენ და იქ დარჩენას სხვაგან გადასვლა ამჯობინეს. ისინი ახლა საჩხერეში არიან და საფეხბურთო კარიერას იქ გააგრძელებენ. რაც შეეხება კვერნაძეს, მართლაც ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელია, მისი მოყვანა „ზესტაფონში" მუშაობის დროსაც მსურდა და ახლაც მინდოდა გუნდში ამეყვანა, მაგრამ კონტრაქტის ხანგრძლივობაში ვერ შევთანხმდით და ბედის საცდელად პოლონეთში გაემგზავრა.

**- თქვენი კონკურენტები ისეთი ფეხბურთელებით გაძლიერდნენ, რომლებსაც სანაკრებო გამოცდილება აქვთ. როგორ აპირებთ ამ გუნდებთან კონკურენციის გაწევას?**

- უპირველესად, ფეხბურთის თამაშით. გეთანხმებით, რომ „ზესტაფონი" და „დინამო" ძლიერი გუნდები არიან, „დილამ" ძალიან კარგი ტრანსფერები განახორციელა, მაგრამ ყველაფერი მოედანზე, კონკრეტულ მატჩში წყდება. ჩვენ ყველასთან საბრძოლველად მზად ვიქნებით.

**- „დინამოში", „ზესტაფონში" და უკვე „დილაშიც" ფეხბურთელებს გაცილებით მაღალი ანაზღაურება აქვთ, ვიდრე „ტორპედოში". ეჭვიანობთ თუ არა ამ ფაქტის გამო, სატრანსფერო თანხებშიც ხომ არ ხართ შეზღუდული?**

- ახლა ჩამოყალიბების პერიოდი გვიდგას. ამისთვის ორი გზა არსებობს - ან დიდი თანხები დავხარჯოთ და მხოლოდ დღევანდელ დღეზე ვიფიქროთ, ან ნელ-ნელა და სტაბილურად ჩამოვყალიბდეთ. შედეგი ვის არ უნდა?! ძალიან კარგი იქნება ევროთასებზე მოხვედრა და ევროპაში გასვლა, ასეთ შემთხვევაში ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება. მაგრამ ჩვენ თუ ამას ეტაპობრივად ვერ მივაღწევთ, მიწაზე მალევე დავენარცხებით. სჯობს, ნელ-ნელა მოვძლიერდეთ, საძირკველი ჩავყაროთ და დიდ წარმატებებზე თანდათან ვიფიქროთ.

**- ძალიან კარგია, რომ მომავალზე ფიქრობთ, მაგრამ წარმატებებს 5 წელიწადი ვერ დაველოდებით... წარუმატებლობის შემთხვევაში თუ აცნობიერებთ თქვენს პასუხისმგებლობას?**

- პასუხისმგებლობას არასდროს გავქცევივარ, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ბაზების გარეშე მოგებაც არ არსებობს და კარგი იქნება, თუ გულშემატკივრები ყოველთვის გვერდში დაგვიდგებიან. რეალობას არ უნდა მოვწყდეთ. გუნდი მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად ჯერ კარგად უნდა მომწიფდეს. მე პირადად ყველაფერი ჩემდა საზიანოდ გავაკეთე. კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელების შერჩევა მთხოვა, თუმცა, ვისი მოყვანაც მინდოდა, მათში ისეთი თანხა მოითხოვეს, რეალობისგან ძალიან შორს იყო. ისინი, რომ შეგვეძინა, აკადემია გვერდით დაგვრჩებოდა და ბავშვებსაც ველარ მივხედავდით. ამიტომ აქცენტი მომავალზე გავაკეთეთ. ხუთი წლის განმავლობაში შედეგს ნელ-ნელა გავიდეთ. ხოლო თუ ევროტურნირების საგზური მოვიპოვეთ, საჭიროებისამებრ გავძლიერდებით.

**- რამდენად შესაძლებელია, თუნდაც მომავალ სეზონში „ტორპედოში" მალხაზ ასათიანის გადმობირება?**

- შეუძლებელი არაფერია. კლუბის ხელმძღვანელობა მონადინებულია, რომ მან „ტორპედოში" ითამაშოს და თუ თავად ფეხბურთელის სურვილიც იქნება, გუნდში დიდი სიამოვნებით მივიღებთ. ასეთი დონის ფეხბურთელი ნებისმიერ გუნდს დაამშვენებს.

**- როგორ მზადყოფნაში ხვდება გუნდი ჩემპიონატს და ფეხბურთელებს ტრავმები ხომ არ აწუხებთ?**

- გამეზარდაშვილი ოჯახური პრობლემების გამო შეკრებაზე გვიან შემოგვიერთდა და მთლად სასურველ ფორმაში არ იმყოფება. კვაბაძეს, კუხიანიძეს და ტორკაშვილს ტრავმები ჰქონდათ და მოიშუშეს. დილმელაშვილს აქვს მიკროტრავმა, რომელიც პრობლემად არ მიმაჩნია და ის სრული დატვირთვით ვარჯიშობს. კვარაცხელიას მკურნალობა კი დასჭირდება.

**- „ტორპედოს" ერთ-ერთ ლიდერს დავით გამეზარდაშვილს მაისში კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და აპირებთ თუ არა მასთან ხელშეკრულების გაგრძელებას?**

- ამას წინათ მაქსიმე ქვილითაიასთან გავახანგრძლივეთ ხელშეკრულება. გამეზარდაშვილთანაც გვექნება საუბარი. ახალგაზრდებს ძირითადად 5-წლიან კონტრაქტებს ვუფორმებთ, რადგანაც მათი ჩამოყალიბება და გუნდის წინსვლა ერთდროულად უნდა მოხდეს. ასაკოვან და გამოცდილ ფეხბურთელებთან კი მოკლევადიან ხელშეკრულებებს ვაფორმებთ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან


მარცხნიდან: დავით ჯანელიძე (მეკარეების მწვრთნელი), გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი), ზურამ ასპინძელაშვილი (მწვრთნელი), რამაზ ჩხიკვაძე (პრეს ატაშე))

ჩვენები უცხოეთში


ლუკა ხომასურიძე

# ქართველი ელინთა პირველ ლიგაში

## ასეთ ვითარებაში მაინც დაბრუნებაზე ვფიქრობ

23 წლის ქართველი ნახევარმცველი **ლუკა ხომასურიძე** საბერძნეთის პირველლიგელ „ვიზასში" გადავიდა. ეს გუნდი 18-გუნდიან ტურნირში 14 ქულით მე-14 ადგილზეა.

"საბერძნეთის პირველლიგელ „ვიზასში" ახლახან ჩავირიცხე - კონტრაქტს ხელი სეზონის ბოლომდე მოვაწერე" - ამბობს ლუკა.

"ვიტ ჯორჯიას" აღზრდილი ხომასურიძე შემტევი ნახევარმცველია. მას საქართველოში კარგად არ იცნობენ და ამიტომ კარიერაზე მოვაყოლეთ: "ვიტ ჯორჯიას" დუბლებში ვირიცხებოდი და პირველ ლიგაში ვითამაშე, მაგრამ შანსი გამიჩნდა და 17 წლისა საბერძნეთში წავედი. 2006-2010 წლებში "ტრასივულოში" ვიყავი. გუნდი სუპერლიგაში (უმაღლესი ლიგა) თამაშობდა, მე კი დუბლებში მიწევდა გამოსვლა. პირველ გუნდში, მერე გადამიყვანეს, როდესაც უმაღლესიდან B ეთნიკში (მეორე ლიგა) გავვარდით. ახალ 5-წლიან კონტრაქტსაც მოვაწერე ხელი და თამაშის იმედი გამიჩნდა, მაგრამ უთამაშებლობის გამო შარშან ზამთარში ხელშეკრულება გავწყვიტე.

მაშინ რამდენიმე წინადადება მქონდა: ეთნიკის "ვერიადან", აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის კლუბიდან და კვიპროსული "აპოლონიდან", მაგრამ საბოლოოდ მეორე ლიგის "მანდრაიკოსში" გადავედი. იქ 25 მატჩში 16 გოლი გავიტანე. კარგი სეზონი იყო, მაგრამ გუნდი ფინანსური კრიზისის გამო დავტოვე".

საბერძნეთში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს და "ვიზასში" გადასვლის მიუხედავად, ხომასურიძე მაინც საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრობდა.

"როგორც გითხარით, აქედან 17 წლის წავედი და უმაღლეს ლიგაში არ მითამაშია. საქართველოში დაბრუნებაზე შარშან დავფიქრდი. მაგრამ ვარიანტი გამოჩნდა და ჩამოსვლა გადავიფიქრე. საბერძნეთის პირველ ლიგაში თამაში ურიგო არ არის, მაგრამ ახლა საბერძნეთში ფინანსური კრიზისია და აქ დარჩენა სარისკო გახდა. კონტრაქტიც სეზონის ბოლომდე ამიტომ გავაფორმე. საერთოდ, აღარ ღირს აქეთ გაჩერება და საქართველოში მინდა ძალები მოვსინჯო.

სხვათა შორის, ასე ფიქრობენ ის ქართველებიც, რომლებიც საბერძნეთის დაბალ ლიგებში თამაშობენ. ბევრთან ვმეგობრობ, მათ შორის ნიჭიერი ბიჭებიც არიან. აქ დაბალ ლიგაში თამაში უკვე დიდი წვალებაა. საბერძნეთი ისეთი მდიდარი აღარ არის, როგორც ადრე, როდესაც აქაურობას ყველა სიამოვნებით ეტანებოდა".

**მერაბ მამულაშვილი**

# საბერძნეთიდან ხონში

18 წლის **გუგა ხვიჩია** ხონის „იმერეთის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. 2007-09 წლებში „პანათინაიკოსის" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა, საიდანაც საბერძნეთის დაბალი ლიგის „გლიკანერაში" გადაიყვანეს, ექვსი თვე დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, შემდეგ კი - ძირითად გუნდში.

2010 წლის ზაფხულში საბერძნეთის 18-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პეტროს ციგულისმა** მიიწვია, 5 ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და ხუთივე ძირითადში: ორჯერ კვიპროსელ თანატოლებთან, სამჯერ ბერძნულ გუნდებთან. მაგრამ გვარის გადაკეთებაზე უარი თქვა და კლუბთან პრობლემები შეექმნა.

მერე „პანათინაიკოსისა" და აეკ-ის ახალგაზრდულ გუნდებში იწვევდნენ, მაგრამ მეორე ლიგის „არაის ვულას" მთავარ გუნდში თამაში ამჯობინა - დიდებთან პრაქტიკით ბევრად მეტ გამოცდილებას შევიძენო.

საბერძნეთის 18-წლამდელების მერე 19-წლამდელებში ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. ოფიციალურ მატჩებშიც სურდათ მისი გამოძახება, მაგრამ გვარის შეუცვლელად ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა.

ხვიჩიას საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსი ორი წლის წინ ჰქონდა, ამბობს, რომ მისით 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** დაინტერესდა და დაუკავშირდა, მაგრამ სეზონის მიმდინარეობისას ბერძნებმა დროულად არ გამოუშვეს და შეკრებაზე დაგვიანებით გამოცხადდა.

ახლა საბერძნეთში ეკონომიკური კრიზისია, საფეხბურთო კლუბების საქმეებიც აირია, ხვიჩიამ ნორმალური კლუბი ვერ მონახა და საქართველოში დაბრუნდა.

"რატომ წამოვედი? საბერძნეთში ჩემი გუნდი დაიშალა, სხვაგანაც გაუგებარი ვითარებაა, არ იცი, სად მოგცემენ ხელფასს და სად არა. მე საბერძნეთის მოქალაქე არ ვარ და ასეთ გაურკვევლობაში ცხოვრება შეუძლებელი იყო. ტყუილად თამაშს კი რა აზრი ჰქონდა? იანვრიდან პირველი ლიგის ხონის "იმერეთში" ვვარჯიშობ. სხვაგან მისვლა არც მიცდია, მაისამდე ცოტა დრო დარჩა და აქეთ-იქით სირბილსა და გასინჯვებს ჩემს ქალაქში მშვიდად მომზადება მერჩივნა", - ამბობს გუგა ხვიჩია.

**მერაბ მამულაშვილი**


გუგა ხვიჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# რედნაპი, როგორც მწვრთნელი



ჰარი რედნაპი

ორიოდე დღის წინ, როცა **ჰარი რედნაპზე**, როგორც ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელობის უმთავრეს კანდიდატზე, ლაპარაკი დაიწყეს, 64 წლის სპეციალისტი ამგვარ პერსპექტივას საერთოდ გამორიცხავდა და ამბობდა, "ტოტენჰემში" იმდენი საქმე მაქვს, ნაკრებზე საფიქრალად არ მცალიაო. მას შემდეგ კი რედნაპის ტონი არათუ შეიცვალა, გამოცდილმა სპეციალისტმა სანაკრებო გეგმებზეც კი დაიწყო საჯაროდ მსჯელობა. *"მოდი, გულწრფელად ვთქვათ, პოლ სქოულზის ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების შემადგენლობაში ნახვა ყველას სურს. მას თავის გუნდში ალბათ ყველა შეიყვანდა. პოლი ისევე ეფექტურად თამაშობს, როგორც ესპანელები - ჩავი და ინიესტა. ის ბურთს პრაქტიკულად არ კარგავს. რაც შეეხება კაპიტანს, ამ პოსტზე რამდენიმე კარგ კანდიდატს ვხედავ, მაგალითად ჯერარდს, ვფიქრობ, ამ როლში სკოტიც (პარკერი) არ დაიკარგებოდა"*, – განაცხადა რედნაპმა.

როგორც ჩანს, მხარეთა შორის შეთანხმება შედგა და საკლუბო სეზონის დასრულების შემდეგ მისტერ ჰარი ინგლისის ნაკრებს მართლა ჩაუდგება სათავეში. "ტოტენჰემს" ბოლო მატჩი პრემიერლიგაში 12 მაისს "ფულჰემთან" უწევს. ამრიგად, რედნაპს ეროვნული გუნდის მოსამზადებლად მხოლოდ თვეზე ცოტა ნაკლები რჩება. კუნძულელებს ხომ პირველი თამაში ევროპის პირველობაზე 11 ივნისს საფრანგეთის ნაკრებთან ელით.

საკლუბო სეზონის დასრულებამდე "ლომებს" მხოლოდ ერთი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი - 29 თებერვალს ჰოლანდიის წინააღმდეგ. აღნიშნული შეხვედრისთვის გუნდის მომზადება **სტიუარტ პირსს** 8 თებერვალს, კაპელოს გადადგომისთანავე მიანდვეს. ამრიგად, 13 მაისამდე ინგლისელთა დროებით თავკაცად სწორედ პირსი დარჩება, რის შემდეგაც მის პოსტს რედნაპი გადაიბარებს. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ინგლისელებს მისი ხელმძღვანელობით ორი მატჩი ექნებათ ჩასატარებელი, ნორვეგიასა და ბელგიასთან. სასურველ ფეხბურთელებს მწვრთნელი სწორედ ამ მატჩებში დააკვირდება.

"ტოტენჰემი", თავის მხრივ, არ აპირებს ჰარი რედნაპს რამე პირადი პრობლემა შეუქმნას ახალ სამსახურთან დაკავშირებით, მაგრამ კვალიფიციური მწვრთნელის დაკარგვასთან შეგუებას ასე იოლად მაინც არ გეგმავს. საფეხბურთო ასოციაციისგან კომპენსაციის სახით "დეზები" 10 მილიონ ფუნტს მიიღებენო, წერს "ტელეგრაფი". როგორც სოციალურ ქსელებში დაიწერა, "ტოტენჰემის" პრეზიდენტ **დენიელ ლევის** უკვე ჰყავს რამდენიმე კანდიდატურა, რომელთაც ის გუნდის მთავარ მწვრთნელობას შესთავაზებს. მათ შორის არიან **დევიდ მოიესი, დიდიე დეშამი** და **იურგენ კლინსმანი**.

სკანდალი

# სუარესმა ცივ გონებაზე მოინანია

"ლივერპულის" თავდამსხმელმა **ლუის სუარესმა** "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის დასრულებისთანავე გაიაზრა ცივი გონებით, თუ რა ჩაიდინა. როცა ლაპარაკია ორი უზარმაზარი კლუბის დაპირისპირებებზე, იქ წმინდა საფეხბურთო კომპონენტი რასაკვირველია უმთავრესი უნდა იყოს, მან კი იმდენი "მოახერხა", რომ ფეხბურთზე არანაკლებად, საზოგადოება მის საქციელს განიხილავდა. ყველას აინტერესებდა, ჩამოართმევდა თუ არა ის ხელს **პატრის ევრას. კენი დალგლიში** ამტკიცებდა, ამ თემაზე შეგირდს ველაპარაკე და მისი პოზიცია ცალსახაა, შერიგება სურსო. როგორც განვითარდა მოვლენები, ყველამ ვიცით. მოკლედ, იშვიათად გვეგულება ადამიანი, რომელიც ურუგვაელს საქციელს მოუწონებდა. ერთი მხოლოდ **ალან შირერმა** თქვა, სუარესმა კი არა, ხელის გაწვდენაზე უარი ევრამ თქვა და ლივერპულელსაც სხვა რა დარჩენოდაო. რბილად რომ ვთქვათ, საკამათო მოსაზრებაა.

როგორც ჩანს, მატჩის შემდგომ დალგლიშს შეგირდთან მკაცრი საუბარი ჰქონდა. აი, რა თქვა სუარესმა: *"ჩემს საქციელზე კიდევ ერთხელ დავფიქრდი და გადავწყვიტე, ბოდიში მომეხადა. მწვრთნელს მატჩის დასრულებისთანავე ველაპარაკე და მივხვდი, რომ სერიოზული შეცდომა დავუშვი. ვუღალატე არამხოლოდ კენის, არამედ მთელ გუნდს და ყველას, ვინც ჩვენს ზურგს უკან დგას. ვწუხვარ, რომ ეს გავაკეთე. ევრასთვის ხელი ჯერ კიდევ მატჩამდე უნდა ჩამომერთმია. ახლა კი ორი რამ მინდა: პატიება ვთხოვო მას და რაც შეიძლება მალე დავივიწყო ყველაფერი, რაც ამ ისტორიას უკავშირდება. მინდა, მთელი ყურადღება ფეხბურთზე გადავიტანო"*. აქვე დავამატებთ, რომ სუარესის ბოდიში სკანდალს წერტილს ვერ დაუსვამს, რადგან საფეხბურთო ასოციაციამ პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის რეკომენდაციით შეიძლება საქმე ხელახლა აღძრას და ურუგვაელი კიდევ ერთხელ დასაჯოს. ფეხბურთელა კავშირის დირექტორი **გორდონ ტეილორი** ამბობს: *"დიდი იმედი გვქონდა, რომ ფეხბურთელები შერიგდებოდნენ, მაგრამ რაც მოხდა, თავად ნახეთ. ის, რაც ურუგვაელმა ჩაიდინა, შექმნილ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს, რაც ძალიან სამწუხაროა. თუკი სერიოზულად ვაპირებთ რასიზმთან ბრძოლას, არ გვაქვს უფლება, რომ მსგავს ეპიზოდებზე თვალი დავხუჭოთ"*.

კომენტარი გააკეთა თავად პატრის ევრამაც. ფრანგი გამოტყდა, რომ ახალგაზრდულ ასაკში მისთვის მიყენებული პირველი მსგავსი შეურაცხყოფა დღემდე ცუდად ახსოვს. ეს მაშინ მოხდა, როცა პატრისი 17 წლის იყო და იტალიის სერია C-ს "მარსალაში" თამაშობდა. *"თავი დიდ კაცად ახალგაზრდული ასაკიდანვე ვიგრძენი, რადგან მტკივნეული დარტყმების გაძლება მიხდებოდა, როგორც მოედანზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. სწორედ მაშინ გავიაზრე, რომ ფეხბურთი ზვიგენების სამყაროა. იტალიაში ადამიანები ხანდახან ფოტოს იმიტომ კი არ მიღებდნენ, რომ პატრის ევრა ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ შავკანიანი ვარ. სწორედ მაშინ ვისწავლე საკუთარი თავის ხელში აყვანა. იყო დრო, როცა ტირილი მინდებოდა, მაგრამ ნელ-ნელა გავძლიერდი. ყველაფერმა ერთად მე ზრდასრულ მამაკაცად მაქცია. 17 წლისა სიცილიურ კლუბში ერთადერთი შავკანიანი ვიყავი. ხანდახან ისე ვბრაზდებოდი, იმისთვისაც კი მზად ვიყავი, ყველას მუშტებით დავრეოდი. მახსოვს, ერთხელ პალერმოში ვთამაშობდით, ბურთს რამდენჯერაც ფეხი დავაკარე, 20 ათასი ადამიანი მაიმუნის ხმას გამოსცემდა. ამის გამო კი თავს ძალიან მარტოსულად ვგრძნობდი. საშინელებაა, როცა ამას აწყდები, რადგან მსგავსი შეურაცხყოფა ადამიანის თავმოყვარეობაზე დამთრგუნველად მოქმედებს"*, – განუცხადა ევრამ "სანს".

სტატიის დასასრულს კი გაცნობებთ, რომ მანჩესტერის პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა "იუნაიტედის" ფანების ჟურნალ Red Issue-ს გამომცემელთა მიმართ, რომელთაც მატჩის წინა დღეს დაბეჭდეს ჟურნალის დამატება, რომელსაც მოსდევდა პლაკატი კუ-კლუქს-კლანის ფორმაში ჩაცმული ადამიანის გამოსახულებითა და წარწერით "სუარესი მართალია". პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა ჟურნალის დამატება მაქსიმალურად სწრაფად ამოიღონ გაყიდვიდან. Red Issue-ის რედაქტორები ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებენ.



ლუის სუარესი



არ არის გამორიცხული, კარლოს ტევესი სიტის დაუბრუნდეს

მანჩესტერ სიტი

# ვითომ დასასრული?

**კარლოს ტევესის** აგენტი **კია ჯურაბჩიანი** ადასტურებს ინფორმაციას, რომ მისმა კლიენტმა "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები წამოიწყო, რათა მას გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება ხელახლა მიეცეს. ბუნებრივია, მხოლოდ ვარჯიშით საქმე არ შემოიფარგლება. როცა ფეხბურთელი ფორმაში ჩადგება, ის მზად არის ითამაშოს კიდეც. შეგახსენებთ, რომ არგენტინელი "სიტის" განაცხადში "ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის (29 სექტემბერი, 2:0 გერმანელთა სასარგებლოდ) შემდეგ აღარ ყოფილა. მიზეზი კი ყველამ იცით, თავდამსხმელმა უარი თქვა, შეცვლაზე ეთამაშა. კარლოსი ნოემბერში არგენტინაში გაფრინდა და იქიდან შემოთვალა, ინგლისში სათამაშოდ კი არა, დასასვენებლადაც კი აღარასოდეს დავბრუნდებიო. ჯერჯერობით, ის თავისი სიტყვის ერთგულია, მაგრამ როგორც ჩანს, ამ კონფლიქტს წერტილი მალე დაესმება. კვირას, 12 თებერვალს, "ასტონ ვილასთან" მატჩის მოგების შემდეგ **რობერტო მანჩინიმ** პირველად დაადასტურა ოფიციალურად, რომ მზადაა, ფეხბურთელი გუნდში დააბრუნოს, თუკი ის ოფიციალურად მოიხდის ბოდიშს. აი, რას ამბობს იტალიელი სპეციალისტი: *"კარლოსმა იცის, რომ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ჩვენ ველოდებით მის დაბრუნებას. პირადი პრობლემა მასთან არასოდეს მქონია"*.

ინფორმაციას მოლაპარაკებების შესახებ ადასტურებს ტევესის კიდევ ერთი წარმომადგენელი **პოლ მაკარტიც**: *"დიახ, ჩვენ შორის შეხვედრები ინტენსიურია. ბოლო 10 დღის განმავლობაში ბევრი საკითხი განვიხილეთ და შეიძლება იმის თქმაც, რომ ურთიერთობა ცოტა უფრო დათბა. კარლოსს თამაში სურს და მზადაა, "სიტის" ჩემპიონობის მოპოვებაში ხელი შეაშველოს. ერთადერთი, რაც რჩება, ფიზიკური კონდიციების აღდგენაა"*. უკანასკნელი ინფორმაციით, 28 წლის თავდამსხმელი ინგლისში გუშინ საღამოს აპირებდა დაბრუნებას. როგორც ჩანს, კომპრომისი საბოლოოდ მაინც მოინახა.

ვარსკვლავი

# ფლეტჩერი ფეხზე დადგა

შოტლანდიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" საყრდენმა ნახევარმცველმა **დარენ ფლეტჩერმა** ამ დღეებში ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება და ახალი სეზონის დაწყებამდე, წესით, უკვე ფორმაში უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია, რადგან ექიმებმა ნაწლავების დაავადება აღმოუჩინეს და ურჩიეს, რომ თუკი მასთან საბოლოოდ გამკლავება გსურს, უმჯობესი იქნება, თუკი აქტიურ ფეხბურთს დროებით, მაგრამ მაინც ჩამოშორდებიო. ფეხბურთელი მთლად უსაქმოდ რომ არ დარჩენილიყო, სერ **ალექს ფერგიუსონმა** თანამემამულეს ახალი ფუნქცია გამოუნახა. ფლეტჩერი **უორენ ჯოისს** "მანჩესტერის" რეზერვისტთა საწვრთნელ პროცესში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ დარენმა მინდორზე დაბრუნება რამდენჯერმე მოინდომა, ექიმებმა მას ამის უფლება არ მისცეს. ამ დღეებში კი საბოლოოდ გაირკვა, რომ 28 წლის შუახაზელი მიმდინარე სეზონის დარჩენილ ნაწილსაც გამოტოვებს და "მანიუსთან" ერთად მზადებას ზაფხულშიღა შეუდგება. *"მედიკამენტებით მკურნალობას დღემდე ვაგრძელებ და უწინდებურად არ ვვარჯიშობ. ჩემი მდგომარეობა ძალიან ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება, -* – *დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ როცა მინდორზე დავბრუნდები, 100%-ით ჯანმრთელი ვიქნები. რამდენჯერმე ვცადე სხვანაირად მოვქცეულიყავი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თუკი მკურნალობას ბოლომდე ჩავიტარებ, "მანჩესტერ იუნაიტედიც" და შოტლანდიის ნაკრებიც ამით მხოლოდ მოიგებენ. ჯოისს საწვრთნელ პროცესში ყოველდღე ვეხმარები და ამით უზარმაზარ სიამოვნებას ვიღებ. შესანიშნავია, როცა შენი გამოცდილების სხვებისთვის გაზიარების შანსი გეძლევა. სახლში ფეხბურთის ყურების დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ რაც დრო გადის, ნოსტალგია თანდათან მძლიერდება. მხოლოდ ცოტა ხნის წინ გავბედე სტადიონზე მისვლა და ფეხბურთის ტრიბუნებიდან ყურება"*, – განუცხადა ფლეტჩერმა "სკოტიშ სანს".



დარენ ფლეტჩერი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



იტალიის ნაკრები

# პრანდელი, გამოუსწორებელი ოპტიმისტი

## აძურას თავკაცი კასანოს და როსის ელოდება



ჩეზარე პრანდელი



ჯუზეპე როსი და ანტონიო კასანო

**იტალიელ ჟურნალისტებთან ურთიერთობა იოლი საქმე არ არის, მაგრამ ჩეზარე პრანდელის ეს საქმე ყოველთვის კარგად გამოსდიოდა. იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხშირად ურთიერთობს მედიასთან და არც ინტერვიუების დარიგებაზე ამბობს უარს. ამჯერად, პრანდელი ჩვენთვის ნაკლებად ცნობილ გამოცემას, Seccolo XIX-ს ესაუბრა და არაერთ აქტუალურ საკითხზე გაამახვილა ყურადღება - იქიდან 3 ყველაზე საინტერესო თემაზე ქვემოთ თავად პრანდელი მოგითხრობთ...**

### კასანო-როსი

შეიძლება ვინმემ გამოუსწორებელ ოპტიმისტად ჩამთვალოს, მაგრამ მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ანტონიო კასანო და ჯუზეპე როსი ევროპის ჩემპიონატამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებენ. ეს არის ტანდემი, რომლის ხილვაც უკრაინა-პოლონეთის მოედნებზე მსურს და იმედია, ეს ასეც იქნება. ექიმებს ველაპარაკე და მათგან დაიმედებული ვარ - როსი აპრილის ბოლოს უნდა დაუბრუნდეს მოედანს, კასანო კი შესაძლოა მაისში სრულიად ჯანმრთელი იყოს. გასაგებია, რომ იმ დროს სეზონის ფინიში იქნება, მაგრამ როდესაც ასეთი დონის ფეხბურთელებზე გვაქვს საუბარი, საკითხს ცოტა ირაციონალურად უნდა მივუდგეთ. ვნახოთ, ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ანტონიო კასანო და ჯუზეპე როსი ევროპის ჩემპიონატზე ვიხილოთ. შემიძლია პირობა მოგცეთ, რომ თუ ამის საშუალება მომეცა, არც ერთს არ დავტოვებ განაცხადს მიღმა.



პრანდელის აზრით, კაპელოს ინგლისი კაპიტნის სამკლავურის გამო არ დაუტოვებია

### ევროპის ჩემპიონატი

ჩემი პირადი აზრით, წინ ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველოდება, რომელიც გულშემატკივარს დიდ ხანს დაამახსოვრდება. ამაში მაშინვე დავრწმუნდი, როდესაც ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა და გუნდებს კიდევ ერთხელ, უფრო დაკვირვებით გადავხედე. ევროპირველობას ორი ფავორიტი ჰყავს: ერთი ესპანეთია, მეორე კი გერმანია. პირენეელები უკვე წლებია სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობენ და ვფიქრობ, პოზიციებს კიდევ დიდხანს არ დათმობენ. ესპანელთა წარმატების მთავარი ფორმულა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გუნდის თამაში თითქოს ქვეყნის კულტურის, გენეტიკის ამოძახილია. ამას დავუმატოთ უნიჭიერესი მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკეს სახით და ნათელია, რომ ესპანეთი კვლავაც ფავორიტი იქნება.

რაც შეეხება გერმანიის ეროვნულ ნაკრებს, ეს გუნდი ყველაზე სწრაფ, მობილურ და დინამიკურ ფეხბურთს თამაშობს, რასაც ჯერ კიდევ იურგენ კლისმანის დროს ჩაეყარა საფუძველი. იოახიმ ლიოვი შესანიშნავი სპეციალისტია, მან კიდევ უფრო გააახალგაზრდავა გუნდი და შესაბამისად, კიდევ უფრო ასწრაფა. ესპანელებთან ერთად, გერმანიაც ფავორიტია და რაც ყველაზე საინტერესოა, ეს გუნდები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. ევროპის ჩემპიონატი საფეხბურთო ფილოსოფიების ჭიდილი იქნება, ეს კი ყოველთვის ძალიან საინტერესოა.

### ფაბიო კაპელო

კაპელომ ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი თავისი სურვილით დატოვა და რადგან ასე მოიქცა, ე.ი. ჰქონდა ამის საბაბი. უმეტესობა ეთანხმება მის გადაწყვეტილებას, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ საქმე უფრო სერიოზულად იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. რას ვგულისხმობ? - როდესაც წელიწად-ნახევარზე მეტი, გუნდს ევროპის ჩემპიონატისთვის ამზადებ და ტურნირის დაწყებამდე ოთხი თვით ადრე პოსტს ტოვებ, იქ მხოლოდ კაპიტნის სამკლავურში არ უნდა იყოს საქმე. ვფიქრობ, კაპელოსა და ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას შორის ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები იყო და ფაბიოს ალბიონზე აღარ დაედგომებოდა. ვფიქრობ, ამ ყველაფრით ინგლისი უფრო დაზარალდება, რადგან კაპელო თანამედროვეობის უდიდესი სპეციალისტია. დიდი იმედი მაქვს, რომ ფაბიო იტალიაში გააგრძელებს მუშაობას და სერია A-ს რომელიმე გუნდს ჩაუდგება სათავეში - კალჩოს ეს ძალიან წაადგება.

ინტერი

# რანიერიმ ტრანსფერებზე დაიჩივლა



კლაუდიო რანიერი

„ინტერის" მორიგმა მარცხმა იტალიურ საფეხბურთო სამყაროში დიდი რეზონანსი გამოიწვია, რადგან მილანურმა გრანდმა ჩემპიონატის აუტსაიდერთან წააგო და თანაც, საკუთარ მოედანზე. „ნერაძურის" გულშემატკივრებისთვის შეურაცხმყოფელია ის ფაქტი, რომ მიმდინარე სეზონში „ნოვარამ" მხოლოდ სამი შეხვედრა მოიგო და იქიდან ორი „ინტერთან" - ამის შესახებ, ტიფოზები სოციალური ქსელის საშუალებით საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებენ და კლუბის პრეზიდენტს მთავარი მწვრთნელის გათავისუფლებისკენ მოუწოდებენ. **მასიმო მორატი** ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს, აი **კლაუდიო რანიერიმ** კი „რაი სპორტს" ინტერვიუ მისცა და შემდეგი განაცხადა:

*„საკუთარ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ არის მიზეზები, რის გამოც გუნდს სტაბილურად ასპარეზობა უჭირს. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი სატრანსფერო ბაზარზე პასიურობაა და ეს აუცილებლად უნდა ვთქვა. ზაფხულში, გუნდი სამუელ ეტოომ დატოვა და ფაქტია, რომ მისი ღირსეული შემცვლელი გუნდში არ გამოჩენილა. წავიდნენ გორან პანდევი და დავიდე სანტონი, უნივერსალური თვისებების ფეხბურთელები, რომლებსაც რამდენიმე პოზიციაზე შეუძლიათ ასპარეზობა, ამ ყველაფერს კი ტიაგო მოტას საფრანგეთში გადაბარგებაც დაემატა. ამ დროს, ჩვენ მხოლოდ ფრედი გუარინი დავიმატეთ, რომელიც ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ჯერ გუნდთან ადაპტაციის პერიოდიც არ გაუვლია. ბუნებრივია, ამ ყველაფერმა დიდი გავლენა იქონია შედეგებზე და ეს არ უნდა გვიკვირდეს".*

მართალია, რანიერის მორატი არ უხსენებია, მაგრამ მისი ეს გამოსვლა კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის და შესაბამისად, პრეზიდენტის პირდაპირი კრიტიკა გახლდათ. „ინტერის" მთავარი მწვრთნელი რთულ მდგომარეობაშია, უდიდეს წნეხშია მოქცეული და როგორც ჩანს, თავდაცვის ასეთი სტრატეგია აირჩია - ვნახოთ, რას მოუტანს რანიერის ეს ყველაფერი.

ტრავმა

# უდინელთა მძიმე რეალობა

## დი ნატალე და ისლა დაშავდნენ

„უდინეზეს" გულშემატკივრებისთვის შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელა გუშინ „კორიერე დელო სპორტმა", რომლის მიხედვითაც „მილანთან" შეხვედრაში **ანტონიო დი ნატალემ** ტრავმა მიიღო. დიახ, ტოტო დაშავდა და ჯერ უცნობია, თუ რამდენ ხანს მოუწევს უქმობა. მას ფეხის თითი აქვს ნაღრძობი და უახლოეს პერიოდში დეტალური გამოკვლევა ჩაუტარდება. შესაძლოა, სარეაბილიტაციო პერიოდმა რამდენიმე დღე წაიღოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ „უდინეზეს" 34 წლის კაპიტანს კვირები გაუცდეს. უდინური გუნდის მთავარი მწვრთნელი **ფრანჩესკო გვიდოლინი** იმედოვნებს, რომ დი ნატალეს ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა:

*„დი ნატალე „მილანთან" შეხვედრაში დაშავდა, თუმცა თამაშის დროს ტკივილი ვერ იგრძნო და მხოლოდ გასახდელში მიხვდა, რომ თითი ჰქონდა ნაღრძობი. ერთი სული გვაქვს, როდის ჩატარდება გამოკვლევა, რომ გავიგოთ რამდენ ხანს მოუწევს მკურნალობა. ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, დაიმედებული ვარ, რადგან როგორც მითხრეს, უმეტეს შემთხვევაში ასეთ ტრავმას ფეხბურთელები რამდენიმე დღეში იშუშებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ტოტოს ჯანმრთელობის გარისკვას არ ვაპირებთ და მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება მოედანს, როდესაც სრულად განიკურნება".*

„უდინეზეს" ქომაგებისთვის კიდევ გვაქვს ერთი არასასიამოვნო ინფორმაცია და შესაძლოა, კიდევ უფრო ცუდიც, ვიდრე დი ნატალეს შემთხვევაში - „მილანთან" პაექრობაში, ფრიულური გუნდის კიდევ ერთი ფეხბურთელი, **მაურისიო ისლა** დაშავდა და წინასწარი პროგნოზით, სეზონის ბოლომდე ველარ დაუბრუნდება მოედანს. მოკლედ, გასული უქმეები უდინელებისთვის კოშმარული გამოდგა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ანტონიო დი ნატალე

მილანი

# მილანს ოთხი ტრავმირებული უბრუნდება

„მილანის" სავსე ლაზარეთის შესახებ ბევრჯერ დაგვიწერია და აი, დადგა დრო, როდესაც ამ ლაზარეთის დაცარიელების, უფრო სწორად კი შეთხელების შესახებ უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა... „გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დღეიდან სრულფასოვან საწვრთნელ პროცესს „მილანის" ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი დაუბრუნდება: **ალესანდრო ნესტა, მატიო ფლამინი, კევინ პრინს ბოატენგი** და **ალეშანდრე პატო.** ამ ამბავმა გუნდის მთავარი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** ძალიან გაახარა და უმჯობესია, სიტყვა მას გადავცეთ:

*„ამ ოთხი ფეხბურთელის სახით, კოლოსალური ძალა დაგვიბრუნდა და ამან უზომოდ გამახარა. ლაზარეთში კიდევ არაერთი ფეხბურთელი რჩება და იმედი მაქვს, ისინიც მალე ჩაებმებიან საწვრთნელ პროცესში. რაც შეეხება გამოჯანმრთელებულ ოთხეულს, მათ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფისთვის ვამზადებთ და შესაძლოა, სერია A-ს მომდევნო ტურში მონაწილეობა ვერ მიიღონ. ყოველ შემთხვევაში, მათი ჯანმრთელობის გარისკვას არ ვაპირებთ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას".*



პატო (მარცხნივ) და ბოატენგი გამოჯანმრთელდნენ

იტალია. სერია A. XXIII ტური

**ნაპოლი-კიევო 2:0**

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი – გრავა, არონიკა, ბრიტოსი – დოსენა, ინლერი, გარგანო, ცუნიგა – ლავეცი (76. პანდევი), ჰამშიკი (67. მაჯო) – კავანი (88. ვარგასი).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – სარდო, ცეზარი, ანდრეოლი, დრამე – ბრედლი (74. ვაჩეკი), ჰეტემაი, ლუჩანო (74. რიგონი) – თერეუ – პელისიერი, პალოსკი (60. მოსკარდელი).

**გოლები:** 1:0 ბრიტოსი (14), 2:0 კავანი (37-პენ.).

**გაფრთხილება:** გრავა, ბრიტოსი – სარდო, ანდრეოლი, ჰეტემაი.

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 20-7; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10(5)-9(3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 35 000

**სიენა-რომა 1:0**

**სიენა (4-4-2):** პეგოლო – ვიტიელო, როსეტინი, ტერცი, დელ გროსო – ჯორჯი (72. პარავიჩინი), ვერგასოლა, გაცი, ბრიენცა – კალაიო (71. ანჯელო), დესტრო (83. გროსი).

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – როზი, ჟუანი (46. კიაერი), ჰაინცე, ანხელი – სიმპლიციო (68. ბოიანი), ვივიანი, პიანიჩი – ტოტი (59. ოსვალდო), ლამელა, ბორინი.

**გოლი:** 1:0 კალაიო (51-პენ.).

**გაფრთხილება:** გროსი - ტოტი.

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 7(3)-8(2); **ბურთის ფლობა:** 27%-73%.

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 23 | 14 | 5 | 4 | 45-20 | 47 |
| 2. იუვენტუსი | 21 | 12 | 9 | 0 | 33-13 | 45 |
| 3. ლაციო | 23 | 12 | 6 | 5 | 37-24 | 42 |
| 4. უდინეზე | 23 | 12 | 5 | 6 | 34-22 | 41 |
| 5. ინტერი | 23 | 11 | 3 | 9 | 34-30 | 36 |
| 6. რომა | 23 | 10 | 5 | 8 | 36-27 | 35 |
| 7. ნაპოლი | 23 | 8 | 10 | 5 | 38-24 | 34 |
| 8. პალერმო | 23 | 9 | 4 | 10 | 33-34 | 31 |
| 9. ჯენოა | 22 | 9 | 3 | 10 | 31-44 | 30 |
| 10. კალიარი | 23 | 7 | 9 | 7 | 22-23 | 30 |
| 11. ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23-19 | 28 |
| 12. კატანია | 21 | 6 | 9 | 6 | 27-29 | 27 |
| 13. პარმა | 21 | 7 | 6 | 8 | 27-34 | 27 |
| 14. კიევო | 22 | 6 | 6 | 10 | 17-29 | 27 |
| 15. ატალანტა | 22 | 7 | 9 | 6 | 25-27 | 24 |
| 16. სიენა | 22 | 5 | 8 | 9 | 22-22 | 23 |
| 17. ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18-26 | 22 |
| 18. ლეჩე | 23 | 4 | 6 | 13 | 22-38 | 18 |
| 19. ჩეზენა | 22 | 4 | 4 | 14 | 15-34 | 16 |
| 20. ნოვარა | 22 | 3 | 7 | 12 | 19-40 | 16 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: 17 – დი ნატალე (უდინეზე); 15 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 13 - კავანი (ნაპოლი); 12 - დენისი (ატალანტა), კლოზე (ლაციო), მილიტო (ინტერი), პალასიო (ჯენოა), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის გამოხმაურება

# გლადბახში თეთრი ოცნება დაიბადა!

## გიუნტერ ნეტცერის შთამომავლები შალკესთან შეუდარებელნი იყვნენ

ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში როლები ისე ხშირად იცვლება, როგორც არასდროს: ჯერ „ბაიერნი“ დომინირებდა ზუსტად ისე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა რეკორდმაისტერი ჩემპიონობას კარგავს, მერე დორტმუნდის „ბორუსია“ დაბრუნდა, გალიდერდა და პირველ ადგილს ნერვაუტოკებლად ინარჩუნებს, ახლა კი „გლადბახი“ ალაფრთოვანებს ყველას და ამ გუნდმა მთელი საფეხბურთო გერმანია დაარწმუნა, რომ „ვერცხლის სინისთვის“ ბრძოლა მართლა შეუძლია. სამაგიეროდ, არაფერი იცვლება ბერლინის „ჰერტას“ შემთხვევაში – დედაქალაქში ისევ სამწვრთნელო აურზაურია. ლუკას პოდოლსკიმ კი „კიოლნში“ განგაში ატეხა...




მაიკ ჰანკემ თუ ასე გააგრძელა, იოახიმ ლიოვი იძულებული გახდება, ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანოს

ერთი ტრანსფარანტი, რომელიც ათიათასობით ფანის აზრს გამოხატავს: მიონხენგლადბახში ვერცხლის სინზე და გერმანიის თასზე ოცნებობენ

### ყველაზე კარგ ფეხბურთს ახლა გლადბახი თამაშობს!

ამ სეზონში „ვერცხლის სინი“ ვირტუალურად ზედმეტად ბევრჯერ გაიცა: ჯერ „ბაიერნი“ იდგა მოწონების სიმაღლეზე და **იუპ ჰაინკესის** გუნდი თავისი შეუდარებელი კომბინაციური ფეხბურთით უძლეველი ჩანდა, მერე „დორტმუნდმა“ სწორედ ეს „ბაიერნი“ დაამარცხა და ზომიერად აგრესიული, შემტევი ფეხბურთით ესტაფეტა გადაიბარა, ახლა კი, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ ჩემპიონობის კიდევ ერთი არალიარებული მაძიებელი „შალკე“ გაანადგურა და „ვერცხლის სინისთვის“ გაჩაღებული ოთხთაბრძოლა სამთაბრძოლად გადააქცია.

მეტიც: „გლადბახმა“ „შალკესთან“ პირველ ტაიმში (3:0) სეზონის საუკეთესო ფეხბურთი აჩვენა და თამამად უნდა ვთქვათ ისიც, რომ გერმანიის ნაკრებთან მიმართებაში ყველასგან დავიწყებული **მაიკ ჰანკე** კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. კიოლნში ლუკას პოდოლსკიმ ცუდად ილაპარაკა, ბერლინში კი თვით გერმანიის დედაქალაქის მერიც უალრესად შეწუხებულია იმის გამო, რომ „ჰერტა“ გვირაბში ისეთ ადგილზეა გაჩხერილი, საიდანაც სინათლე არ ჩანს.

### ჰანკე ევროპის ჩემპიონატს იმსახურებს!

„ბაიერნის“ და „დორტმუნდის“ ფანებმა უნდა მოგვიტევონ: ამ სეზონში ბუნდესლიგის არც ერთ კლუბს არ უთამაშია თუნდაც მიახლოებით ისეთი გრანდიოზული ფეხბურთი, როგორიც შაბათს „გლადბახმა“ „შალკესთან“ პირველ ტაიმში გვაჩვენა. უკვე მეორე წუთზე **მარკო როისმა** შალკელები **ხურადო** და **ჰიოვედესი** გააბითურა და ბურთი გელზენკირხენული კლუბის კარის შორეულ კუთხეში ელეგანტურად ჩასვა - ეს მსოფლიო დონის შესრულება იყო!

მეორე გოლი კიდევ უფრო ლამაზი გამოვიდა: გერმანიის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ჰანკემ ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, ორმაგი გენიალური გათამაშებით დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და სხვაობა ცივსისხლიანად გაზარდა. ამის შემდეგ უკვე ნელ-ნელა გასაგები ხდება, რატომ უწოდებენ სხვადასხვა ევროპული გაზეთები მიონხენგლადბახურ კლუბს „ბორუსია ბარსელონას“. ჰანკე კი იმდენად კარგ ფორმაშია, რომ თუ სეზონის ბოლომდე ასეთი ეფექტურობა შეინარჩუნა, ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ვალდებული იქნება, მაიკი ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანოს.

### დორტმუნდი კაგავას უნდა უმადლოდეს

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „გლადბახის“ წარმატებები ამ სეზონში (მიუხედავად ჰანკეს, **არანგოს** და **ჰერმანის** მაღალი დონისა) მეტწილად მაინც მარკო როისის დამსახურებაა, თამამად უნდა ვთქვათ, რომ დორტმუნდის „ბორუსია“ მომდევნო სეზონში სუპერგრანდიოზულ ფეხბურთს ითამაშებს. ჩვენ შეგვიძლია, დორტმუნდულ კლუბს ყოველდღე მივულოცოთ ის, რომ როისი ზაფხულში BVB-ში გადავა.

„ლევერკუზენთან“ 1:0-ის შემდეგ დორტმუნდელებმა ლიდერობა შეინარჩუნეს და ბუნდესლიგაში უკვე 15-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ. თუმცა, **იურგენ კლოპის** გუნდს ამ ტურში არ უფრენია. „შავ-ყვითლებმა“ ეს „მუშა გამარჯვება“ ახალგაზრდა იაპონელი ფლეიმეიქერის, **შინჯი კაგავს** ერთი გენიალური საქციელის გამო მოიპოვეს. გუშინ გაირკვა, რომ კაგავა „დორტმუნდთან“ კონტრაქტს აგრძელებს და შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორ ითამაშებენ ვესტფალიელები მომდევნო სეზონში, როცა 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, შემტევი ნახევარმცველების პოზიციებზე როისი, კაგავა და **გიოტცე** იმოქმედებენ. „ბაიერნი“ მართლა ფრთხილად უნდა იყოს...

### რობენს მოტივაცია ემატება

**იუპ ჰაინკესი** სისტემის დროებით შეცვლაზე საუბრობს, გულახდილად კი, ამ ყველაფერს **არიენ რობენის** დეგრადაცია (თუნდაც დროებითი) უნდა დავარქვათ. ფაქტი ის არის, რომ ჰოლანდიელის სათადარიგოთა სკამზე გადასმამ შედეგი გამოიღო: რეკორდმაისტერი უკეთ ათამაშდა და იგებს. ეს ისე, ერთი შეხედვით, თორემ რეალურად, „კაიზერსლაუტერნთან“ 2:0 მიუნხენელთა ძალების საზომად არ გამოდგება. რობენთან ერთად, თუ მის გარეშე, „ბაიერნი“ ამ თამაშს ნაღდად მოიგებდა. მთავარი ისაა, რომ მიუხედავად სკამზე გადასმისა, ჰოლანდიელს მიუნხენში დარჩენა უნდა, რაც მან მოედანზე **თომას მიულერის** ნაცვლად შესვლის შემდეგ დაამტკიცა.

მიულერის სირბილის საშუალო სისწრაფე 31.39 კმ/სთ იყო, რითაც ეს უკანასკნელი ამ კრიტერიუმში ბაიერნელთაგან მეორე ადგილზე გავიდა. ვინ აჯობა მიულერს? სწორია: რობენმა (31.61 კმ/სთ)!

### სკიბეს დავცინით და პრეეტცი?

ბერლინის ბიურგერმაისტერი, ანუ მერი **კლაუს ვოვერაიტი** ფეხბურთზე ძალიან იშვიათად ლაპარაკობს ხოლმე. ამის მიზეზი ისაა, რომ ბერლინულ ფეხბურთზე დადებით კონტექსტში სალაპარაკო არაფერია – არც „ჰერტა“ და მით უმეტეს არც „უნიონი“ ღმერთს არ უქნია ვოვერაიტს კი მხოლოდ კარგზე უყვარს ლაპარაკი. თუმცა ამჯერად ისიც იძულებული გახდა, შექმნილი ვითარება შეეფასებინა და „ჰერტას“ დღევანდელ მდგომარეობას „კატასტროფული“ უწოდა.

შტუტგარტში განცდილმა კრახმა (0:5) **მიხაელ სკიბეს** ბერლინული ეპოქა დაასრულა, თუმცა ეპოქა გადაჭარბებულზე გადაჭარბებული ნათქვამია – მიხაელმა **ლევან კობიაშვილის** გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ხომ სულ რაღაც თვე-ნახევარი იმუშავა, გუნდს ხუთ შეხვედრაში უმწვრთნელა და ბერლინელებმა ხუთივე წააგეს.

სკიბეს გაგდების შემდეგ, „ჰერტას“ მენეჯერმა **მიხაელ პრეეტცმა** თქვა, ვალდებულები ვიყავით, რომ შეცდომა, რომელიც დეკემბრის ბოლოს სკიბეს დანიშვნის სახით დავუშვით, სასწრაფოდ გამოგვესწორებინაო. კლუბის ქომაგები კი ფიქრობენ, რომ თავად პრეეტცია უდიდესი შეცდომა, რადგან სკიბეც მისი მოყვანილი, იყო – ისევე, როგორც **მარკუს ბაბელი**, რომელიც დეკემბერში ბერლინიდან გაიქცა და ახლა ჰოფენჰაიმელ „სოფლელებს“ წვრთნის.

ერთი რამ ფაქტია: საკმარისია, „ჰერტაში“ კიდევ ერთმა მწვრთნელმა ვერ გაამართლოს, რომ პრეეტცსაც დაიფრენენ!

| საუკეთესო ფეხბურთელები | | |
|---|---|---|
| 21-ე ტურის სიმბოლური ნაკრები („კიკერი“) | | |
| ფეხბურთელი | კლუბი | ს.მ.რ |
| 1. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 3 |
| 2. ხალიდ ბულარუზი | შტუტგარტი | 2 |
| 3. ჰოლგერ ბადშტუბერი | ბაიერნი | 4 |
| 4. დანტე | ბორუსია (მ) | 5 |
| 5. რომან ნოიშტედტერი | ბორუსია (მ) | 1 |
| 6. პეტრ ირაჩეკი | ვოლფსბურგი | 1 |
| 7. მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | 2 |
| 8. ხუან არანგო | ბორუსია (მ) | 3 |
| 9. მაიკ ჰანკე | ბორუსია (მ) | 2 |
| 10. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 6 |
| 11. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 2 |

*შენიშვნა*: ს. მ. რ. - სიმბოლურში მოხვედრების რაოდენობა

**ტურის გმირი**

მარტინ ჰარნიკი (შტუტგარტი, I)

როცა **მარტინ ჰარნიკს** გოლი გააქვს, პუბლიკა მოუთმენლად ელის ხოლმე მის ზეიმს, რადგან 24 წლის ავსტრიელი ყოველთვის საინტერესო ქორეოგრაფიულ წარმოდგენას აწყობს. ამ ბოლო დროს კი, ჩაქუჩის დარტყმის იმიტაციის გაკეთება „დაამულამა“. შტუტგარტის ავსტრიელმა ნახევარმცველმა „ჰერტასთან“ ჰეთ-თრიკი შეასრულა და ჩაქუჩიც სამჯერ მოიქნია. ეს იყო რეაქცია იმაზე, რომ მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** ბოლო მატჩებში ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. მოკლედ, ჰარნიკი დაბრუნდა და „შტუტგარტის“ ფანობას ალაფრთოვანებს.

| 21 ტურის შემდეგ. კიკერის შეფასებების მიხედვით | | |
|---|---|---|
| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ |
| 1. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.34 |
| 2. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.35 |
| 3. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.57 |
| 4. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.61 |
| 5. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 2.62 |
| 6. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.64 |
| 7. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.65 |
| 8. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.73 |
| 9. როელ ბრუვერსი | ბორუსია (მ) | 2.73 |
| 10. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 2.75 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 20 | 16 | 8 | 24 |
| 2. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 18 | 15 | 7 | 22 |
| 3. მარიო გომესი | ბაიერნი | 20 | 18 | 3 | 21 |
| 4. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 21 | 14 | 7 | 21 |
| 5. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 18 | 15 | 5 | 20 |
| 6. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 19 | 13 | 6 | 19 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 20 | 8 | 10 | 18 |
| 8. მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | 21 | 10 | 5 | 15 |
| 9. რაული | შალკე | 20 | 10 | 5 | 15 |
| 10. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 19 | 7 | 7 | 14 |

### პრინცი აჯანყდა

„ჰამბურგთან“ საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხი (0:1) კვირა საღამოს ყველა ღირსეული კიოლნელისთვის მეორეხარისხოვანი იყო – იქ დიდიც და პატარაც **ლუკას პოდოლსკის** კრიტიკულ განცხადებებს განიხილავდა.

*„თავის დროზე კრისტოფ დაუმმა თქვა, „კიოლნში“ ბევრ რამეს დამპირდნენ და ძალიან ცოტა შეასრულესო. ახლა ვხვდები, რომ დაუმი მართალი იყო,“* - თქვა პოლდიმ და იქვე განაგრძო: *„საკმარისია, გავიხსენოთ, რა პერსპექტივებზე იყო ლაპარაკი მაშინ, როცა „კიოლნში“ ვბრუნდებოდი და სად ვართ ახლა სინამდვილეში, არ იარსებებს ადამიანი, რომელიც მეც არ დამეთანხმება!“*

ეს წინადადებები ნამდვილად არ მიუთითებს იმაზე, რომ პოდოლსკის კიოლნელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმება უდნა. ლოგიკურია ისიც, რომ ლუკასის ამ განცხადებებს შეფებისგან მკაცრი რეაქცია მოჰყვა. მენეჯერმა **კლაუს ჰორსტმანმა** თქვა, რომ ეს იყო კლუბის წინააღმდეგ გალაშქრება, რაც ლუკასს არაფრის დიდებით არ უნდა ეპატიოს...

ჰერტა

# ვინ მიხედავს კობის და ჰერტას?

## ნუთუ სტანისლავსკი? რანგნიკმა უკვე უარი თქვა!



ჰერტას მენეჯერი მიხაელ პრეეტცი გახარებული არასდროს გვინახავს. იქნებ, თვითონ არის შესაცვლელი?

ბოლო სამწვრთნელო გადაადგილებიდან არ გასულა თვე-ნახევარზე მეტი და „ჰერტას“ ისევ ახალი დამრიგებელი სჭირდება. მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი მიხაელ სკიბეს** გათავისუფლების შემდეგ წნეხის ქვეშაა მოქცეული და ვალდებულია, ახალი მწვრთნელი ძალიან სწრაფად იპოვოს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, **ლევან კობიაშვილის** გუნდის თავკაცის პოსტზე არაერთი სპეციალისტი მოიაზრება, საუკეთესო შანსები კი წინა კვირაში „ჰოფენჰაიმიდან“ გაგდებულ **ჰოლგერ სტანისლავსკის** აქვს. 42 წლის „სტანი“ პრეეტცის მოთხოვნებს ასი პროცენტით აკმაყოფილებს და პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ რამდენიმე დღის წინ გაგდებული სპეციალისტის სამსახურში მიღება კარგ ტონად არ ჩაითვლება. არადა, დროც არ ითმენს!

„ბილდი“ წერს, რომ „ჰერტას“ გაწვრთნა უკვე იუარეს **რალფ რანგნიკმა** და **იურგენ რიობერმა**. კანდიდატია „ჰერტას“ ექსთავკაცი **ფალკო გიოტციც**, რომელიც ცოტა ხნის წინ ვიეტნამში გაათავისუფლეს და ახლა უმუშევარია. 49 წლის გიოტცი ამბობს, თუ დაინტერესდებიან, მოლაპარაკებებისთვის მზად ვარო. „ჰერტას“ მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავება ძალიან უნდა კიდევ ერთი ექსბერლინელ **ვოლფგანგ ზიდკასაც**, რომელიც ბოლოს ერაყში მუშაობდა.

დღესდღეობით მხოლოდ ერთი რამ არის დადასტურებული: „ჰერტას“ დროებით **რენე ტრეტჩოკი** ავარჯიშებს, რომელიც ბერლინელთა 19-წლამდელების გუნდის დამრიგებელია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ოლიჩი ვოლფსბურგზე ფიქრობს

„ბაიერნის“ რეზერვისტი **ივიცა ოლიჩი** გერმანიიდან წასვლას გამორიცხავს, მაგრამ არც მიუნხენში დარჩენის პერსპექტივა ხიბლავს, რადგან იცის, რომ რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდება. „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 32 წლის ხორვატმა თავდამსხმელმა დაადასტურა, რომ „ვოლფსბურგში“ გადასვლაზე სერიოზულად ფიქრობს.



ივიცა ოლიჩი ბაიერნში სათადარიგოთა სკამს ხეხავს

*„ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმება გამორიცხული არ არის, მაგრამ ჯერ ხელი არაფრისთვის მომიწერია. ფაქტია, რომ გერმანიიდან არ წავალ – ეს ჩემმა შვილებმა ამიკრძალეს, რადგან აქ თავს ძალიან კარგად გრძნობენ. შესაბამისად, მე უკვე დავიწყე „ვოლფსბურგში“ გადასვლაზე ფიქრი,“* - უთხრა ოლიჩმა „ბილდს“.

შეგახსენებთ, რომ „ვოლფსბურგის“ თავკაცი **ფელიქს მაგათი** ოლიჩზე ოცნებობს. აქამდე ივიცას იტალიიდან და ესპანეთიდან ჰქონდა წინადადებები, მაგრამ როგორც ხედავთ, გერმანიიდან წასვლა საბოლოოდ გამორიცხა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, მაგათი მზადაა, „მგლების“ მფარველ ავტოგიგანტ „ფოლკსვაგენს“ ოლიჩის ხელფასი (5.5 მილიონი წელიწადში) დააფინანსებინოს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ლა ლიგა. XXII ტურის შეჯამება

# ჩვენ არ ვართ რობოტები!

## როცა ჟოზესთვის სულ ერთია სანტიაგო ბერნაბეუ და ჩინეთი



კრიშტიანო რონალდოს აკრობატული დარტყმა

**თქვენ წინაშეა ლა ლიგის 22-ე ტურის შეჯამება, ტურისა, რომელმაც, შესაძლოა, ჩემპიონატის მთავარ კითხვაზე გვიპასუხა.**

### ბარსა-რეალობა

*„ჩვენ ხომ რობოტები არ ვართ, ამიტომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს - ლა ლიგის მოგება ახლა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი“*, - ეს სიტყვები „ბარსელონას“ კაპიტან **კარლეს პუიოლს** ეკუთვნის, რომელიც **ხოსეპ გვარდიოლამ პედროსთან** ერთად პირველი ტაიმის ბოლო წუთზე (!) შეცვალა „ოსასუნასთან“ მატჩში, რომელიც ყველაზე ცუდი იყო კატალონიური გრანდისთვის ამ სეზონში. სეზონში პირველად, პეპის გუნდმა მატჩში ერთბაშად 3 გოლი გაუშვა.

„ბარსას“ ახლა სულ სხვა საფიქრალი აქვს: როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, გერმანიაში მიემგზავრება, რათა -3 გრადუსში ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის პირველი მატჩი ითამაშოს „ლევერკუზენთან“.

*„სხვაობა ჩვენსა და „რეალს“ შორის მტკივნეულია. მაგრამ „ბარსელონა“ ის გუნდი არ არის, რომელიც იოლად ნებდება და არც მე ვარ ის მწვრთნელი, რომელიც ბოლომდე არ იბრძვის. ჩვენზე ახლა მხოლოდ ის არის დამოკიდებული, რომ ყოველი მატჩი მაღალ დონეზე ვითამაშოთ და დაველოდოთ, რა მოხდება. „ოსასუნასთან“ მარცხს ცუდ საფარს ვერ დავაბრალებ, ჩვენ ხომ შევძელით მეორე ტაიმში კარგად თამაში, ანუ იგივე შეგეძლო - პირველშიც“*, - განაცხადა გვარდიოლამ პრესკონფერენციაზე.

სხვათა შორის, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „რეინო დე ნავარაზე“ **პარადას რომეროს** მსაჯობამ (4-იანი „მარკასგან“ 10-ბალიანი სისტემით). ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **დეიან ლეკიჩის** მეორე გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, რადგან **რაულ გარსია** აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში იღებდა ბურთს. სამაგიეროდ, ექსპერტებმა რეფერის მოუწონეს გადაწყვეტილება, როცა მან **ალექსის სანჩესის** გოლი გააუქმა - პასის მომენტში **სერხი რომერო** ოდნავ შეეხო ბურთს და ჩილელი ფორვარდი ამით ოფსაიდში დატოვა.

სხვათა შორის, გუშინდელ ჩვენს მიმოხილვაში ვერ იხილავდით, რომ თურმე მსაჯს არგენტინელი **ხავიერ მასკერანო** გაუძევებია. ბარსელონელი 88-ე წუთზე სანჩესის გოლის გაუქმებას აპროტესტებდა, როცა პირველი ყვითელი ბარათი მიიღო, მეორე კი მას გასახდელისკენ მიმავალს აჩვენეს მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის. ყვითელი ბარათი მიულია ხოსეპ გვარდიოლასაც, მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებისთვის.

**კრიშტიანო რონალდო** სტრატოსფეროში გაიჭრა: 22 მატჩში მან 27 გოლი გაიტანა, 47 სეზონია ასეთი შედეგი არავის ჰქონია. თუ ასე გააგრძელა, პორტუგალიელი ჩემპიონატის ბოლოს 46 გოლით მოიწონებს თავს, 46 გოლით!!! შედარებისთვის, 2006-07 წლების პიჩიჩი **რუუდ ვან ნისტელროიმ** 25 გოლით მოიგო, ამაზე მეტი რონის უკვე გატანილი აქვს!

გამარჯვებისა და „ბარსელონასთან“ 10-ქულიანი ჰანდიკაპის მიუხედავად, „სამეფო კლუბის“ ფეხბურთელები ჯერ არ ზეიმობენ ტიტულს, თუმცა მიაჩნიათ, რომ მათი ხელის შეშლა უკვე მხოლოდ თავად თუ შეუძლიათ. **ალვარო არბელოამ** თქვა, რომ სეზონის ბოლომდე ბევრ გუნდს უნდა ვეთამაშოთ და მათი დაუფასებლობა იქნება, ზეიმი ახლავე რომ დავიწყოთო. *„დიდებული მატჩი ვითამაშეთ, მაგრამ ასე უნდა გავაგრძელოთ, ლიგა ჯერ ლამის შუაშია“*, - აცხადებს „ლევანტეს“ კარში ბოლო გოლის ავტორი, ფრანგი **ქარიმ ბენზემა**.

„ლევანტესთან“ მატჩის გადამწყვეტი მომენტი პირველი ტაიმის მიწურულს იყო, როცა ვალენსიელთა ათიანმა **ვისენტე იბორამ** საკუთარ საჯარიმოში ხელით



ხოსეპ გვარდიოლა უჩვეულო პოზაში

„ჩამოილო“ ბურთი. რეფერიმ პენალტი დანიშნა და ნახევარმცველს მეორე ყვითელი ბარათი მისცა. ის 2-3 წუთიც რომ გაეძლოთ „ბაყაყებს“, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სტუმრები ხომ 1:0-ს იგებდნენ.

სხვათა შორის, ამ მატჩში ერთი-ორჯერ „რეალის“ ფეხბურთელებს დაპირისპირება ვეტერან **ასიერ დელ ორნოსთან** მოუვიდათ. ბასკი მცველი, რატომღაც, პროვოკაციულად იქცეოდა, რის გამოც ერთხელ **სერხიო რამოსთან** სერიოზული კინკლაობაც მოუვიდა. ალვარო არბელოასთვის ყვითელი ბარათი მე-5 იყო სეზონში. ასე რომ, „რეალის“ მარჯვენა მცველი „რასინგთან“ მატჩს გამოტოვებს.

კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტი ამ მატჩზე: შეხვედრა სიმბოლურად **რობერტო კარლოსმა** გახსნა, **იკერ კასილიასმა** 285-ე მატჩი მოიგო „რეალის“ მაისურით და ამ მაჩვენებლით რეალის ისტორიაში მესამე ადგილზე გადავიდა, **გონსალო იგუაინმა** კი კლუბის მაისურით მე-200 მატჩი ჩაატარა.

### მესი VS რონი

კრიშტიანო რონალდომ „ლევანტესთან“ 4:2 მოგებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა: კარისკენ 10-ჯერ დაარტყა, აქედან 4 ზუსტი იყო, პორტუგალიელმა 3 გოლი გაიტანა და 1 საგოლე პასი გააკეთა. ერთხელ მოხვდა თამაშგარეში და ერთხელ მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ.

ლიონელ მესიმ 90 წუთი ითამაშა „ოსასუნასთან“ 2:3 მარცხში: კარისკენ 5-ჯერ დაარტყა, 3-ჯერ ზუსტად, ერთხელ მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ.

თქმა არ უნდა, ეს რაუნდი რონიმ მოიგო და ჩვენ „ტურნირში“ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 12:13.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM. 4-3-3

**ტონიო** (რასინგი, 1) - **ნელსონი** (ბეტისი, 1), **სერხიო** (ოსასუნა, 1), კარლოს **მარჩენა** (ვილიარეალი, 1), **ფილიპე ლუიში** (ატლეტიკო, 1) - ბორხა **ვალერო** (ვილიარეალი, 4), რაულ **გარსია** (ოსასუნა, 3), სოფიან **ფეგული** (ვალენსია, 2) - დეიან **ლეკიჩი** (ოსასუნა, 1), **ჟონასი** (ვალენსია, 1), კრიშტიანო **რონალდო** (რეალი, 9).

სიმბოლურ ნაკრებში „ოსასუნას“ ფეხბურთელი ვის გაუკვირდებოდა, ასეთი სამია. დუბლის ავტორი ლეკიჩი და სერხიო პირველად მოხვდნენ ამ სეზონში, რაულ გარსიასთვის კი ეს მესამე დაფასებაა. „ბარსელონას“ არც ერთი ფეხბურთელი სიმბოლურში არ მოხვდა (!), ყველაზე ახლოს გამორჩევასთან ალექსის სანჩესი იდგა, რომელმაც მართლაც კარგად ითამაშა. კრიშტიანო რონალდო ტურის სიმბოლურ ნაკრებში მეცხრედ (!) მოხვდა.

### ტურის გმირი

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

მარტომ გადაწყვიტა მატჩის ბედი, „ლევანტეს“ კარში ჰეთ თრიკი შეასრულა და ერთი საგოლე პასიც გააკეთა.

### ტურის ფრაზები

**ხუანხო გონსალესი:** *„ყველა ხელი არ არის ყვითელი ბარათი“*, - „ლევანტეს“ თავკაცი ინციდენტზე, რომლის შემდეგაც სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა.

**ჟოზე მოურინიო:** *„სხვაგან, როცა თამაშობ კარგად, ხალხს ეს უხარია და ტკბება, აქ კი უფრო კარგად თამაშს ითხოვს“*, - თუ რაოდენ მომთხოვნია „სანტიაგო ბერნაბეუს“ პუბლიკა.

**კრიშტიანო რონალდო:** *„ძალიან მაგრად ვგრძნობ თავს, როცა ტრიბუნები ჩემს სახელს გაიძახიან“*, - ტურის გმირი ჰეთ თრიკის შესრულების შემდეგ.

**ჟოზე მოურინიო:** *„კრიშტიანოს მესამე გოლი იყო ფანტასტიკური, ის ინტერნეტით მთელს მსოფლიოს შემოივლის“*, - რონალდოს სუპერგოლზე.

**პეპე:** *„მედიამ ისეთი პიარი ამიგორა, რომ ხალხის თვალში მკვლელად გამომიყვანა“*, - პორტუგალიელი ფეხბურთელი საკუთარ იმიჯზე.

**ჟოზე მოურინიო:** *„კოპას ფინალში ჩემი გუნდი არ თამაშობს. ასე რომ, საერთოდ არ მაინტერესებს სად ითამაშებენ ფინალისტები, აქ თუ ჩინეთში“*, - პორტუგალიელის პასუხი, როცა მას ჰკითხეს, რა აზრისაა თასის ფინალის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩატარებაზე.

**დეიან ლეკიჩი:** *„ბარსას“ კარში შესრულებულ დუბლს ცხოვრებაში არ დავივიწყებ“*, - ნავარული მატჩის გმირი.

**მაურისიო პოჩეტინო:** *„0:2 მარცხი დიდი უსამართლობაა, ჩვენ მეტოქეზე ბევრად უკეთ ვითამაშეთ“*, - „ესპანიოლის“ არგენტინელი თავკაცი „სარაგოსასთან“ მატჩის შემდეგ.

**მანუელ პელეგრინი:** *„ამდენი შეცდომის მიუხედავად, ლიგის საგზურს მხოლოდ ქულა გვაშორებს“*, - „მალაგას“ ჩილელი თავკაცი.

### ტურის მხვერპლნი

23-ე ტური ესპანეთისთვის უჩვეულო ცივ ამინდში ჩატარდა. ამიტომ ყველაზე მეტი ტრავმა ფეხბურთელებმა კუნთების არასათანადოდ გახურების გამო მიიღეს. ტრავმები მიიღეს: **ტიაგომ** (ატლეტიკო), **რესიომ** (მალაგა), **სანტი კასორლამ** (მალაგა) და **კანელიამ** (სპორტინგი)

### ტურის 5 საუკეთესო გოლი

**ჩვენს მიმოხილვაში სიახლეა. დღეს „ვალენსიას“ ფრანგი ნახევარმცველის სოფიან ფეგულის სუპერგოლი გამოვარჩიეთ.**

1. სოფიან ფეგული (ვალენსია) „სპორტინგის“ კარში
2. კრიშტიანო რონალდო (რეალი) მე-3 გოლი „ლევანტეს“ კარში.
3. კრისტიან ტელიო (ბარსელონა) „ოსასუნას“ კარში.
4. მიშელ პერეირა (მალიორკა) „მალაგას“ კარში.
5. რუბენ კასტრო (ბეტისი) „ბილბაოს“ კარში.

### ტურის სტატისტიკა

*(შენიშვნა: წუხანდელი მატჩის მონაცემები არ არის შესული)*

30 გოლი ტურში (3,33 მატჩში). 7 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა და 1 სტუმრებმა მოიგეს. ტურში მსაჯებმა 57 ყვითელი და 4 წითელი ბარათი დაარიგეს.
ჰეთ თრიკი - **კრიშტიანო რონალდო** (რეალი).
დუბლი - **ჟონასი** (ვალენსია), **დეიან ლეკიჩი** (ოსასუნა)
ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხაირო სამპერიო** (რასინგი, 18 წლის)
ყველაზე მეტი მაყურებელი: 75 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ“
ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 13 500 - „ვალეკასი“
ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **26 - რეალი**
ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **9 - რეალი**
ყველაზე მეტი ჯარიმა: **8 - ვილიარეალი**
ყველაზე მეტი კუთხური: **14 - რეალი**
ყველაზე მეტი თამაშგარე: **25 - ატლეტიკო**
ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **78% - რეალი**

| რასინგი-ატლეტიკო | 0:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** ტონიო (რასინგი)

| ოსასუნა-ბარსელონა | 3:2 |
|---|---|

**საუკეთესო:** რაულ გარსია (ოსასუნა)

| ბეტისი-ბილბაო | 2:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** ნელსონი (ბეტისი)

| ესპანიოლი-სარაგოსა | 0:2 |
|---|---|

**საუკეთესო:** რობერტო (სარაგოსა)

| მალაგა-მალიორკა | 3:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** ჟერემი ტულალანი (მალაგა)

| ვალეკანო-ხეტაფე | 2:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** მიჩუ (რაიო ვალეკანო)

| ვალენსია-სპორტინგი | 4:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** სოფიან ფეგული (ვალენსია)

| ვილიარეალი-გრანადა | 3:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** ბორხა ვალერო (ვილიარეალი)

| რეალი-ლევანტე | 4:2 |
|---|---|

**საუკეთესო:** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

### მომდევნო ტური

18 თებერვალი: ხეტაფე-ესპანიოლი, რეალი-რასინგი, სევილია-ოსასუნა.

19 თებერვალი: გრანადა-რეალ სოსიედადი, ბილბაო-მალაგა, სპორტინგი-ატლეტიკო, მალიორკა-ვილიარეალი, ლევანტე-რაიო ვალეკანო, ბარსელონა-ვალენსია.

20 თებერვალი: სარაგოსა-ბეტისი.

ბომბარდირები: 27 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - გონსალო იგუაინი (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 11 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო), ქარიმ ბენზემა (რეალი); 9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა); 8 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა), არუნა კონე (ლევანტე).

ასისტენტები: 13 - ანხელ დი მარია (რეალი); 11 - მესუთ ოზილი (რეალი); 9 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 8 - დანიელ ალვეში (ბარსელონა); 7 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 6 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), ჩავი (ბარსელონა), რაულ გარსია (ოსასუნა).

ზამორას ტროფეი: 0,73 (გოლი/მატჩში) - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,95 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,10 ტიბო კურტუა (ატლეტიკო); 1,14 - ხავი ვარასი (სევილია); 1,19 - ტონიო (რასინგი).

| სოსიედადი-სევილია | 2:0 |
|---|---|

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, კადამურო - ბერგარა, არანბურუ - ჩაბი პრიეტო, პარდო (75. დემიდოვი), ველა (89. ხ. ლორენტე) - აგირეჩე (72. გრიზმანი).

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - კოკე, კალა, ფასიო, ფ. ნავარო - კამპანია (70. რაკიტიჩი), ტროხოვსკი - ხესუს ნავასი, რეიესი (78. ლუნა), დელ მორალი (70. კანუტე) - ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 ველა (65), 2:0 პარდო (68)

**გაფრთხილება:** ი. მარტინესი - დელ მორალი, ტროხოვსკი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 12-13 (6-1); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 22 | 19 | 1 | 2 | 75-21 | 58 |
| 2. ბარსელონა | 22 | 14 | 6 | 2 | 63-16 | 48 |
| 3. ვალენსია | 22 | 11 | 7 | 4 | 35-22 | 40 |
| 4. ლევანტე | 22 | 9 | 5 | 8 | 29-29 | 32 |
| 5. ესპანიოლი | 22 | 9 | 5 | 8 | 25-26 | 32 |
| 6. ატლეტიკო | 22 | 8 | 7 | 7 | 31-27 | 31 |
| 7. მალაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 28-32 | 31 |
| 8. ოსასუნა | 22 | 7 | 10 | 5 | 26-35 | 31 |
| 9. ბილბაო | 22 | 7 | 9 | 6 | 34-30 | 30 |
| 10. ვალეკანო | 22 | 8 | 4 | 10 | 27-32 | 28 |
| 11. სოსიედადი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-30 | 27 |
| 12. ხეტაფე | 22 | 7 | 6 | 9 | 22-29 | 27 |
| 13. სევილია | 22 | 6 | 8 | 8 | 22-26 | 26 |
| 14. ბეტისი | 22 | 8 | 2 | 12 | 25-31 | 26 |
| 15. ვილიარეალი | 22 | 6 | 8 | 8 | 23-30 | 26 |
| 16. მალიორკა | 22 | 6 | 7 | 9 | 19-28 | 25 |
| 17. გრანადა | 22 | 7 | 4 | 11 | 17-31 | 25 |
| 18. რასინგი | 22 | 4 | 11 | 7 | 18-26 | 23 |
| 19. სპორტინგი | 22 | 5 | 4 | 13 | 20-43 | 19 |
| 20. სარაგოსა | 22 | 3 | 6 | 13 | 18-38 | [illegible] |

### ამბები



## ასე ნანატრი ბერნაბეუ

გუშინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის თასის ფინალის მომავალ ასპარეზზე იმსჯელა. ფინალში „ბარსელონა“ და „ბილბაო“ გავიდნენ. ფედერაციამ თავიდანვე „უსაფრთხოების ზომების“ გამო გამორიცხა მადრიდში თამაში, თუმცა ორივე ფინალისტი სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაშს ითხოვდა. სტადიონი ორივე პირობას აკმაყოფილებს: ის ნეიტრალურია და ბევრ მაყურებელს იტევს. ფედერაციის პოზიცია ასეთია, თუ მადრიდში თამაში არ გამოვა - თასის ფინალს „მესტალია“ უმასპინძლებს.

## პიკეს ავარია

„ბარსელონას“ ცენტრალურმა მცველმა **ჟერარდ პიკემ** გვარიანი შიში ჭამა - შინიდან „კამპ ნოუზე“ მიდიოდა, სადაც „ბარსელონა“ გერმანიაში გამგზავრების წინ იკრიბებოდა, როცა ავტოავარიაში მოყვა. საბედნიეროდ, ავტობუსმა მხოლოდ პიკეს ავტომობილის წინა კარი დააზიანა, თავად ფეხბურთელი იოლად გადარჩა და „ბარსელონას“ შეკრებაზეც დროულად მივიდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წინ

# ლევერკუზენში არც ოცნებობენ!

## ბარსასთან ბაიერის ერთადერთი იარაღი თოვლი და წვიმაა

**ჩემპიონთა** ლიგის მერვედფინალი დღეს ორი მატჩით იწყება: „ბარსელონა“ „ლევერკუზენს“ სტუმრობს, „ლიონი“ კი აპოელ-ს უმასპინძლებს.

**ლევერკუზენი–ბარსელონა 23:45**

ლევერკუზენელები „ბარსელონასთან“ მატჩს გაორებული გრძნობით ხვდებიან: ერთის მხრივ, კატალონიურ სუპერგრანდთან პაექრობა მათთვის დიდი პატივია, მაგრამ ამავდროულად, არა მხოლოდ ლევერკუზენში, არამედ მთელ საფეხბურთო გერმანიაში ყველა ხვდება, რომ ბუნდესლიგის მოქმედი ვიცე-ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულთან უშანსოდაა. არა, მთლად არ ასეც არ არის, რადგან თეორიული შანსი ყოველთვის არსებობს და თანაც, აგერ, „ოსასუნამ“ გვაჩვენა, რომ არც „ბარსაა“ უძლეველი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარი ის არის, რომ შესაძლო წარმატების თავად ლევერკუზენელებსაც არ სჯერათ...

მატჩი **მიხაელ ბალაკის** გარეშე ჩაივლის, თუმცა ეს „ბაიერის“ ქომაგებისთვის სულერთია, რადგან „ფარმაცევტების“ მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი** ბალაკს მაინც არ ათამაშებს ხოლმე. ისე, დუტი რეგულარულად იმეორებს, რომ მისაელის დრო ისევ დადგება – ოღონდ მაშინ, როცა „ბაიერს“ ბურთის „მეტი კონტროლი დასჭირდება“. მეტს ვინ ჩივის, „ლევერკუზენისთვის“ დღეს ბურთის მინიმალური კონტროლიც საოცნებო იქნება, ბალაკი კი ლაზარეთშია.

„ლევერკუზენს“ ძალიან უჭირს შეტევების ორგანიზება. შესაბამისად, დუტი ოცნების კოშკებს არ აშენებს და ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთან მატჩს რეალისტური განწყობით ხვდება: *„ცხადია, ფავორიტი „ბარსელონაა“ და სასწაულია საჭირო იმისათვის, რომ ეს ბარიერი გადავლახოთ. ჩვენ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ „ბარსასთან“ ორი დუელი გველის და რომ ყველაფერი 0:0-დან იწყება. მოკლედ, თეორიულად შანსი არ გვაქვს, მაგრამ თუ მოგვეცემა, სიამოვნებით გამოვიყენებთ, რაც უკვე მომხიბვლელი თეორიაა,“* - განაცხადა დუტმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მოკლედ, დუტის სიტყვები ისე ჟღერს, რომ ლევერკუზენელებს ჩემპიონთა ლიგასთან დამშვიდობებაზე მატჩამდევე აქვთ ხელი მოწერილი. ზოგადად, „ბაიერისთვის“ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამთავითვე შეგვიძლია იმის მტკიცება, „ლევერკუზენი“ მომავალი სეზონისთვის ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის საგზურს ველარ მოიპოვებს. „ფარმაცევტებს“ ლიგაში გამსვლელ მეოთხე ადგილამდე ათი ქულა აშორებთ და კლუბის სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** ამიტომაც ამბობს, ჩვენი რეალური მიზანი ევროპა ლიგის საგზურიაო.

ეს ყველაფერი კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ლევერკუზენელთა ერთადერთი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში ბოლო ორი მატჩისგან მაქსიმალური სიამოვნების მიღებაა, მაგრამ აბა, როგორ უნდა ისიამოვნო შენ თვითონ, როცა „ბარსელონას“ ეთამაშები?

■ ■ ■

**ჟერარდ პიკე**, რომელიც წინა კვირაში, თასის ნახევარფინალში „ვალენსიასთან“ 2:0-ის შემდეგ ამბობდა, სეზონის დამთავრებამდე ჯერ კიდევ საკმარისი დროა დარჩენილი იმისათვის, რომ „რეალს“ დავეწიოთო, გუშინ ავარიაში მოყვა. საბედნიეროდ, კატალონიელთა მცველი უვნებელი გადარჩა – ერთი ეგაა, რომ ცოტა შეეშინდა და ნერვებიც მოეშალა იმის გამო, რომ ავტობუსმა მის მანქანას კარი წააცალა. ისე კი, პიკე გერმანიაში გაემგზავრა და დღეს მოედანზე გასვლა შეუძლია.

სხვა საქმეა ის, რომ მისი ზემოთ მოყვანილი სიტყვების შემდეგ „ბარსა“ „რეალს“ კიდევ სამი ქულით ჩამორჩა, რადგან კატალონიელები შაბათს „ოსასუნასთან“ დამარცხდნენ (2:3), „რეალმა“ კი „ლევანტეს“ მოუგო (4:2) და უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდა. ამის შემდეგ, კატალონიელთა თავკაცმა **პეპ გვარდიოლამ** პირობა დადო, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ბიჭებმა ცხვირები არ ჩამოუშვან – ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი იარალი ოპტიმიზმიაო.

ალსანიშნავია, რომ **ჩავი** და **ანდრეს ინიესტა** „ოსასუნასთან“ სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ, რადგან გაყინულ მოედანზე ტრავმის მიღების ალბათობა იყო გაზრდილი. სამაგიეროდ, „ბარსას“ მთავარი დირიჟორები დღევანდელი მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში არიან.

*„რეალს“ უკვე ძალიან ჩამოვრჩით და პრიმერადივიზიონზე სალაპარაკო ბევრი ალარაფერია. ჩვენი უმთავრესი მიზანი ახლა ჩემპიონთა ლიგის თასის შენარჩუნებაა. ამ მიზნისკენ მიმავალი გზა კი 2012 წელს „ლევერკუზენთან“ გასვლითი მატჩით იწყება, რომელიც უნდა მოვიგოთ,“* - დასძინა გვარდიოლამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.



ლეო მესის და დანი ალვეშს გერმანიაში აუტანელი სიცივე დახვდათ



**მათ დასაკარგი არაფერი აქვთ: ლევერკუზენელები შტეფან კისლინგი (წინა პლანზე) და სიმონ როლფესი გუშინდელი ვარჯიშისას**

რაკი „ბარსელონამ“ „ოსასუნასთან“ ვერ იფრინა (**ლეო მესიც** ძალიან ინერტული გახლდათ), როგორც ჩანს, „ბარსას“ ფანებმა ამიტომაც თქვეს უარი ჩემპიონთა ლიგის გასვლით მატჩზე დასწრებაზე – თანაც, ლევერკუზენში ხომ ძალიან ცივა. დღეს იქ თოვლი და წვიმაა მოსალოდნელი. მოკლედ, „ბარსას“ ფანობა გერმანიაში არ მიდის. ფრენიან-ბილეთებიანად თითოეულს ეს მგზავრობა 300 ევრო დაუჯდებოდა და საბოლოოდ მხოლოდ 72-მა ფანმა მოინდომა ლევერკუზენში ჩასვლა, რაც არ იყო საკმარისი და გერმანიაში ისინიც ვერ წავიდნენ...

■ ■ ■

„ლევერკუზენი“ და „ბარსელონა“ დღემდე ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდნენ და ოთხივეჯერ 2001-დან 2003 წლამდე პერიოდში, როცა „ბაიერს“ საქართველოს ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **კლაუს ტოპმიოლერი** წვრთნიდა. მაშინდელი „ლევერკუზენი“ ამჟამინდელზე გაცილებით ძლიერი იყო, მაგრამ „ბარსა“ იმ ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთხელ დაამარცხა (2001 წელს, 2:1), დანარჩენი სამივე შეხვედრა კი კატალონიელებმა მოიგეს (2:1, 2:1, 2:0). მაშინდელი „ბარსადან“ დღეს გვარდიოლას განკარგულებაში **კარლეს პუიოლი** და ჩავი არიან შემორჩენილები. „ლევერკუზენში“ კი იგივე მხოლოდ ბალაკზე ითქმის, რომელიც, როგორც გითხარით, ტრავმის გამო განაცხადშიც კი არ იქნება...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლევერკუზენი (4-3-1-2):** ლენო – ჩორლუკა, შვააბი, მ. ფრიდრიხი, კადლეცი – კასტრო, რაინარტცი, როლფესი – ლ. ბენდერი – კისლინგი, შიურლე.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი – დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი – ჩავი, მასკერანო, ინიესტა – ფაბრეგასი, მესი, სანჩესი.

**არბიტრი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

**ლიონი–აპოელ 23:45**

აპოელ-მა ამ სეზონში უკვე იმდენჯერ გაგვაოცა, რომ გამოცდილების თვალსაზრისით, მიუხედავად უდიდესი განსხვავებისა, ენა ვერ მოგვიბრუნდება და ვერ ვიტყვით, რომ „ლიონი“ აშკარა ფავორიტია. არადა, ფრანგული კლუბი ამ მატჩს საკადრო პრობლემების გარეშე, სრულ მზადყოფნაში ხვდება. „ლიონის“ თავკაც **რემი გარდის** თქმით, „კაენთან“ განცდილი კრახი (1:2 სტად ჟერლანზე) მის შეგირდებზე ცუდად არ იმოქმედებს.

ზაგრების „დინამოსთან“ სასწაულის (7:1) შემდეგ, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, „ლიონი“ ჩემპიონთა ლიგაში პირველად ითამაშებს და ვალდებულია, საკუთარ მოედანზე აპოელ-ი დაამარცხოს. თავის მხრივ, კვიპროსელებსაც არ სძინავთ – მართალია, მათთვის მერვედფინალში გასვლაც უდიდესი წარმატებაა, მაგრამ ახლა მეოთხედფინალის სუნიც ეცათ და ამბობენ, „ლიონს“ უდიდეს ბრძოლას გავუმართავთო. ჰო, ფრანგებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ აპოელ-მა ჯგუფურ ეტაპზე დონეცკის „შახტარი“, სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ და „პორტუ“ დაჯაბნა და პრინციპში, „ლიონი“ ამ კომპანიაზე დიდად მაღლა არ დგას...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიონი (4-4-2):** ლორისი – რევეიერი, კონე, უმტიტი, სისოხო – ბრიანი, გონალონსი, კალსტრიომი, ბაშტოში – ლისანდრო ლოპესი, გომისი.

**აპოელ (4-2-3-1):** ქიოტისი – პურსაიტიდისი, ჟორჟე, იაჰიჩი, ოლივეირა – მორაისი, პინტუ – ხარალამბიდისი, მარსინიო, მანდუკა – აილტონი.

**არბიტრი:** პაოლო ტალიავენტო (იტალია)

**გოტფრიდ ლენცი**

ჩელსი



# კიდევ ერთი კრება ჩელსიში

“ტელეგრაფის” ცნობით, პრემიერლიგის 25-ე ტურში “ევერტონთან” წაგების მეორე დღეს “ჩელსის” მეპატრონე **რომან აბრამოვიჩმა** გუნდის საგანგებო კრება დილის 10 საათზე მოიწვია. მან კიდევ ერთხელ განუცხადა ფეხბურთელებს, რომ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა მიუღებელ შედეგად მიაჩნია. “არისტოკრატები” 2003 წლის შემდეგ პირველად დგანან რეალური საფრთხის წინაშე, რომ ლიგის ოთხეულს მიღმა დარჩნენ, რაც გუნდის ფინანსურ მდგომარეობას საკმაოდ ძლიერ დარტყმას მიაყენებს. ბოსის შემდეგ სიტყვა “ჩელსის” თავკაცმა **ანდრე ვილაშ ბოაშმა** აიღო და ფეხბურთელებს განუცხადა, რომ ტრადიციული დასვენების დღე გააუქმა. პრემიერლიგის მატჩების მეორე დღეს “ლურჯებს”, როგორც წესი, დასვენება აქვთ ხოლმე. “დეილი მეილის” ინფორმაციით, ამან რამდენიმე ფეხბურთელის უკიდურესი ალშფოთება გამოიწვია.

ახალგაზრდა მწვრთნელის ლონდონში დანიშვნის შემდეგ პირველად დაიძაბა ურთიერთობა მასა და გულშემატკივარს შორის. “გუდისონ პარკის” ტრიბუნებზე შეკრებილმა ორი ათასამდე ლონდონელმა 78-ე წუთზე **ხუან მატას** შეცვლის შემდეგ სიმღერა წამოიწყო, რომლის ტექსტი იყო, თავადაც არ იცი, უკვე რას აკეთებო. *“გულშემატკივრები ერკვევიან ფეხბურთში თუ არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მათი აზრი მაინც ძალიან მნიშვნელოვანია”*, - განაცხადა ამის შესახებ პორტუგალიელმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## მოსკოვში კი არა - შვეიცარიაში, ანჟი კი არა - თხილამურები

ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **ფაბიო კაპელო** უარყოფს რუსული “სპორტ ექსპრესის” მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს “ანჟისთან” მოსალაპარაკებლად ის კვირა სალამოს მოსკოვს ეწვია. “ეკიპის” ჟურნალისტებთან საუბრისას იტალიელმა განაცხადა, რომ ამჟამად შვეიცარიულ ზანკტ მორიტცში იმყოფება და ერთადერთს, რასაც უახლოეს მომავალში გეგმავს, დასვენებაა. *“რუსეთში ხომ არ მივემგზავრები? იმედია, ხუმრობთ. ახლა მხოლოდ დასვენება მინდა. აქედან გამგზავრებას კიდევ ერთი კვირა არსად ვგეგმავ. მერე კი ბოლონიაში ვარ მიწვეული,”* – განუცხადა მან ფრანგულ გამოცემას.

## მაკარტი გაუშვეს

“ვულვერჰემპტონის” მესაკუთრემ, 59 წლის ბიზნესმენმა **სტივ მორგანმა** შინ “ვესტ ბრომვიჩთან” 1:5-ის წაგების შემდეგ მთავარ მწვრთნელ **მიკ მაკარტის** კარისკენ მიუთითა. ინფორმაციას კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. შეკითხვა, თუ რატომ გაათავისუფლეს ირლანდიელი სპეციალისტი არავის დაუსვამს, რადგან ბოლო მატჩების განმავლობაში “ვულვზი” ძალიან დასუსტდა (ბოლო 13 შეხვედრაში 7 წაგება, 5 ფრე და 1 მოგება) და პრემიერლიგიდან გასავარდნთა კოჰორტას შეუერთდა. “მგლები” ბოლოადგილოსან “უიგანს” ორი ქულითღა უსწრებენ.

## მერტეზაკერმა კოჭი დაიშავა

“არსენალის” ცენტრალურმა მცველმა **პერ მერტეზაკერმა** ინგლისში გადასვლის შემდეგ პირველი სერიოზული ტრავმა მიიღო. 27 წლის გერმანელმა კოჭი “სანდერლენდთან” მატჩის 71-ე წუთზე დაიშავა, რასაც **ვოიცეხ შჩესნის** კარში **ჯეიმს მაკლინის** გოლი მოჰყვა. ის ნამდვილად გამოტოვებს “მილანთან” ჩემპიონთა ლიგის პირველ 1/8-ფინალურ დაპირისპირებას. “მერტეს მდგომარეობით შეშფოთებულები ვართ, რადგან მას შინ წასვლა კასტილების დახმარებით მოუხდა. ფეხბურთელს მყესები აქვს დაზიანებული. რა დრო დასჭირდება სამკურნალოდ, ამას დამატებითი გამოკვლევა სჭირდება”, – განაცხადა **არსენ ვენგერმა**.

“სანდერლენთან” მატჩის შემდეგ **ტომას ვერმალენმა** უკმაყოფილება გამოთქვა, რომ მწვრთნელი მას მარცხენა მცველად ათამაშებს. გერმანელის ტრავმის შემდეგ ბელგიელს “მშობლიურ” პოზიციაზე დაბრუნების შანსი მიეცემა.

## გაწევ-გამოწევა დე ხეას გამო

“მანჩესტერ იუნაიტედისა” და “ლივერპულის” ურთიერთობებში მცირე გამყინვარება შეიძლება დაიწყოს. მიზეზი მხოლოდ **ლუის სუარესის** რასისტული გამოხდომები და ევრას შეურაცხყოფა არ არის. გარკვეულწილად ამას ხელი **დავიდ დე ხეამაც** შეუწყო. “დეილი მეილის” ინფორმაციით, შესვენებაზე მიმავალმა 21 წლის ესპანელმა მეკარემ გასახდელში ლივერპულელთა მისამართით გადააფურთხა, რასაც ფეხბურთელებს შორის გაწევ-გამოწევა მოჰყვა. სიტუაცია მხოლოდ სტიუარდებისა და პოლიციის ჩარევის შემდეგ განიმუხტა.

## ასტონ ვილას დანაკარგი

“ასტონ ვილას” ცენტრალურმა მცველმა, 32 წლის **რიჩარდ დანმა** კვირას, “მანჩესტერ სიტისთან” შეხვედრის ბოლო წამებზე მხარი ამოიგდო, რის გამოც **ალექს მაკლიშმა** მის ნაცვლად მოედანზე 20 წლის დებიუტანტი **ნათან ბეიკერი** შეუშვა. “ვილას” დამრიგებელი ვარაუდობს, რომ წამყვანი ცენტრალური მცველი მან ერთი თვით დაკარგა. წინადღეს ბირმინგემელებმა კიდევ ერთი ფეხბურთელი დაკარგეს. ლაპარაკია 22 წლის მცველ **კირან კლარკზე**, ვინც მუხლი დაიზიანა. მაკლიშის შეგირდთაგან ტრავმირებულები არიან ასევე **ჯერმეინ ჯენასი** და **გაბრიელ აგბონლაჰორიც**.

**ლევან ბიბილაშვილი**

## რა უთხრა ჟოზემ რობერტო კარლოსს

„რეალის“ ლეგენდამ, **რობერტო კარლოსმა**, რომელსაც „ლევანტესთან“ მატჩის სიმბოლურად გახსნის პატივი ხვდა წილად, განაცხადა, რომ ესაუბრა **ჟოზე მოურინიოს**. ბრაზილიელი მცველის თქმით, პორტუგალიელი მწვრთნელი ამ სეზონის შემდეგაც მადრიდის „რეალში“ აპირებს დარჩენას და ეს მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. *„მე ვუთხარი მოუს, რომ თუკი გადაიფიქრებს, „ანჟი“ მას ხელგაშლილი შეეგებება. მოურინიო მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია და ის მსოფლიოს საუკეთესო გუნდში მუშაობს“*, - განაცხადა რობერტო კარლოსმა.

## ნავარო ვალენსიაში დაბრუნდა...

...ოღონდ „ლევანტეში“, 31 წლის მცველი **დავიდ ნავარო**, რომელმაც სახელი „ვალენსიაში“ თამაშით გაითქვა უმუშევარი ალარაა. შეგახსენებთ, რომ სეზონის წინ ნავარომ ნოიშატელის „ქსამაქსს“ მიაკითხა, თუმცა შვეიცარიულ კლუბს ხელმძღვანელობის მაქინაციების გამო ლიცენზია ჩამოართვეს და ნავარო თავისუფალი აგენტი გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამბო. საქართველოს ჩემპიონატი



# მარათონული ტურნირი არენის არენაზე

შაბათსსპორტკომპლექსმა „არენამ" სამბისტთა საქართველოს პირველობას უმასპინძლა, რომელიც უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა. ტურნირში 200-მდე მოჭიდავე გამოდიოდა, რაც უსაშველოდ დიდი რიცხვი არაა, მაგრამ რატომღაც ფედერაციამ შარშანდელის დარად ახლაც ერთ დღეში მოინდომა ჩემპიონატის ჩატარება. ამას კიდევ ეშველებოდა, მაგრამ დარბაზშიც ორი ლეიბი გაშალეს და გაჭიანურების მიზეზიც ესეც გახდა. შეჯიბრება დილით 10 საათზე კი დაიწყო, მაგრამ 24 საათისთვის დასრულდა. მძიმე წონაში შეხვედრები დაახლოებით 20 საათისთვის დაიწყო.

შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად ნაკრების ყველა ლიდერს არ უჭიდავია. ტრადიციულად, კვლავაც დიდი იყო ძიუდოისტთა წილი და ბევრი მათგანი ჩემპიონიც გახდა. ტურნირზე კვლავ ვიხილეთ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **მირიან პავლიაშვილი,** რომელმაც ისევ გადაიფიქრა სპორტიდან წასვლა, თუმცა ამჯერად ჩვეული 100 კილოგრამის ნაცვლად მძიმე წონაში გამოვიდა და ჩემპიონიც გახდა. ამით საკუთარი რაიონის - მცხეთის გუნდს საერთო გუნდურ წარმატებაშიც შეეწია. მათ ყველაზე მეტი ოქრო - 3 მოიპოვეს, დანარჩენი 6 კი ქუთაისის, ახმეტის, თელავის, ქარელის, ახალციხისა და გორის გუნდებმა გაინაწილეს.

ეს შეჯიბრება მაისში მოსკოვში გასამართავი ევროპის ჩემპიონატზე იყო ორიენტირებული, თუმცა ჩვენებს მანამდეც ექნებათ შესარჩევი შეჯიბრებები. უახლოესი 22-24 თებერვალს მინსკში გასამართავი „პრეზიდენტის თასია", სადაც სრული გუნდით ვიასპარეზებთ, თუმცა მწვრთნელებს ჯერ საბოლოო შემადგენლობა არ დაუსახელებიათ.

**ირაკლი თავაძე**



**კვარცხლბეკი**

**52 კგ.** 1. გენადი ჩირგაძე (ქუთაისი), 2. დიმიტრი მულაძე, 3. თამაზ ნოზაძე (ორივე - ხაშური), სანდრო ხუციანიძე (თბილისი).

**57 კგ.** 1. ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი), 2. ილია ტყეშელაშვილი (ქუთაისი), 3. ჯონდო მარიდაშვილი (თბილისი), გიორგი ნასყიდაშვილი (ზესტაფონი).

**62 კგ.** 1. შმაგი ლაგაზაური (ახმეტა), 2. ბექა ბუცხრიკიძე (ფოთი), 3. გიგა ბერიაშვილი (კასპი), ლაშა გიუნაშვილი (ქარელი).

**68 კგ.** 1. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა), 2. ვასილ ბერუაშვილი (რუსთავი), 3. ბექა იმერლიშვილი (გარდაბანი), ვანიკო თოთლაძე (გორი).

**74 კგ.** 1. გიორგი გასიტაშვილი (ქარელი), 2. ბექა ბერულავა (თბილისი), 3. გიორგი პაპუნაშვილი (გორი), ბექა ბერიაშვილი (კასპი).

**82 კგ.** 1. გიორგი ბაინდურაშვილი (მცხეთა), 2. ნიკო კუცია (ფოთი), 3. დავით კარბელაშვილი (გორი), ზაზა დავაძე (მარნეული).

**90 კგ.** 1. პაატა ლვინიაშვილი (გორი), 2. გიორგი იაძე (კასპი), 3. გიორგი ეპიტაშვილი (გარდაბანი), გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა).

**100 კგ.** 1. ბექა ბერძენიშვილი (ახალციხე), 2. გიორგი ქავტარაძე (თბილისი), 3. ილია მაჭავარიანი (გორი), მიხეილ ნარიმანიძე (დედოფლისწყარო).

**+100 კგ.** 1. მირიან პავლიაშვილი (მცხეთა), 2. ონისე ბულაძე (საჩხერე), 3. სლავა რეზესიძე (დმანისი), მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა).

თავისუფალი ჭიდაობა. თურქეთის ტურნირი

# თურქული უმედობა

ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ძალზე სუსტად გამოვიდნენ ანკარაში დამთავრებულ იაშარ დოგუს ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში. ანკარაში 11-მა ქართველმა იჭიდავა, თუმცა მედალი ვერავინ მოიპოვა. ჯილდოსთვის მხოლოდ **ტრისტან ჩირგაძემ** (55) იჭიდავა, რომელმაც დამამშვიდებლის ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, მაგრამ დამარცხდა და მესამე ადგილზე დარჩა. დანარჩენებიდან ყველაზე უკეთ **შალვა მუზიაშვილი (66)** გამოვიდა, რომელსაც საბოლოოდ მეშვიდე ადგილი ხვდა. სამწუხაროდ, **გიორგი ბალიაშვილი, ბექა ლომთაძე, მურთაზ კვესაძე** (სამივე - 60), **გიორგი ცუცქირიძე** (66), **გიორგი მარსაგიშვილი** (74), **მარადი ზოიძე** (84), **დავით ქერაშვილი, მამუკა კორძაია** (ორივე - 96) და **ლევან სეთურიძე** (120) უსახელოდ გავარდნენ. მართალია, ეს ჩვენი მეორე ნაკრებია და არა ეროვნული, თუმცა მათი ასეთი სუსტი გამოსვლაც ძალზე ცუდია, როგორც დასტური იმისა, თუ რაოდენ მწვავედ დგას რეზერვის საკითხი მთავარი გუნდის წინაშე. არადა, თურქეთში რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენიც გამოდიოდა, რომლებსაც ახალგაზრდებშიც გვარიანი წარმატებებისთვის მიუღწევიათ და უფროსებშიც დიდ იმედებს ვამყარებთ. გვესმის, რომ ძლიერი ტურნირი იყო, მაგრამ ასეთ წარუმატებლობას მაინც ვერ გავამართლებთ. შეჯიბრების სიძლიერეზე ისიც მიუთითებს, რომ 96-ის ფინალში ერთმანეთს აზერბაიჯანელი მსოფლიოს ჩემპიონები, **შარიფ შარიფოვი** და **ხეტაგ გოზიუმოვი** შეხვდნენ. შარიფოვი აქამდე 84-ში ჭიდაობდა, ახლა კი 96-ში მოგვევლინა. თუმცა ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი გოზიუმოვი მოწოდების სიმაღლეზე დადგა და შარშანდელი წლის საუკეთესო „თავისუფალ" მოჭიდავედ დასახელებულ შარიფოვს დამაჯერებლად მოუგო.




ჩვენი ეროვნული ნაკრები დღეს კიევში გაფრინდება, სადაც 15-16 თებერვალს დიდი საერთაშორისო ტურნირი იმართება. წინასწარი მონაცემებით, მასში 20-მდე გუნდი იასპარეზებს. ჩვენი ნაკრები იქ ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ბესარიონ გუჩაშვილი** (ორივე - 55), **მიხეილ ზარქუა** (60), **ოთარ თუშიშვილი, ზურაბ იაკობაშვილი** (ორივე - 66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120). კიევში არ იჭიდავებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური მედალოსანი **გიორგი გოგშელიძე** (96), რომელიც მწვრთნელებმა დაასვენეს.

გუშინ ნაკრები სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** ინახულა ფალავანდა კლუბში, სადაც დუშეთის შეკრებიდან დაბრუნებულმა გუნდმა კიევში წასვლის წინ ბოლო ვარჯიში ჩაატარა.

**ირაკლი თავაძე**

ინფრასტრუქტურა



დღეს ასე გამოიყურება ყოფილი ცირკის შენობა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გორში სპორტის სასახლის ფუნქციას ასრულებდა

# გორს სპორტის სასახლე ექნება

ახლახანსპორტის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, სადაც ვლადიმერ ვარძელაშვილი რეგიონებში სპორტზე პასუხისმგებელ პირებსა და სპორტსკოლათა ხელმძღვანელებს შეხვდა, ცნობილი გახდა, რომ 2012 წელს გორში 3 000 მაყურებელზე გათვლილი სპორტის სასახლის მშენებლობის დაწყება იგეგმება. გორში სპორტის სასახლის საჭიროებაზე „ლელო" ადრეც წერდა. შიდა ქართლის მთავარ ქალაქში დიდი ხანია საშეჯიბრებო სარბიელი აღარა არის. ამ ფუნქციას წლების განმავლობაში მტკვრისა და ლიახვის შესართავთან მდებარე ყოფილი ცირკის შენობა ითავსებდა. 60–იან წლებში აშენებული ეს ნაგებობა დაახლოებით 30 წლის შემდეგ ხანძარმა გაანადგურა. ამ ხნის განმავლობაში არენამ უამრავ პირველობას უმასპინძლა. ძიუდოში კი 18-ჯერ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი თვით იაპონელთა მონაწილეობითაც.

ახლა ასპარეზობები აქ ძირითადად გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზში ტარდება. არადა იგი ფაქტობრივად სავარჯიშო დანიშნულებისაა. სხვათა შორის, მიმდინარე წელსაა დაგეგმილი გორში, ნუგზარ სხირელის დარბაზის აგებაც. თუმცა იმ შენობასაც, რასაკვირველია, მხოლოდ სავარჯიშო დატვირთვა ექნება. მით უფრო სასიხარულოა სპორტის სასახლის აგება, რომელიც, საერთოდ, დიდად წაადგება სპორტის განვითარებას შიდა ქართლში.

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

დავით ასპანიძის ფოტო

ჩოგბურთი

# ანა წინ მიიწევს: +3

გუშინ WTA-ის და ATP-ის რეიტინგლისტები განახლდა. სასიამოვნო სიახლეა ქალთა კლასიფიკაციაში - 22 წლის **ანა ტატიშვილმა** სამი საფეხურით წაიწია წინ და 822 ქულით მსოფლიოს 77-ე ჩოგანი გახდა. ერთიც და მეორეც (ქულები და ადგილი) ჩვენებურის კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. 5-10 საფეხურიც და ტატიშვილი ლონდონის ოლიმპიადის საგზურს გაინაღდებს (ზუსტი გამოთვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია).

სხვები: 186 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 340 ქულა; 264 (-) **სოფიო შაფათავა** - 208; 362 (+11) **სოფიო ქვაცაბაია** - 122; 380 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 111; 406 (-19) **ეკა გორგოძე** - 98; 483 (+4) **თათია მიქაძე** - 70; 814 (-) **ნათია გეგია** - 10; 1001 (+2) **ანი გოგვაძე** - 10. ვაჟები: 1 239 (+1) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 334 (+1) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 468 (+3) **ალექსანდრე მეტრეველი**. კარიერის საუკეთესო ნიშნულს მიაღწიეს ქვაცაბაიამ და გოგვაძემაც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

წიგნის თარო

„ლანჩხუთის „გურიის" საკავშირო უმაღლეს ლიგაში გადასვლა საოცრება იყო. ამ კოლორიტულმა კლუბმა მართლაც საამაყო ფურცელი ჩაწერა ქართული სპორტის მატიანეში. 1986 წელს პატარა რაიონული ცენტრის გუნდმა პირველად შეძლო საფეხბურთო ელიტაში შესვლა.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა, მაგრამ ლანჩხუთელთა იმდროინდელ ტრიუმფს არა თუ მოაკლდა ბრწყინვალება, არამედ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა".

ეს არის შესავალი **მერაბ წულაძის** მიერ მომზადებული ალმანახისა „გურია" - 1986. 25 წელი ტრიუმფიდან", რომელშიც ასახულია ლანჩხუთის საფეხბურთო გუნდის წარმატება და რაიონის საფეხბურთო ისტორია. ისტორია კი გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. 1926 წელს **ანდრო ჟორდანიას** მიერ ჩამოყალიბებულ ლანჩხუთის გუნდს („კიმი") ბახმაროში გამართულ რეგულარულ ტურნირში გაუმარჯვია.

ალმანახში ჩამოთვლილია იმ ღვაწლმოსილ ადამიანთა გვარები, რომლებიც ლანჩხუთის რაიონის ფეხბურთის პიონერები იყვნენ და მათიც, ვინც მათგან მიიღეს ესტაფეტა - გუნდები გაიყვანეს საქართველოს და საბჭოთა კავშირის საფეხბურთო სარბიელზე.

ალმანახი კარგადაა გაფორმებული, რაც ტექნიკური რედაქტორის **მამუკა ქანთარიას** დამსახურებაა.

ლანჩხუთელებს სხვებიც თუ მიჰბაძავენ, ბოლოს და ბოლოს შესაძლებელი გახდება ქართული ფეხბურთის სრული ისტორიის გამოცემა.

**თენგიზ თომაშვილი**




**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრამპლინიდან ხტომა



ლევან კოზანაშვილი, დავით მინასიანი, არტურ სარქისიანი

# კობას თასზე

ბაკურიანისათვის დამახასიათებელი ჩვეული ცივი, უხვთოვლიანი და მზიანი ამინდი, კამკამა ლურჯი ცა, ნაძვის წიწვებით მორთული სასპარეზო, - ასე გამოიყურებოდა ბაკურიანის 40-მეტრიანი ტრამპლინი, რომელზედაც ბაკურიანელმა მფრინავმა მოთხილამურეებმა 11 თებერვალს მოკრძალებით აიღეს სტარტი იმ ადამიანის პატივსაცემად, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. სპორტის დამსახურებული ოსტატი, მფრინავ „ტორპედოდ“ წოდებული, ღირსების ორდენის კავალერი, XX საუკუნის მსოფლიოს მფრინავ მოთხილამურეთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი, **კობა წაქაძე** ერთადერთი ქართველია, რომელიც სსრკ-ს ნაკრებს 20 წელზე მეტხანს შემორჩა და ოთხი ოლიმპიადის მონაწილეა. ეს ცოტას როდი ნიშნავდა იმ უსასრულო საბჭოთა სივრცეში.

...ღელავდნენ ჯერ კიდევ გამოუცდელი, ახალფეხადგმული მოხტუნავეები, ღელავდნენ მათი მწვრთნელებიც **იბრაჰიმ გობოზოვი, გელა სოტიშვილი, გიორგი დაიკონაშვილი,** რომლებიც კობა წაქაძის ვაჟის, ყოფილი მფრინავი მოთხილამურის **კახა წაქაძის** გვერდით იზრდებოდნენ ბაკურიანის ტრამპლინებზე. მთავარ მსაჯ **სიმიკ სარქისიანთან ერთად** შეჯიბრებას **სახო კოზანაშვილი** და თვით **კახა წაქაძე** უძღვებოდნენ.

ორი ნახტომის ჯამში ყველაზე მეტი ქულა - 269,7 (52,5 მ და 51 მ) **დავით მინასიანმა** მოიპოვა და კობა წაქაძის თასს დაეუფლა. გამარჯვებულს ჯილდო კახა წაქაძემ გადასცა. 243,2 (51 მ; 53,5 მ) ქულით მეორე ადგილი **ლევან კოზანაშვილმა** დაისაკუთრა; 208,7 (36 მ; 40 მ) ქულით მესამე ადგილი **არტურ სარქისიანს** ერგო. ამჯერად **გიორგი შუბითიძემ** 199,4 (35 მ; 40,5 მ) ქულა მოაგროვა და მეოთხე ადგილზე გავიდა.

ყველაზე უმცროსი მონაწილეთა შორის 11 წლის **ვაჟა კოზანაშვილი** იყო. უფროსების გვერდით ძალები გამოსცადა 7 წლის **ალან გობოზოვმაც.**

**სოფიკო ხეთაგაშვილი**
ბაკურიანიდან

● სამთო თხილამურობა



# კვარცხლბეკს ვერ მიუახლოვდნენ

ევროპის ზამთრის კურორტებზე გახურებული სამთო თხილამურობაა. პლანეტის ნებისმიერი კუთხიდან იხილავთ აქ თხილამურებით სრიალის მოყვარულთ. მათ შორის ქართველი სპორტსმენებიც არიან. ისინი უმთავრესად ახალგაზრდულ ტურნირებში ასპარეზობენ, თუმცა ბოლო დღეებში თანატოლებთან პაექრობისას კვარცხლბეკს ვერ უახლოვდებიან.

გასულ უქმეებზე **ჯაბა გელაშვილი** გერმანიაში ცხრა ქვეყნის 73 წარმომადგენელს დაუპირისპირდა. 1.37,96-ით მან მე-14 ადგილი დაიკავა. პირველობა მასპინძელ რაულ საუტერს (1.35,13) ხვდა.

სამი დღეა, იტალიურ ბორმიოში ძალებს ცდიან **დიმიტრი გედევანიშვილი, სოსო ჯაფარიძე,** შოთა ნათაძე და **ნიკოლოზ კოზანაშვილი.** გაუწყებთ მათს შედეგებს:

**11 თებერვალი. სუპერგიგანტი.** 12. გედევანიშვილი (1.08,40), 34. ჯაფარიძე (1.11,54), 38. ნათაძე (1.12,72), 40. კოზანაშვილი (1.12,88). გაიმარჯვა ავსტრიელმა კრისტიან შლოფერმა (1.06,92).

**12 თებერვალი. სლალომი.** 11. გედევანიშვილი (1.31,78), 22. ნათაძე (1.35,93), 23. კოზანაშვილი (1.35,98). ჯაფარიძემ მეორე დისტანცია ვერ ჩაამთავრა. პირველი ადგილი სლოვენიელმა ალჯაზი დვორნიკმა (1.28,55) დაიკავა.

**13 თებერვალი. გიგანტური სლალომი.** 16. გედევანიშვილი (1.58,06), ჯაფარიძე (2.00,68), ნათაძე პირველსავე დისტანციაზე ჩამოშორდა შეჯიბრებას. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აქაც სლოვენიელი იან ბრეზნიკი (1.54,96) ავიდა.

**ვაჟა დანელია**

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**

**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

● ჩოგბურთი. ინტერვიუ სოფიო ქვაცაბაიასთან

# მადრიდის რეალს ქომაგობს

**ახალი სეზონის დაწყებიდან თვენახევარიც არ გასულა და 23 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა სოფიო ქვაცაბაიამ (რეიტინგით 382-ე) უკვე ოთხ ტურნირზე მოსინჯა ძალები; სამში წარმატებას მიაღწია - ორი 10-ათასიანი საერთაშორისო შეჯიბრება ანტალიაში მოიგო, ერთიც - მალიორკაზე. ესპანეთში გამარჯვების შემდეგ თბილისში დაბრუნებულ ქვაცაბაიას მტკვრის სანაპიროზე ახლახან გახსნილ დახურულ კორტებზე შევხვდით მორიგი ვარჯიშისას.**

- შარშანდელი სეზონი ჩემთვის ერთგვარად უიღბლო გამოდგა, - მითხრა სოფიომ. - თურქეთის 10-ათასიან ტურნირში გამარჯვების მერე ცუდად გავხდი და ორი თვე არსად მითამაშია. თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის თითქოს მოვასწარი ძალების აღდგენა. ათიათასიანში მხოლოდ ფინალური შეხვედრა დავთმე თათია მიქაძესთან. 25-ათასიანში ზედიზედ ორი მეტოქე დავამარცხე. მესამე წრეში უნგრელ რეკა-ლუკა იანისთან პირველ სეტს 4:0-ს ვიგებდი, კუნთი რომ დამეჭიმა და ორთაბრძოლის გაგრძელება ვერ შევძელი. ფაქტობრივად, მთელი წელი გამიცდა.

**- ახალი სეზონისთვის სად მოემზადე?**

- შემოდგომით იტალიაში წავედი ჩემს მწვრთნელთან. სესტრი ლევანტეში მეორე წელიწადია, რაულ რაზინგერი მავარჯიშებს. კარგი პიროვნებაა, თუმცა ძალიან მომთხოვნი. მაკა ჩახნაშვილი შვიდი წელიწადია, მასთან ემზადება. ჰოდა, მე და მაკა ახალ წელსაც არ დაგვასვენა - სამი საათი გვავარჯიშა კორტზე. მერე სპარინგმატჩი გვათამაშა. ასე რომ, ანტალიურ ბატალიებს კარგ სპორტულ ფორმაში შევხვდი. პირველი ტურნირის ძირითად ბადეში მე-4 ნომრად ვიყავი განთესილი. ხუთ მეტოქეს ვაჯობე. განსაკუთრებით ნახევარფინალში გამიჭირდა. რუმინელ ალექსანდრა დომაშინას პირველი ხელი მშრალად მოვუგე - 6:0. ვიფიქრე, მეორეშიც იოლად ვძლევ-მეთქი და დავისაჯე კიდეც - 3:6 დავმარცხდი. მესამე სეტსაც ვაგებდი 2:4-ით, მაგრამ შევძელი ძალების კონცენტრაცია და 7:5 გავიმარჯვე. ფინალში რუსი ევგენია პაშკოვას ძლევა არ გამჭირვებია - 6:0, 6:2.

**- დომაშინას ანტალიის მეორე ტურნირზეც გადაეყარე...**

- დიახ, მეოთხედფინალში, მაგრამ იქ მეტოქისთვის წარმატების იოტისოდენი შანსიც არ დამიტოვებია - 6:0, 6:2. საერთოდ, მე-2 ტურნირი ისე მოვიგე, რომ მეტოქეებისთვის სეტიც არ დამითმია. არადა, ყველაზე მეტ წინააღმდეგობას რუმინელ ლიანა-გაბრიელა უნგურისგან ველოდი. ეს 29 წლის სპორტსმენი კარგა ხანს იყო ქალთა რეიტინგის მეორე ასეულში, დიდი ტურნირებიც უთამაშია. ჩემდა გასაკვირად, პირველი ხელი რუმინელმა 0:6 დათმო, მეორეში 0:3-ს რომ აგებდა, შეჯიბრებიდან მოეხსნა.

ჩემს ანტალიურ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის იტალიელ ფილიპო გიოს - ისიც რაულ რაზინგერთან ვარჯიშობს და დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. გიო, ვაჟთა კვალიფიკაციის პირველსავე წრეში დამარცხდა და მერე მე მქომაგობდა, კონსულტაციებს მიწევდა. ასე ვთქვათ, მწვრთნელის ასისტენტის მოვალეობას ასრულებდა.

**- მალიორკაზე რა მოხდა?**

- განსაკუთრებული არაფერი. ანტალიაში გამართული ორთაბრძოლების შემდეგ, ეტყობა, გადავიღალე და მალიორკის პირველი ტურნირის მეოთხედფინალში გერმანელ ჯასმინ შტეინხერთან დავმარცხდი. მეორე ტურნირისთვის დასვენება მოვასწარი. მესამე ნომრად ვიყავი განთესილი. პირველი შეხვედრა იოლად მოვიგე. მეორე წრის მატჩების დაწყებამდე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. თითქმის დღენახევარი არ გადაუღია. გადავწყვიტე, შესვენებით მესარგებლა და შენგენის ვიზა გამეფორმებინა. ის იყო, საქმეს მოვრჩი, რომ ტურნირის ესპანელმა მონაწილემ ივონე კავალიე-რეიმერსმა დამირეკა, წვიმამ გადაიღო და 15 წუთში კორტებზე გავდივართო. აღარც მახსოვს, როგორ მივაღწიე შეჯიბრების ადგილამდე. ვენესუელელი მეტოქე სუსტი მოთამაშე გამოდგა. საინტერესო ის იყო, რომ ბოლო გეიმებისას წამოთოვა და რომანტიკული პაექრობა გამოგვივიდა.

**- როგორც ვიცი, ფინალში სწორედ გადამრჩენელს - კავალიე-რეიმერსს სძლიე.**

- მე და ივონე მალიორკაზე სამი წელიწადი ვვარჯიშობდით ერთად ჯოფრე პორტასთან, რომელიც წლების განმავლობაში ნადალის და მოიას წვრთნიდა. ამიტომაც ვმეგობრობთ კიდეც, თუმცა ეს ხელს არ გვიშლის, კორტზე ერთმანეთს მეტოქეობა გავუწიოთ. რეიმერმა ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილ გერმანელ შაფერს აჯობა. ცხადია, გადამწყვეტ პაექრობაში მასთან გაჯიბრება მერჩია, რადგან კარგად ვიცი ივონეს სუსტი მხარეები.

**- გასამარჯვებლად, ალბათ, მხოლოდ ეს არ იქნებოდა საკმარისი.**

- რა თქმა უნდა. მით უმეტეს, რომ ივონე დღესაც პორტასთან ვარჯიშობს და საგრძნობლად დაწინაურდა. თავის ქებად თუ არ ჩამითვლით, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში რაზინგერის დახმარებით მეც ბევრი რამ შევცვალე ჩემს სათამაშო ტექნიკა-ტაქტიკაში. რაც მთავარია, ფიზიკური კონდიციები ავიმაღლე, სწრაფ ტემპში შემიძლია თამაში, უწინ მარცხენა დარტყმა თუ მიჭირდა, ახლა ესეც გამოვასწორე და, როგორც ხედავთ, შედეგებმაც იმატა.

**- წყვილებში ესპარეზობისას ვისი პარტნიორობა გსიამოვნებს?**

- ბოლო ერთი წელიწადია, მაკა ჩახნაშვილთან ერთად ვთამაშობ. თუ სხვადასხვა ტურნირზე ვართ, მაშინ მეწყვილედ რომელიმე ქართველ ჩოგბურთელს ვირჩევ.

**- დიდ სპორტში ათლეტები სხვადასხვა გზით მოდიან. შენ როგორ მოხვდი ჩოგბურთში?**

- ცნობილი მწვრთნელი არჩილ კეკელია ჩემი ნათესავია. რვა წლისა მან წამომიყვანა ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე სავარჯიშოდ და სანამ ესპანეთში გავემგზავრებოდი, ის მამეცადინებდა.

**- ჩოგბურთის გარდა, რა გიტაცებს?**

- ცურვა, მუსიკა, განსაკუთრებით - ფეხბურთი. მადრიდის “რეალის” ქომაგი ვარ. მალიორკაზე ყოფნისას ადგილობრივ გუნდთან მის თამაშებს დავსწრებივარ.

**- სად სწავლობ?**

- თბილისის მე-7 გიმნაზიის დამთავრების შემდეგ არჩევანის წინაშე დავდექი: ან უნივერსიტეტში უნდა გამეგრძელებინა სწავლა, ან ესპანეთში წავსულიყავი დასაოსტატებლად. ამერიკის ერთ-ერთი უნივერსიტეტიდანაც მქონდა მოწვევა. არჩევანი მაინც პროფესიული ჩოგბურთის სასარგებლოდ გავაკეთე. მშობლები ჩემს სურვილს არ შეწინააღმდეგებიან. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სამომავლოდ უმაღლესი განათლების გარეშე დავრჩები.



მიხეილ ხმიადაშვილი და სოფიო ქვაცაბაია

**- თავისუფალ დროს რით ერთობი?**

- სპორტსმენებს ასეთი ბედნიერება იშვიათად გვაქვს: ვარჯიში, შეჯიბრება, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაფრენა... ნორმალურად ძილსა და წიგნის წაკითხვას თვითმფრინავში თუ ვახერხებთ. დროს თუ გამოვითავისუფლებ, მეგობრებთან ვიმყოფები ან ვზივარ ჩემთვის და მუსიკებს ვუსმენ.

**- თბილისში დიდხანს დარჩები?**

- ვიზის ასაღებად დავბრუნდი: მე, ჩემი იტალიელი მწვრთნელი რაზინგერი და მაკა ჩახნაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში მივემგზავრებით საასპარეზოდ. მაიამი ბიჩი ორ 50-ათასიან ტურნირს უმასპინძლებს. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, შეიძლება, სხვა ტურნირებზეც დავრჩე. მერე ისევ იტალიაში დავბრუნდები საწვრთნელად. განსაკუთრებული რამ თუ არ მოხდა, თბილისისა და თელავის ტურნირებშიც გამოვალ.

ამერიკაში გამგზავრებამდე აქ ვივარჯიშებ - დახურულ კორტებზე, რომელიც ახლახან გაიხსნა. ძალიან მომწონს აქაურობა - ნებისმიერი დონის შეჯიბრების გამართვა შეიძლება. პარტნიორობას ჭაბუკი ჩოგბურთელი - მიხეილ ხმიადაშვილი მიწევს.

**ცნობისთვის**: 16 წლის ხმიადაშვილი 18-წლამდელთა მსოფლიო რეიტინგში 220-ეა, საქართველოს ჩემპიონია 16-წლიანებში, 2011 წლის ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი და ფოლცვაგენის თასის გათამაშების ფინალისტია. შარშან სომხეთში 18-წლიანთა ორი საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

**- სოფო, სამი წელიწადი საქართველოს ქალთა ნაკრებში გამოდიოდი.**

- დიახ, მაგრამ შარშან ტრავმების გამო არ მიასპარეზია. წლევულს ეროვნულ გუნდს თუ დავჭირდები, სათამაშოდ მზად ვარ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● ჭადრაკი

# ჯობავამ წინ მიიწევს

მოსკოვში „აეროფლოტის“ საჭადრაკო საერთაშორისო ფესტივალის A ტურნირში გუშინ წარმატებით ითამაშა **ბაადურ ჯობავამ**. ჩვენებურმა თეთრი ფიგურებით 56-ე სვლაზე სძლია რუს დმიტრი ბოჩაროვს, 4,5 ქულას მოუყარა თავი და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. 5,5-5,5 ქულით უკრაინელი პაველ ელიანოვი და პოლონელი მათეუშ ბარტელი დაწინაურდნენ. გუშინ მათ ანტონ კორობოვი (უკრაინა) და ფაბიანო კარუანა (იტალია) დაამარცხეს.

ოთხქულიანთაგან ვიორელ იორდაჩესკუმ (მოლდოვა) შავებით თურქ ბარის ესენს მოუგო, ხოლო ჰრანტ მელქუმიანმა (სომხეთი) ჩაბა ბალოგს (უნგრეთი) აჯობა. ლიდერთა დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: ევგენი სვეტუშკინი (რუსეთი)-ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი), დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი)-ვლადიმირ ფედოსეევი (რუსეთი), ევგენი ალექსეევი (რუსეთი)-ივან სოკოლოვი (ჰოლანდია), მაქსიმ როდშტეინი (ისრაელი)-ბუ სიანჭი (ჩინეთი). **ნაზი პაიკიძემ** ისევ წააგო, ამჯერად ყატარელ დიდოსტატ მოჰამად ალ-მოდიაკისთან და ერთი ქულით კვლავ ბოლო ადგილზეა. 5-5 ქულით იორდაჩესკუ, კორობოვი და მელქუმიანი მესამე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ. 17 მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს. დღეს მე-8 ტურში ჯობავა როდშტეინს დაუპირისპირდება, პაიკიძე კი ბორის სავჩენკოს (რუსეთი) გაუწევს მეტოქეობას.

B ტურნირნირში ქუთაისელმა **მერი არაბიძემ** იყოჩაღა – თეთრი ფიგურებით მან ინდოელ მარია ივანას აჯობა და 3,5 ქულა მოაგროვა. შვიდი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილს 6,5 ქულით თურქი ემრე ჯანი უდგას სათავეში. გუშინ იგი გრიგორი ოპარინს (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე.ხუთ მოჭადრაკეს (რუსები – შიმანოვი, ოპარინი, დობროვი, რეშეტნიკოვი, სტუპიკინი) 5,5 ქულა აქვს. დღეს არაბიძე სერგეი პავლოვს (უკრაინა) შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

აღიარება

# ფანების გამოკითხვა: შენგელია ევროპის საუკეთესო ახალგაზრდაა!

დიდი ხანია, სათაურში ძახილის ნიშანი არ გამომიყენებია. ამბავი, რომელზეც ახლა ვწერ, ნამდვილად იმსახურებს ამ ნიშანს. ფიბა-ევროპის ოფიციალური საიტი ყოველწლიურად ავლენს საუკეთესო კალათბურთელებს როგორც ვაჟებში, ასევე ქალებში (ახალგაზრდებსა და ზრდასრულებში). პირველად გამოკითხვის ისტორიაში კანდიდატთა ათეულში ქართველი კალათბურთელი შევიდა - **თორნიკე შენგელია**, რომელიც ევროპის 2011 წლის ტოპ-10 ახალგაზრდას შორის მოხვდა. გულშემატკივრებს საშუალება ჰქონდათ ინტერნატის მეშვეობით ყოველდღიურად ხმა მიეცათ რჩეული მოთამაშისთვის. ამის პარალელურად, ფიბა-ევროპის ჟურნალისტებმა გამოკითხეს საკალათბურთო სპეციალისტები, რომელთა ხმები ფანებისას შეაჯამეს და გამოავლინეს 2011 წლის ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა.

■ ■ ■

ვიდრე საბოლოო შედეგზე ვიტყოდეთ, გულშემატკივრების გამოკითხვას გადავხედოთ. ამ მაჩვენებლით თორნიკე საუკეთესო იყო (26322), ორჯერ მეტი ხმა მიიღო მეორეადგილოსან **იონას ვალანჩუნასთან** (13491) შედარებით. მესამე გახლდათ „რეალის" მეფარე **ნიკოლა მიროტიჩი** (11693).

ექსპერტების გამოკითხვაში კი ყველას ლიტველმა ვალანჩუნასმა აჯობა - 569 ქულა. მეორე იყო მიროტიჩი, მესამე - თურქი **ენეს კანტერი**. როგორც ირკვევა, სპეციალისტების ხმებს ფანებთან შედარებით გაცილებით დიდი წონა აქვს. ამიტომ ორი მაჩვენებლის შეჯამების შედეგად შენგელია მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

■ ■ ■

უახლოეს ნომერში თორნიკეს შესახებ უფრო ვრცლად მოგითხრობთ, აქ კი მოკლედ გეტყვით მის მონაგარზე. 2011 წლის ივლისში შენგელიას დახმარებით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები B დივიზიონის ჩემპიონი გახდა და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. იგი ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს, საშუალოდ 29.9 ქულას, 12 მოხსნასა და 2.6 პასს აგროვებდა.

აგვისტოში თორნიკე საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად ჩაერთო ევროპის ჩემპიონატში და არც იქ შეურცხვენია თავი - ერთ-ერთმა რუსულმა გამოცემამ შეჯიბრების აღმოჩენათა შორის დაასახელა. ევრობასკეტზე შენგელიას საშუალო მონაგარი 8.8 ქულა და 4.6 მოხსნა იყო.

სანაკრებო ბატალიების შემდეგ იგი ბელგიურ „შარლერუას"' შეუერთდა და გუნდთან ერთად ჯგუფური ტურნირის საგზური მოიპოვა. ახალგაზრდა ქართველმა „რეალთან", „მაქაბისთანა" და მათ დარ გუნდებთანაც დაამტკიცა, რომ მაღალი დონის კალათბურთის თამაში შეუძლია. იგი ყოველ მატჩს სასტარტო ხუთეულში იწყებდა, საშუალოდ 20.4 წუთში 8.3 ქულასა და 4.3 მოხსნას ითვლიდა.

...დეკემბერში მიღებული ტერფის ტრავმას შენგელია დღესაც მკურნალობს.

საინტერესოა, რომ 2011 წელს თორნიკე იონას ვალანჩუნასს (საერთო შედეგით ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელი) მოედანზეც შეხვდა. ლიტვის ნაკრებმა საქართველო ამხანაგურ მატჩში 88:80 დაამარცხა. იონასმა 2 ქულა ჩააგდო, თორნიკემ - 15.

თუმცა, რადგან სპეციალისტების ხმების უმეტესობა ვალანჩუნასმა მოაგროვა, ე.ი. ეკუთვნოდა კიდეც. მან ლიტველ 19-წლამდელებს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა (23 ქულა, 13.9 მოხსნა).

**2011. ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა**

| მოთამაშე | ფანები | ექსპერტები | ჯამი |
|---|---|---|---|
| იონას ვალანჩუნასი | 13491 | 569 | 0.263 |
| ნიკოლა მიროტიჩი | 11693 | 478 | 0.222 |
| ენეს კანტერი | 6693 | 183 | 0.087 |
| დარიო სარიჩი | 5891 | 114 | 0.056 |
| ალესანდრო ჯენტილე | 9404 | 84 | 0.46 |
| თორნიკე შენგელია | 26322 | 42 | 0.045 |
| ალექსანდრ ცვეტკოვიჩი | 6134 | 66 | 0.035 |
| პრჟემისლავ კარნოვსკი | 7102 | 26 | 0.019 |
| დიმიტრი კულაგინი | 3966 | 24 | 0.015 |
| ალეხანდრო აბრინესი | 8683 | 9 | 0.013 |



თორნიკე შენგელია

ქართველი NBA-ში




# ზაზა: ლებრონს გადაეღობა

- როცა „მაიამის" დარ ძლიერ გუნდს ეთამაშები გაცუდებული ტყორცნები იგივეა, რაც ოქმში დაფიქსირებული შეცდომები. მაიამელები ლიგაში საუკეთესონი არიან სწრაფი შეტევით მოგროვილი ქულების მიხედვით და მათთან მეტი სიზუსტე გვმართებდა, - ასეთი იყო „ატლანტა ჰოქსის" მთავარი მწვრთნელის, **ლარი დრიუს** მატჩისშემდგომი კომენტარი.

ეს სპეციალისტი მაშინ, როცა შეხვედრის ბედი გადაწყვეტილია, მეოთხე პერიოდში სასტარტო ხუთეულს ასვენებს. ასე მოიქცა მაიამიშიც. „ჰოქსი" მესემე პერიოდის ბოლოსთვის უკვე განწირული იყო. საბოლოოდ კი 20 ქულის სხვაობით დამარცხდა.

მას შემდეგ, რაც **ზაზა ფაჩულია** სასტარტო ხუთეულის უცვლელ წევრად იქცა, შეცდომების რაოდენობამ იკლო და სროლის სიზუსტემ იმატა. „მაიამისთან" მატჩში მან მეტად აკურატულად ითამაშა: მაშინ, როცა მისი თანაგუნდელებიდან თამაში არავის გამოსდიოდა, ზაზამ 4-დან 4 ორქულიანი გამოიყენა, თანაც სამ შემთხვევაში კალათისგან საკმაოდ მოშორებით მყოფმა. შეცდომა კი ერთადერთი ჰქონდა, რაც 30 წუთში ურიგო მაჩვენებელი არ არის.

„ატლანტას" ლიდერთაგან მხოლოდ ერთმა გადალახა 10-ქულიანი ნიშნული, **ჯო ჯონსონმა** 12 ჩააგდო. ბევრისთვის მოულოდნელად გუნდის სნაიპერი **ვილი გრინი** გახდა - 17 ქულა. მაიამელთაგან **ლებრონ ჯეიმსმა** 23 ჩააგდო, **დუეინ უეიდმა** - 21.

„ქორებს" 18 მოგება, 10 წაგება აქვთ და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილზე არიან. მათ უახლოესი მატჩი 14 თებერვალს დასავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" აქვთ.

**მაიამი-ატლანტა 107:87**

**ზაზა ფაჩულია:** 30 წუთი, 8 ქულა (4-დან 4 ორქულიანი), 9 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 3 ფოლი, 1 შეცდომა.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 10:11 | 4-4 | პასი: 1 (სმიტი 2ქ) |
| 9:15 | 6-6 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 8:21 | 8-11 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 4:30 | 19-18 | ორქულიანი: 2ქ |
| 2:32 | 23-18 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| **II პერიოდი** | | |
| 10:56 | 34-20 | დაფარება: 1 (კოულს დაუფარა) |
| 10:36 | 34-22 | ორქულიანი: 4ქ |
| 8:55 | 36-22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 8:21 | 36-24 | ჩაჭრა 1 (ბატიეს ჩაუჭრა) |
| 6:28 | 40-29 | შეცდომა: 1 |
| 5:28 | 44-29 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 5:18 | 44-29 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 5:16 | 44-31 | ორქულიანი: 6ქ |
| 3:53 | 48-31 | ფოლი: 1 |
| 1:14 | 57-33 | ფოლი: 2 |
| 0:12 | 60-39 | ფოლი: 3 |
| 0:12 | 61-39 | გრინმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | | |
| 11:15 | 64-41 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 11:03 | 64-41 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 11:02 | 64-43 | პასი: 2 (ჯონსონი 2ქ) |
| 9:51 | 66-43 | მოხსნა: შეტ-4, დაც-4 |
| 8:30 | 68-43 | მოხსნა: შეტ-4, დაც-5 |
| 7:07 | 70-47 | ორქულიანი: 8ქ |
| 2:58 | 81-51 | რადმანოვიჩმა ზაზა შეცვალა |

ლეგიონერები



# 7 ცდა, ქულა

**ვლადიმერ ბოისას** ჩარიცხვის შემდეგ „პანიონიოსმა" პირველი მარცხი განიცადა. ბოლო ტურში პანიონიოსელები სტუმრად კაოდ-ს შეხვდნენ და 62:71 წააგეს.

ბოისამ დამაჯერებლად ითამაშა, მოედანზე 19 წუთი გაატარა და 7 ქულასთან ერთად 2 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მოაგროვა. ვოვამ 7 ცდიდან, 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამქულიანი კი ააცილა.

მიუხედავად წაგებისა, „პანიონიოსი" გათამაშების ცხრილში მეოთხე ადგილზე მყარადაა, მომდევნო ტურში, 15 თებერვალს, „მარუსის" დაუხვდება.



# ნიკამ და ქუინტონმა მილანი გააოცეს

**ნიკა მეტრეველის** თანაგუნდელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ქუინტონ ჰოსლი** იტალიის ჩემპიონატის 21-ე ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მან ეს მონაგარითაც გაიმსახურა (31 ქულა, 6 მოხსნა, 2-2 ჩაჭრა-პასი) და მატჩის საფინალო შედეგითაც - „დინამო სასარიმ" ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „მილანი" მისსავე მოედანზე დაამარცხა (81:71).

გამარჯვებულთა შორის 10 წუთი ითამაშა მეტრეველმა, რომელმაც ოქმში 4-4 ქულა-მოხსნა-ფოლი ჩაიწერა. ნიკამ 7-დან 2 ორქულიანი გამოიყენა.

ამ მოგებით სარდინიელები სატურნირო ცხრილში საგრძნობლად დაწინაურდნენ. მათ **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსთან" და „მილანთან" ერთად 12-12 მოგება აქვთ და მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

# ერთი

**ნატურალიზებულმა** ქართულმა ამერიკელმა, **ტორინ გრინმა** ბურსას „თოფაზში" პირველი მატჩი ჩაატარა, მაგრამ - უილბლოდ. გრინის გუნდი შინ „ალიაღა პეტკიმთან" 65:74 დამარცხდა, ბურსელთა დებიუტანტმა კი 1 ქულა და 2 პასი მოაგროვა.

გრინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 22 წუთი გაატარა, 7 სამქულიანიდან და 2 ორიანიდან მიზანში ვერც ერთი ვერ მოარტყა. მან ერთადერთი ქულა საჯარიმოს ხაზიდან მოიპოვა.

10 მოგებითა და 8 მარცხით „თოფაზი" მე-6 ადგილზე იმყოფება.



# ჰეინსისა და ელისის დუელი

**საქართველოს** ნაკრების უკანახაზელის **მარკიზ ჰეინსის** „გრან კანარიამ" ესპანეთის ჩემპიონატში მერვე მატჩი მოიგო და ცხრილში მე-13 ადგილზე აინაცვლა. კუნძულელებმა შინ „ალიკანტეს" 61:53 სძლიეს.

მარკიზმა 29 წუთში 5 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

ალიკანტელთა რიგებში 23 წუთი ითამაშა საქართველოს ნაკრების ყოფილმა კალათბურთელმა **ტაირონ ელისმა**. მან ჩვეული სიზუსტით სტყორცნა სამქულიანები: 5-დან 3 ჩააგდო, რასაც 1 საჯარიმო მიამატა და 10 ქულამდე ავიდა.

ელისის გუნდი სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა (13 გამარჯვება).

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# მონპელიეს ისევ გორგოძემ მოაგებინა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში, მიუხედავად იმისა, რომ გასულ უქმეებზე ევროპული სანაკრებო ბატალიები გაიმართა, მე-17 ტურის ხუთი შეხვედრა ჩატარდა. ორი კი, რომლებშიც ოთხივე გუნდი ქართველი მორაგბეების იყო უამინდობის გამო გადაიდო.

მე-17 ტურის შედეგებს სატურნირო ცხრილში არაფერი შეუცვლა. ყველა მომგებმა მოიგო და პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცეს. გათამაშებას სათავეში ერთბაშად ხუთი „ქართული გუნდი“ უდგას.

ლიდერი, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი **ჯაბა ბრეგვაძისა** და **აქვსენტი გირგაძის** „ტულუზი“ სტუმრად დაუპირისპირდა ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბიარიცს“ და 20:15 დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ ტულუზელებს ეროვნულ ნაკრებში მივლინებული შვიდი მორაგბე აკლდა, მათი სათამაშო უპირატესობა აშკარა იყო. 50-ე წუთისთვის ჩვენებურთა გუნდი 20:6-ს იგებდა. ბასკებმა ამის შემდეგ შეძლეს გააქტიურება, თუმცა მხოლოდ ანგარიშში სხვაობის ხუთ ქულამდე შემცირება მოახერხეს.

ბრეგვაძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო, გიორგაძე ტრავმირებულია.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ“ შინ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „პერპინიანთან“ - 22:11.

მონპელიელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მე-20 წუთისთვის მეტოქეს მშრალი ანგარიშით 15:0-ს უგებდნენ. სტუმრებმა დიდი ძალისხმევის წყალობით მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირეს - 11:15. მატჩში გარდამტეხი პერიოდი დადგა, სწორედ ასეთ ვითარებაში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მამუკა გორგოძემ, რომელმაც 59-ე წუთზე თავისივე წამოწყებული შეტევა ლელოთი დაასრულა, არგენტინელმა მარტინ ბუსტოს მოიანომ გარდასახა - 22:11. პერპინიენელთა თავგანწირული თამაშის მიუხედავად, ანგარიში შეხვედრაში აღარ შეცვლილა.

გორგოძემ სრულად ითამაშა, ჟღენტი მოედანზე 49-ე წუთიდან გამოჩნდა, ნარიაშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშა, შველიძე განაცხადში არ იყო. „მონპელიეს“ ახლა 44 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“, რომელიც 50 ქულით მესამე ადგილზეა, შინ გაანადგურა „ბორდო“ - 44:7. ტულონელებმა ხუთი ლელო გაიტანეს. ინგლისელმა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** ხუთივე გარდასახა და სამი საჯარიმოც მიუმატა (24 ქულა).

ქუბრიაშვილი თადარიგში იყო და თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო.

„ტულონს“ ცხრა ქულით უსწრებს და მეორე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“, რომელმაც შინ მოუგო „მეტრო რასინგს“ - 31:13. ზირაქაშვილი ტრავმირებულია და არ უთამაშია.

**გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონს“ შინ უნდა ეთამაშა **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივთან“, თუმცა უამინდობის გამო გადაიდო. ამავე მიზეზით არ შედგა **ბექა შეყლაშვილის** „აჟენისა“ და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრის“ დაპირისპირებაც.

### I დივიზიონი

#### XVII ტური

მონპელიე-პერპინიანი 22:11, ბიარიცი-ტულუზი 15:20, ტულონი-ბორდო 44:7, ბაიონი-სტად ფრანსე 26:20, კლერმონი-რასინგი 31:13, ლიონი-ბრივი (გადაიდო), აჟენი-კასტრი (გადაიდო)

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 65 ქულა, 2. კლერმონი - 59, 3. ტულონი - 50, 4. მონპელიე - 44, 5. კასტრი - 44, 6. სტად ფრანსე - 40, 7. მეტრო რასინგი - 37, 8. აჟენი - 36, 9. ბორდო - 36, 10. ბრივი - 28, 11. ბაიონი - 27, 12. პერპინიანი - 27, 13. ბიარიცი - 25, 14. ლიონი - 24.

#### XVIII ტური

პერპინიანი-ბიარიცი, ტულუზი-აჟენი, ბაიონი-კლერმონი, ბორდო-მონპელიე, ლიონი-მეტრო რასინგი, სტად ფრანსე-ტულონი, ბრივი-კასტრი.

მატჩების აბსოლუტური უმრავლესობა გადაიდო ფედერალ 1 დივიზიონში. აქ სულ ოთხი შეხვედრა ჩატარდა. აქედან ორში ქართველ მორაგბეთა გუნდებმა ითამაშეს.

B ჯგუფში **დავით კაჭარავასა** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „ნიცამ“ შინ წააგო **ირაკლი მაჩხანელის** „სენტ ეტიენთან“ - 19:23. „ნიცა“ 22 ქულით მე-8 ადგილზეა. „სენტ ეტიენი“ მას 10 ქულით უსწრებს და სატურნირო ცხრილში მეხუთეა.

C ჯგუფში მოასპარეზე **მერაბ კვირიკაშვილის, გიორგი ჩხაიძის, რობერტ აბესლამიძისა** და **დავით ოზგებაშვილის** „სენ ჟუნიენმა“ სტუმრად წააგო „სენ ნაზერთან“ - 6:33. ჩვენებურთა გუნდი 22 ქულით მე-7 ადგილზეა.



მარჯვნიდან მეორე მამუკა გორგოძე, მეოთხე გიორგი ჟღენტი

ექვსი ერი



ლეიგ ჰალპფენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უელსი მეორე ტაიმში შეუჩერებელია

**უელსი-შოტლანდია 27:13**

უელსი: 15. ლეიგ ჰალპფენი. 14. ალექს კატბერტი, 13. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ჯორჯ ნორსი, 10. რის პრისტლენდი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. გეთლინ ჯენკინსი, 2. ჰიუ ბენეტი, 3. ადამ ჯოუნზი, 4. რაიან ჯონზი, 5. იან ევანსი, 6. დენ ლიდიატი, 7. აარონ შინგლერი, 8. ტობი ფალეტაუ.

16. კენ ოუენსი, 17. პაულ ჯეიმზი, 18. ლუ რიდი, 19. ენდი პოუელი, 20. ლოიდ ვილიამსი, 21. ჯეიმზ ჰუკი, 22. სკოტ ვილიამსი.

3ლ: კატბერტი, ჰალპფენი (2). 3გ,2ს: ჰალპფენი.

შოტლანდია: 15. რორი ლამონტი, 14. ლი ჯოუნზი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. შონ ლამონტი, 11. მაქსი ევანსი, 10. გრეგ ლაიდლოუ, 9. კრის კაზიტერი. 1. ალან იაკობესნი, 2. როს ფორდი, 3. ჯეფ კროსი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯიმი ჰამილტონი, 6. ალექსანდრ სტროკოში, 7. როს რენი, 8. დევიდ დენტონი.

16. სკოტ ლაუსონი, 17. ედ კალმანი, 18. ალისტერ კელოკი, 19. ჯონ ბარკლი, 20. მაიკ ბლერი, 21. დუნკან წეირი, 22. სტიურატ ჰოგი.

ლ,გ,2ს: ლაიდლოუ.

მსაჯი: რომან პუატი (საფრანგეთი)

**იტალია-ინგლისი 15:19**

იტალია: 15. ანდრეა მასი, 14. ჯოვანი ვენდეტი, 13. ტომაზო ბენვენუტი, 12. გონსალო კანალე, 11. ლუკ მაკლინი, 10. კრისტოფერ ბარტონი, 9. ედუარდო გორი. 1. ანდრეა ლო ჩიჩერო, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. მარტინ კასტროჯოვანი, 4. მარკო ბორტოლამი, 5. ქუენტინ გელდენჰაუზი, 6. ალესანდრო ძანი, 7. რობერტო ბარბიერი, 8. სერჯო პარისე.

16. ტომაზო დაპიკე, 17. ლორენცო ჩიტადინი, 18. ანტონიო პავანელო, 19. მაურო ბერგამასკო, 20. ფაბიო სემენცატო, 21. ტობიას ბოტეს, 22. ლუკა მორისი.

2ლ: ვენდიტი, ბენვენუტი. გ,ს: ბარტონი.

ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. ბრედ ბარიტი, 12. ოუენ ფარელი, 11. დევიდ სტრიტლი, 10. ჩარლი ჰოჯსონი, 9. ბენ იანგზი. 1. ალექს კორბისიერო, 2. დილან ჰარტლი, 3. დენ კოლი, 4. მორის ბოთა, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ კროფტი, 7. კრის რობშოუ, 8. ფილ დოუსონი.

16. რობ ვებერი, 17. მეთ სტივენსი, 18. ჯეფ პერლინგი, 19. ბენ მორგანი, 20. ლი დიკსონი, 21. ჯორდან ტერნერ-ჰალი, 22. მაიკ ბრაუნი.

ლ: ჰოჯსონი. 4ს,გ: ფარელი.

ევროპაში გამეფებულმა ცივმა, სუსხიანმა ზამთარმა კვალი ექვსი ერის გათამაშებასაც დაატყო. მეორე ტურის ერთი შეხვედრა პარიზში, საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებებს შორის გადაიდო. მიუხედავად იმისა, რომ „სტად დე დრანსზე“ ერთი კვირის წინ იტალიასთან გამართული მატჩის შემდეგ მოედანს ბრეზენტი გადააფარეს და ხელოვნური გათბობაც მუდამ ჩართული იყო, მინდორი სათამაშოდ ვარგისიანი არ აღმოჩნდა.

მატჩის ინგლისელმა არბიტრმა **დეივ პირსონმა** ჩათვალა, რომ მოედნის გრუნტი იმდენადაა მოყინული და გამაგრებული, რომ მორაგბეების მძიმედ დაშავების საშიშროება ძალიან დიდია. ამიტომ მან მატჩის გადატანის გადაწყვეტილება მიიღო.

ექვსი ერის გათამაშების დებულების თანახმად მატჩი ან მომავალ უქმეებზე უნდა გაიმართოს, ან მომდევნო სამი კვირის განმავლობაში. თუმცა საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ თხოვნით მიმართა IRB-ს ეს შეხვედრა სეზონის ბოლოსთვის გადაეტანა. გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

დანარჩენი ორი შეხვედრა კი მართლაც ძალიან საინტერესო გამოდგა. უელსის ნაკრებმა, კარდიფში, „მილენიუმზე“ შოტლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 27:13 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ „სკოტებმა“ პირველ ტაიმში სერიოზული წინააღმდეგობა გასწიეს და ორივე გუნდმა მხოლოდ თითო-თითო საჯარიმოს გატანა მოახერხა - 3:3.

უელსელები „ნარშავებს“ მეორე ტაიმის დასაწყისში თავს გრიგალივით დაატყდნენ და 16 წუთში უკვე 27:6 უგებდნენ. დროის ამ მონაკვეთში მასპინძელთა ფულბეკმა **ლეიგ ჰალპფენმა** გაიბრწყინა, რომელმაც მეტოქეს ორი ლელო, სამი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაუტანა (22 ქულა).

შოტლანდიელთა მხრიდან გამორჩეული მგეზავი **გრეგ ლაიდლოუ** იყო, რომლის ანგარიშზეც 13 ქულაა (ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და ორი საჯარიმო).

სენსაციამდე ცოტა დააკლდა იტალიის ნაკრებს, რომელიც რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ ინგლისის ნაკრებს მასპინძლობდა. „სკუადრა აძურამ“ პირველ ნახევარში მრისხანე მეტოქეს ორი ლელო დაუდო და მატჩი 12:6 მოიგო.

თუმცა შესვენების შემდეგ „პომებმა“ მაინც იმძლავრეს. მგეზავის, **ჩარლი ჰოჯსონის** ლელო შუამარბმა **ოუენ ფარელმა** გარდასახა, მანვე მონაგარს კიდევ ორი საჯარიმო მიუმატა, რაზეც იტალიელებმა მხოლოდ ერთი საჯარიმოთი უპასუხეს. არადა მათმა მგეზავმა **კრისტოფერ ბარტონმა** ხელსაყრელი პოზიციიდან ორი საჯარიმო ვერ გაიტანა.

**საფრანგეთი-ირლანდია** (გადაიდო)

**სატურნირო მდგომარეობა**

1. უელსი - 4 ქულა, 2. ინგლისი - 4, 3. საფრანგეთი - 2, 4. შოტლანდია - 0, 5. იტალია - 0, 6. ირლანდია - 0.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

რეიტინგი

# რეიტინგში ერთი საფეხურით დავქვეითდით

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მარცხმა სტუმრად ესპანეთის ეროვნულ გუნდთან მსოფლიოს კლასიფიკაციის მეორე ათეულში დიდი ცვლილებები გამოიწვია. „ლომებთან“ მარცხის გამო „ბორჯღალოსნებს“ თითქმის ორი ქულა დააკლდათ და რეიტინგში ერთი საფეხურით დაქვეითდნენ, ჩვენმა გუნდმა ადგილი იაპონიას გაუცვალა და ახლა 69,32 ქულით კლასიფიკაციაში მე-15 ადგილზეა.

სამაგიეროდ, დიდად იხეირა ესპანეთის ნაკრებმა, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად მოხვდა საუკეთესო ოცეულში. ესპანელები, რომლებიც აქამდე სარეიტინგო კიბეზე 22-ე საფეხურზე იყვნენ, ჩვენთან გამარჯვების შედეგად სამი საფეხურით დაწინაურდნენ და უკან რუსეთის ნაკრებიც ჩამოიტოვეს.

**IRB-ს რეიტინგი**

1. ახალი ზელანდია - 91,43 ქულა, 2. ავსტრალია - 87,99. 3. საფრანგეთი - 84,70. 4. სამხრეთ აფრიკა - 84,34. 5. ინგლისი - 82,81. 6. უელსი - 81,15. 7. არგენტინა - 80,28. 8. ირლანდია - 79,25. 9. ტონგა - 76,63. 10. სამოა - 75,81. 11. შოტლანდია - 75,30. 12. იტალია - 73,53. 13. კანადა - 72,92. 14. იაპონია - 70,45. 15. საქართველო - 69,32. 16. ფიჯი - 68,78. 17. აშშ - 65,63. 18. რუმინეთი - 64,21. 19. ესპანეთი - 62.10. 20. რუსეთი - 61,69. 21. ნამიბია - 61,24. 22. ურუგვაი - 60,47. 23. ჩილი - 59,52. 24. პორტუგალია - 57,91.



ესპანეთი-საქართველო. გიორგი ჭანიშვილის ფოტო

## უცხოური სპორტი

### ● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


დეტროიტი საუკეთესო მასპინძელია

# დეტროიტის რეკორდები

აქამდე ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში ორ გუნდს ჰქონდა მოგებული შინ ზედიზედ 20 მატჩი: 1929-30 წლების სეზონში ეს შეძლო „ბოსტონმა", 1975-76 წლებში კი ასეთივე სერია „ფილადელფიამ" დააფიქსირა. სწორედ ამ უკანასკნელს შეეძლო გუშინ „დეტროიტისთვის" შეეშალა ხელი და „რედ უინგზი" არ გამხდარიყო ამ რეკორდის მესამე თანამფლობელი, მაგრამ „მფრინავებმა" მეტოქის ზეწოლას ვერ გაუძლეს.

არადა, გარკვეულ მომენტამდე სტუმრებისთვის ამ მატჩში ყველაფერი კარგად მიდიოდა. ისინი ორჯერ იგებდნენ შეხვედრას, მათ შორის მეორე პერიოდის ბოლოს - 3:2. მაგრამ ჯერ კიდევ მეორე შესვენებამდე **ზეტერბერგმა** უძლიერესი დარტყმით აღადგინა სტატუს-კვო.

როგორც დრომ აჩვენა, ამ გოლმა გატეხა „ფილადელფია" და უკვე მესამე პერიოდის სტარტზე მეტოქეს წინ გასვლის საშუალება მისცა. სწორედ ეს შაიბა აღმოჩნდა „დეტროიტისთვის" გამარჯვების მომტანი, რამაც კლუბი NHL-ის ისტორიაში შეიყვანა. შინ ზედიზედ მოგებების აბსოლუტური რეკორდის დასამყარებლად კი „დეტროიტს" შემდეგ მატჩში „დალასის" დამარცხება სჭირდება.

ამ მატჩში კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა, რომლის ავტორია „დეტროიტის" ლეგენდარული მცველი **ნიკლას ლიდსტრიომი**. ახლა მას ეკუთვნის ერთ კლუბში ჩატარებული მატჩების რეკორდი. „ფილადელფიასთან" მატჩი შვედი მცველისთვის 1550-ე იყო „რედ უინგზის" მაისურით. წინა რეკორდიც ასევე „დეტროიტის" ჰოკეისტს **ალექს დელვეიკიოს** ეკუთვნოდა, რომელმაც თავის გუნდში 1549 მატჩი ჩაატარა.

**აილენდერსი-ფლორიდა 1:4**

**1:1, 0:3, 0:0**

**გოლები:** 1:0 ნილსენი-10 (პარენტო-38, ენდრიუ მაკდონალდი-6), 1:1 სტრაჩანი-1 (გოკი-10), 1:2 ფლიშმანი-18 (ვერსტიგი-26, უეისი-27), 1:3 ვერსტიგი-22 (ფლიშმანი-24, ბ. კემპბელი-35), 1:4 სკილი-3 (მატიასი-12).

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 3:2**

**1:0, 1:1, 1:1**

**გოლები:** 1:0 კელეჰანი-22 (სტრალმანი-8, ბ. რიჩარდსი-22), 1:1 სიომინი-15 (ჩიმერა-11, ჯ. კარლსონი-20), 2:1 მაკდონაჰი-5 (ბ. ბოილი-10, დუბინსკი-17), 3:1 პრუსტი-3 (დუბინსკი-18, მ. სტაალი-1), 3:2 ჯ. კარლსონი-7 (ოვეჩკინი-21, ჰამრლიკი-7).

**დეტროიტი-ფილადელფია 4:3**

**1:1, 2:2, 1:0**

**გოლები:** 1:0 კრონვალი-12 (ზეტერბერგი-31, ბერტუცი-16), 1:1 ბ. შენი-7 (ბრიერი-19), 1:2 ბ. შენი-8 (ქობურნი-12), 2:2 დაციუკი-15 (ფრანცენი-24, ი. უაიტი-21), 2:3 ტელბოტი-14 (ჰარტნელი-24, რიდი-17), 3:3 ზეტერბერგი-11 (ფილპულა-27, ბ. სტიუარტი-9), 4:3 ფრანცენი-22 (ლიდსტრიომი-19, ზეტერბერგი-32).

**დალასი-ლოს ანჯელესი 2:4**

**0:1, 1:1, 1:2**

**გოლები:** 0:1 კინგი-1 (ჯასტინ უილიამსი-28, კოპიტარი-32), 0:2 ლაკტიონოვი-2 (ჯ. ჯონსონი-16, კოპიტარი-33), 1:2 ლ. ერიქსონი-18 (გოლიგოსკი-16, რიბიერო-26), 2:2 რაიდერი-21 (Assists: ლ. ერიქსონი-29, გოლიგოსკი-17), 2:3 ნოლანი-1 (მ. რიჩარდსი-14, კინგი-1), 2:4 ჯასტინ უილიამსი-11.

**კოლამბუსი-ანაჰაიმი 3:5**

**1:2, 1:3, 1:0**

**გოლები:** 0:1 პერი-24 (ვიშნოვსკი-17, გეტცლაფი-29), 0:2 პერი-25 (ს. კოივუ-19, გეტცლაფი-30), 1:2 ტიუტინი-4 (ჯ. კარტერი-8, პროსპალი-25), 1:3 ჯ. ბლეიკი-5 (გეტცლაფი-31), 1:4 რაიანი-21 (სელიანე-33, ფაულერი-16), 1:5 პერი-26 (რაიანი-13), 2:5 ა. ჯონსონი-3 (ვიშნიევსკი-17, მაკენზი-6), 3:5 ვერმეტი-8 (ნეში-21, ტიუტინი-20).

**პიტსბურგი-ტამპა ბეი 4:2**

**1:2, 3:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 დაუნი-10 (პურსელი-19, ჰედმანი-7), 0:2 დაუნი-11 (პურსელი-20, ბ. კლარკი-8), 1:2 მალკინი-31 (ლეტანგი-20, ჯ. ნილი-24), 2:2 კუნიტცი-16 (ლეტანგი-21, ბ. ჯონსონი-1), 3:2 ლეტანგი-8 (კუნიტცი-23, ჯ. ნილი-25), 4:2 მალკინი-32 (კუნიტცი-24, ჯ. ნილი-26).

**სტ ლუისი-სან ხოსე 3:0**

**1:0, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 პიეტრანჯელო-9 (ოში-22, ენდი მაკდონალდი-3), 2:0 პერონი-10 (ბექსი-25, პიეტრანჯელო-19), 3:0 პიეტრანჯელო-10.

### ● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მსაჯების დახმარებით

გასულ სათამაშო დღეს სკანდალური აღმოჩნდა „ტორონტოსა" და „ლეიკერსის" შეხვედრა. ეს დაძაბული დასკვნითი წამების ბრალი იყო და კალიფორნიელებს შეეძლოთ საქმე აქამდე არ მიეყვანათ, მაგრამ მათ სასტარტო სპურტისას მოპოვებული 18-ქულიანი (29:11) უპირატესობა გაანიავეს. „ტორონტო" მეტოქეს **კალდერონის** მეთაურობით გამოედევნა. ესპანელმა სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა (30 ქულა).

საბოლოოდ, ნამდვილი თამაში საფინალო სირენამდე 4 წუთითა და 52 წამით ადრე დაიწყო, როცა კალდერონის სამქულიანით „ლეიკერსის" უპირატესობა მინიმუმამდე დავიდა - 81:82. ამის შემდეგ თამაში თავის თავზე აიღო ბრაიანტმა და ზედიზედ ხუთი შეტევა დაასრულა... არაზუსტი ტყორცნით. კარგია, რომ **გასოლმა** იყოჩაღა, თორემ სტუმრების ჩამორჩენა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, ისე კი „ტორონტო" ოთხი ქულით გავიდა წინ.

**მაიკ ბრაუნმა** ტაიმ-აუტი აიღო, რის შემდეგაც **ბინუმისა** და გასოლის კომბინაცია ეფექტური დანკით დასრულდა. შემდეგ ისევ კობი გააქტიურდა - სამქულიანი ჩააგდო, ბურთი წაართვა **კლეიზას** და **უორდლ პისს** ჩააგდებინა. მეორე მხარეს კალდერონი ისროდა ზუსტად, მაგრამ იმავე ბრაიანტმა საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე წინ გაიყვანა თავისი გუნდი. და აქ საქმეში მსაჯები ჩაერივნენ. მათ ვერ დაინახეს **დუეინ კეისის** თხოვნა ტაიმ-აუტის შესახებ და „ტორონტოს" ბურთის შემოტანის ხუთწამიანი წესის დარღვევა დაუფიქსირეს. უფრო ადრე ტაიმ-აუტი მწვრთნელმაც მოითხოვა, მაგრამ არბიტრებმა ესეც ვერ შეამჩნიეს. ბურთის ფლობა „ლეიკერსის" მხარეს გადავიდა და ტორონტოელებს ბრაიანტზე წესის დარღვევამ მოუნიათ. კობიმ ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

■ ■ ■

„ბოსტონისა" და „ჩიკაგოს" მატჩში არ ითამაშა **დერიკ როუზმა**. მას ზურგი აწუხებს. ამან „სელტიქსს" შესამჩნევი უპირატესობა მოუტანა. რაც მთავარია, ხელ-ფეხი გაუხსნა **რაჟონ რონდოს**, რომელმაც სამმაგი დუბლი შეასრულა.

თუმცა ჩიკაგოელებმა მაინც შეუნარჩუნეს შეხვედრას ინტრიგა, როცა ბოლოსკენ გაქცევა მოახერხეს და თითქმის გადაარჩინეს უიმედო მატჩი. ხუთი წუთით ადრე „ბოსტონი" 14 ქულას იგებდა, როცა სტუმრებმა მოულოდნელად გაიღვიძეს და საფინალო სირენამდე წუთითა და 23 წამით ადრე სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს - 88:91. ამას მოჰყვა „ბოსტონის" კაპიტნის **პოლ პირსის** შეცდომა და **უოტსონის** სამქულიანი, მაგრამ „სელტიქსისთვის" საბედნიეროდ, ბურთი არ ჩავარდა. მოხსნა რონდომ მიითვალა და ამით სამმაგი დუბლი გაიფორმა, რის შემდეგაც ორივე საჯარიმო მშვიდად მოათავსა კალათში. თავის მხრივ, იმავე უოტსონმა ორიდან მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო და მატჩის გადარჩენა შეუძლებელი ჩანდა.

**ტორონტო-ლეიკერსი 92:94**

**19:34, 27:20, 21:19, 25:21**

**ტ:** კალდერონი (30+6 პასი), კლეიზა (15), ბარბოზა (12).

**ლ:** ბრაიანტი (27), პ. გასოლი (16+17 მოხსნა+6 პასი), ბინუმი (14+9 მოხსნა).

**დეტროიტი-ვაშინგტონი 77:98**

**18:26, 27:19, 18:29, 14:24**

**დ:** მონრო (27+6 მოხსნა), სტაკი (11), პრინსი (10).

**ვ:** მაკგი (22+11 მოხსნა), იანგი (22), ვესელი (10+8 მოხსნა+3 დაფარება), ლუისი (10), უოლი (9+15 პასი+5 მოხსნა).

**გ. სტეიტი-ჰიუსტონი 106:97**

**23:29, 25:15, 28:30, 30:23**

**გ-ს:** ელისი (33+7 პასი+5 მოხსნა), ლი (15+13 მოხსნა+6 პასი), კარი (14+5 პასი), ტომპსონი (14), რაში (10).

**ჰ:** მარტინი (28+6 მოხსნა), სკოლა (14+13 მოხსნა), პარსონსი (11), ლი (11), ლოური (10+9 პასი+4 ჩაჭრა).

**ბოსტონი-ჩიკაგო 95:91**

**28:23, 20:20, 24:23, 23:25**

**ბ:** რონდო (32+15 პასი+10 მოხსნა), გარნეტი (13+12 მოხსნა+4 დაფარება), ჯონსონი (12), უილკოქსი (11+9 მოხსნა), ალენი (11).

**ჩ:** ბუზერი (22+7 მოხსნა), უოტსონი (22+6 პასი), ნოა (16+9 მოხსნა), დენგი (10+5 მოხსნა).

**ატლანტა-მაიამი 87:107**

**18:30, 23:33, 20:25, 26:19**

**ა:** გრინი (17), ჯონსონი (12+5 პასი), სმიტი (8+7 მოხსნა+7 პასი), ფაჩულია (8+9 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (23+13 მოხსნა+6 პასი), უეიდი (21+5 მოხსნა), ჩელმერსი (15), ბოში (14+16 მოხსნა), კოული (10).

**მემფისი-იუტა [illegible]**

**28:22, 22:24, 26:23, 22:29**

**მ:** გეი (22+6 მოხსნა), მ. გასოლი (17+9 მოხსნა), კონლი (17+6 პასი), ალენი (12), სპეიტსი (7+11 მოხსნა).

**ი:** ჰეივორდი (23+5 პასი), ჯეფერსონი (21+15 მოხსნა), მილსეპი (16+8 მოხსნა+3 დაფარება), ბელი (10).


რაჟონ რონდო

# ლეიკერსი აივერსონს იმატებს

„ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა **გილბერტ არენასის** გაფორმება და ახალ ტრანსფერზე გადაერთო. კერძოდ, კალიფორნიული გრანდი მზად არის კონტრაქტი დაუდოს ვეტერან **ალენ აივერსონს**, ოღონდ იმ პირობით, რომ ლიგის ყოფილი MVP თავდაპირველად D-ლიგაში ითამაშებს პრაქტიკის დასაბრუნებლად. შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში აივერსონის აგენტი პუერტო რიკოს კლუბებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

აივერსონის ბოლო კლუბი თურქეთის „ბეშიქთაში" იყო.

■ ■ ■

„ბოსტონის" ფორვარდი **ბრენდონ ბასი** 10-14 დღეს გამოტოვებს მუხლის დაზიანების გამო. კლუბის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, მან ტრავმა 3 თებერვალს „ნიუ იორკთან" მატჩში მიიღო და შემდეგ დაზიანება „ტორონტოსთან" შეხვედრაში გაიმიზეზა.

*„ვიცოდით, რომ ბრენდონს მუხლი აწუხებდა, მაგრამ „ტორონტოსთან" მატჩის შემდეგ მან არაფერი გვითხრა. ახლახან დამირეკა კლუბის ექიმმა და განაცხადა, რომ ბრენდონი ვერ შეძლებს თამაშს. ეს ჩემთვის სიურპრიზი აღმოჩნდა"*, - განაცხადა „ბოსტონის" დამრიგებელმა **დოკ რივერსმა**.

■ ■ ■

„დენვერ ნაგეტსის" ყოფილმა მცველმა **ჯეი არ სმიტმა** კონტრაქტის დეტალები შეათანხმა „ლოს ანჯელეს კლიპერსთან". ეს კალათბურთელი ლოკაუტის პერიოდში ჩინეთის ლიგაში თამაშობდა და ახლახან თავისუფალი აგენტი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „კლიპერსმა" სეზონის ბოლომდე დაკარგა ვეტერანი გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი** და სმიტის ტრანსფერი ამის შემდეგ გახდა აქტუალური.

ჯეი არმა ჩინეთის ლიგაში 29 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 35.1 ქულა, 7.2 მოხსნა და 473 შედეგიანი პასი დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ალენ აივერსონი

### ● კრივი


ვიტალი კლიჩკო

# კლიჩკო-ჰეი არ შედგება

უკრაინელი ძმების - **ვიტალი** და **ვლადიმერ კლიჩკოების** მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** მიუნხენში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონის ვიტალი კლიჩკოსა და ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, ბრიტანელი **დევიდ ჰეის** ბრძოლა, როგორც ჩანს, არ გაიმართება.

*„ჰეიმ უარყო ჩვენი წინადადება, - ამბობს ბენტე. - არ მგონია, რომ ის ვიტალის შემდეგი მეტოქე გახდეს"*. შეგახსენებთ, რომ ადრე ბენტე მოლაპარაკებების ჩიხში შესვლას დევიდ ჰეის გუნდის გადამეტებულ მოთხოვნებს აბრალებდა.

სხვათა შორის, ჰეი ერთ-ერთი კომენტატორი იქნება ვიტალი კლიჩკოსა და **დერეკ ჩისორას** ბრძოლისას, რომელიც თებერვალში გაიმართება.

ჩოგბურთი. ტურნირები

# კერბერის პირველი და ჰანტუხოვას მეხუთე


ანჟელიკ კერბერი

გერმანელი **ანჟელიკ კერბერის** ტრიუმფით დასრულდა ქალთა პროფესიული ტურის ტურნირი პარიზში.

მეცხრე ნომრად განთესილმა ჩოგბურთელმა გზად ორი მთავარი ფავორიტი ჩამოიცილა და კარიერაში პირველად მოიგო პროფესიული ტურნირი. კერბერმა ჯერ მეოთხედფინალში აჯობა რუს **მარია შარაპოვას**, ფინალში კი მასპინძელ **მარიონ ბარტოლიც** დაამარცხა.

გადამწყვეტი მატჩი ძალიან დაძაბული გამოვიდა და 2 საათი და 39 წუთი გაგრძელდა.

პირველ სეტში მეტოქეებმა ორ-ორი ბრეიკი გაცვალეს და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. შემოკლებულ გეიმში ბარტოლიმ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, კერბერი 4:1 დაწინაურდა და საბოლოოდ, 7:3 მოიგო ტაი-ბრეიკი.

მეორე პარტიაში გერმანელი კარგად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას და ჯერ 2:0, შემდეგ კი 5:3 დაწინაურდა. მაგრამ კერბერი ანერვიულდა და ჯერ მატჩზე ვერ ჩაანოდა, შემდეგ კი ზედიზედ სამი გეიმი და მასთან ერთად სეტიც წააგო - 5:7.

თითქოს, წაგებული სეტის გადარჩენით, ბარტოლის ფსიქოლოგიური უპირატესობა უნდა მოეპოვებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, კერბერმა მესამე პარტიაში 4:0 წაიყვანა ანგარიში. 5:2-ზე კი ოთხი მატჩბოლი ჰქონდა და ბარტოლიმ ოთხივე საფრთხე მოიგერია, მაგრამ შემდეგ გეიმში გერმანელმა მეხუთე მატჩბოლი გამოიყენა და საბოლოოდ, 7:6, 5:7, 6:3 გაიმარჯვა.

ალსანიშნავია, რომ კერბერს აქამდე არასოდეს ჰყავდა დამარცხებული რეიტინგის ტოპ-ათეულის წევრი, საფრანგეთის დედაქალაქში კი ორ ასეთ ჩოგბურთელს მოუგო. ის პირველი გერმანელია 1995 წლის შემდეგ, ვინც პარიზის ტურნირი მოიგო. ბოლოს ეს ლეგენდარულმა **შტეფი გრაფმა** გააკეთა.

■ ■ ■

პარალელურად მიდიოდა ტურნირი ტაილანდის ქალაქ პატაია-სიტიში. აქაც ფინალი ძალიან დაძაბული გამოვიდა. ერთმანეთს შარშანდელი ჩემპიონი, სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა** და რუსი **მარია კირილენკო** ხვდებოდნენ.

პირველ სეტში კირილენკო დაწინაურდა, თუმცა მისი მეტოქე არაფრით ჩამორჩებოდა რუსს. შედეგად, სლოვაკმა ბოლო მომენტში საპასუხო ბრეიკი გააკეთა და სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. კირილენკომ გააგრძელა „შემოკლებულ გეიმებში" წარმატებული თამაში და ისევ მოიგო ტაი-ბრეიკი, მაგრამ საერთო გამარჯვებისთვის ეს ლოკალური წარმატება საკმარისი არ აღმოჩნდა.

მეორე პარტიაში ჰანტუხოვა უკვე შესამჩნევად სჯობდა აქტიურობაში მეტოქეს. გარკვეულ მონაკვეთებში კირილენკო არც ისე ცუდად გამოიყურებოდა, კარგად თამაშობდა კონტრშეტევებზე, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში სლოვაკი ძალიან კარგად მოქმედებდა და პარტია ორი ბრეიკის უპირატესობით მოიგო. მარია აგრძელებდა ბრძოლას, თუმცა მისი მეტოქე უფრო ენერგიულად გამოიყურებოდა. რუსი საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებდა თანაფარდობას და მხოლოდ სეტის ბოლოს, როცა თამაშის მეოთხე საათი წავიდა, ჰანტუხოვამ გადამწყვეტი უპირატესობა მიიღო - 6:7(4), 6:3, 6:3.

ჰანტუხოვა პირველი ჩოგბურთელია ამ სეზონში, ვინც შარშანდელი ტიტული დაიცვა. სულ კი მის კარიერაში ხუთი გამარჯვებაა პროფესიულ ტურში და მეორე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

# აზარენკა ახალ როლში

**წარმოგიდგენთ ამ კვირას გასამართი ტურნირების პრევიუს. უახლოეს შვიდ დღეს ხუთ სხვადასხვა ქალაქში იმართება მნიშვნელოვანი საჩოგბურთო ბატალიები.**

## WTA

### Qatar Ladies Open

დოჰა (კატარი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 170 000 დოლარი

**მონაწილეები:** *ვიქტორია აზარენკა, კაროლინ ვოზნიაცკი, სამანტა სტოსური, აგნიეშკა რადვანსკა, მარიონ ბარტოლი, ვერა ზვონარევა...*

წელს, დოჰას ტურნირზე სერიოზული შემადგენლობა იკრიბება, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო კატარის დედაქალაქში ვერ ჩადიან **პეტრა კვიტოვა** და **ანდრეა პეტკოვიჩი**. საერთო ჯამში, აქ ვხედავთ რეიტინგის ტოპ-ოცეულის 15 ჩოგბურთელს. პირველ რვა ნომრად განთესილები ტურნირს მეორე წრიდან დაიწყებენ.

გასული წლის ფინალში **ვერა ზვონარევამ კაროლინ ვოზნიაცკი** დაამარცხა - 6:4, 6:4, თუმცა ამ მომენტისთვის რუსი არ არის ოპტიმალურ ფორმაში. სიდნეის ტურნირზე ის პირველივე წრეში დამარცხდა, ტაილანდში კი ოდნავ უკეთ გამოვიდა, მაგრამ **სორანა კირსტეასთან** მეოთხედფინალი ვერ დაასრულა.

დოჰას ტურნირი პირველია, რომელშიც პირველად ითამაშებს რეიტინგის ლიდერის რანგში **ვიქტორია აზარენკა**. ბელარუსისთვის მიმდინარე სეზონი საუკეთესო უნდა იყოს კარიერაში. მან უკვე მოასწრო სიდნეის ტურნირისა და ავსტრალიის ღია პირველობის მოგება. წელს მის ანგარიშზეა მოგებები **იანკოვიჩის, ბარტოლის, რადვანსკას, ნა ლის, კლაისტერსისა** და **შარაპოვას** წინააღმდეგ.

დოჰაში ვიხილავთ აწ უკვე ყოფილ პირველ ჩოგანს კაროლინ ვოზნიაცკის. ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩავარდნის შემდეგ დანიელი გამოემშვიდობა თავის მწვრთნელს და ახლა ხმამაღლა აცხადებს, რომ სხვის დაუხმარებლად შეუძლია წარმატების მოპოვება.

შეუძლია ფავორიტებს პრობლემები შეუქმნას აგნიეშკა რადვანსკამ, რომელმაც ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან წააგო. ამის შემდეგ პოლონელმა ფედერაციის თასზე ორივე მატჩი მოიგო, მაგრამ ამან მის გუნდს წინსვლაში ვერ უშველა.

### XX Copa BBVA Colsanitas

ბოგოტა (კოლუმბია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**მონაწილეები:** *მარინა ერაკოვიჩი, ელენა დოკიჩი, რომინა ოპრანდი, ხისელა დულკო, ალექსანდრა დულგერუ...*

ბოგოტას ტურნირის მოქმედი ჩემპიონია **ლურდეს დომინგეს ლინო**. ესპანელი კოლუმბიაში ტიტულის დასაცავად ჩავიდა. პირველ ნომრად კი **მარინა ერაკოვიჩია** განთესილი, თუმცა ის წელს კარგი თამაშით ვერ დაიკვეხნის: ორი ტურნირის (ოკლენდი, ჰობარტი) პირველ წრეში გამოვარდა, ავსტრალიის ღიაზე კი მეორე წრეში წააგო **კრისტინა მაკჰეილთან**.

## ATP

### SAP Open

სან ხოსე (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**მონაწილეები:** *გაელ მონფილსი, ენდი როდიკი, მილოშ რაონიჩი, კევინ ანდერსონი, რადეკ შტეპანეკი, სემ კუერი...*

განთესვის პირველი ნომერია **გაელ მონფილსი**, რომელიც შარშან ნახევარფინალისტი იყო. წელს ფრანგმა ერთი ტურნირის ფინალში მოასწრო თამაში - მონპელიეში გადამწყვეტი მატჩი წააგო **ტომაშ ბერდიხთან**.

ბოლოდროინდელი ტრავმების გამო რთულია მონფილსის სათამაშო ფორმის წინასწარმეტყველება. იგივე ითქმის ამერიკელ **ენდი როდიკზე**, ვისაც სან ხოსეში სამჯერ გაუმარჯვია.

ტურნირის მოქმედი ჩემპიონია **მილოშ რაონიჩი**. სწორედ აქ მოიპოვა მან კარიერაში პირველი ტიტული, როცა ფინალში **ფერნანდო ვერდასკო** დაამარცხა.

### ABN AMRO World Tennis

როტერდამი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 500 000 ევრო

**მონაწილეები:** *როჯერ ფედერერი, ტომაშ ბერდიხი, ხუან მარტინ დელ პოტრო, ალექსანდრ დოლგოპოლოვი, რიშარ გასკე...*

მოქმედი ჩემპიონი წელს როტერდამში არ ითამაშებს - **რობინ სიოდერლინგი** კვლავაც მონონუკლეოზის დაავადებას მკურნალობს. ტრიუმფალური 2005 წლის შემდეგ, აქ პირველად ვიხილავთ ლეგენდარულ **როჯერ ფედერერს**. შვეიცარიელი მეშვიდედ ცდის აქ ბედს და კარიერაში 71-ე ტიტულს უმიზნებს.

ასევე მეშვიდედ ითამაშებს როტერდამში ტომაშ ბერდიხი, რომელმაც კარგად დაიწყო ეს სეზონი: ავსტრალიის ღიაზე მეოთხედფინალამდე მიაღწია და მონპელიეში მთავარი პრიზი მოიპოვა.

დებიუტანტის რანგში ჩავიდა ჰოლანდიაში არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**.


ვიქტორია აზარენკა

### Brasil Open

სან პაულუ (ბრაზილია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 475 000 დოლარი

**მონაწილეები:** *ჟილ სიმონი, ფერნანდო ვერდასკო, ხუან იგნასიო ჩელა, ტომი რობრედო, დავიდ ნალბანდიანი...*

ეს არის არგენტინელი **ხუან იგნასიო ჩელას** საყვარელი ტურნირი - არგენტინელი აქ მერვედ ითამაშებს, თუმცა ნახევარფინალზე შორს არასოდეს წასულა.

ადგილობრივი პუბლიკის მთავარი იმედია **ტომაშ ბელუჩი**, რომელიც 2009 წელს იყო ფინალში, მაგრამ წააგო **ტომი რობრედოსთან**.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სიბირი-ტორპედო | 1:0 |
| სილკებორგი-რანდერსი | 4:2 |
| ასტრა-სლავია | 0:1 |
| სპარტა-ბისტრიცა | 2:1 |
| ლიმერიკი-სლიგო | 2:3 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ჯილინგემი-საუთენდი | 1:2 |
| **იტალია** | |
| ნაპოლი-კიევო | 2:0 |
| სიენა-რომა | 1:0 |
| **სერია C1/A** | |
| ბენევენტო-ტერნანა | 0:2 |
| **ესპანეთი** | |
| სოსიედადი-სევილია | 2:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-აინტრახტი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონაკო-ბასტია | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ვოლენდამი | 1:2 |
| ვილემი-ჰელმონდი | 3:3 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ჟილ ვისენტე | 0:2 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| საძარია-ახისარი | 1:3 |

| კვიპროსი | |
|---|---|
| ომონია-არისი | 1:5 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (ფ-თ) | 4:1 |
| **ჰოკეი** | |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-სლავია | 3:4 (ო) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. როტერდამი** | |
| ჩიპოლა-გასკე | 3:6, 6:1, 1:6 |
| ფ. ლოპესი-მატიო | 6:4, 6:7, 4:6 |
| ლუბიჩიჩი-ჰუტა გალუნგი | 6:7, 3:6 |
| **ATP. სან პაულუ** | |
| ჟილი-**მარტი** | 2:6, 4:6 |
| მონტანიესი-**ვოლანდრი** | 2:6, 3:6 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| მაირი-**არუაბარენა** | 1:6, 6:3, 6:7 |
| იოჰანსონი-**სავინიხი** | 6:7, 6:3, 5:7 |
| **დუკე მარინო**-ლუჟანსკა | 3:6, 6:4, 7:5 |
| **WTA. დოჰა** | |
| **პენგი**-ალ ნაბანი | 6:0, 7:5 |
| ლალამი-**პეერი** | 0:6, 0:6 |
| **კ. ბონდარენკო**-დუშევინა | 7:5, 6:2 |
| პავლიუჩენკოვა-**პერვაკი** | 6:1, 2:6, 3:6 |
| **პირონკოვა**-ჰერცოგი | 6:0, 6:4 |
| **ივანოვიჩი**-სურაეს ნავარო | 6:1, 6:1 |
| **კეოტავონგი**-პაჩეკი | 7:6, 7:6 |
| **ბარტელი**-გარსია | 7:6, 7:6 |
| **მაკჰეილი**-სხეპერსი | 6:4, 6:3 |
| ვოზნიაკი-**ლეპჩენკო** | 3:6, 3:6 |
| **კუზნეცოვა**-მარტინეს სანჩესი | 7:5, 6:3 |
| ვესნინა-**ნიკულესკუ** | 1:6, 0:6 |

## TV პროგრამა

**14 თებერვალი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. სიენა-რომა.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-კიევო.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-კაენი.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-მილანი.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-ჩეზენა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილოუკი-მაიამი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ჰერაკლესი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. II ტური. საფრანგეთი-ირლანდია.
**18:45** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**21:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**22:00** NBA Action.
**22:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილოუკი-მაიამი.
**00:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ს ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
**11:40** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ლეიკერსი.
**15:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. II ტური. იტალია-ინგლისი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-სტ. ეტიენი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-კლივლენდი.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ს ტური. მონპელიე. საფრანგეთი.

## ამბები

**ფორმულა 1**

### HRT-მ ტესტპილოტი დაასახელა

ახალ სეზონში ესპანური HRT-ის ტესტპილოტი გახდება ესპანელი **დანი კლოსი**. 23 წლის ბარსელონელი გუნდთან ერთად იმოგზაურებს მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა ეტაპზე და პერიოდულად მონაწილეობას მიიღებს პარასკევის სატესტო სერიებში.

შეგახსენებთ, რომ წელს HRT-ის საპრიზო პილოტები იქნებიან 40 წლის ესპანელი **პედრო დე ლა როსა** და 35 წლის ინდოელი **ნარაიან კართიკეიანი**.

**ოლიმპიზმი**

### ტოკიო ბრძოლას იწყებს

იაპონიის დედაქალაქმა ტოკიომ ოფიციალურად გააფორმა 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე განაცხადი. საგანაცხადო წიგნი უკვე გაგზავნილია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. იაპონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ცუნეკაძუ ტაკედამ** აღნიშნა, რომ ასეთი დიდი სპორტული ფორუმის მასპინძლობა მისი ქვეყნისთვის უდიდესი მოვლენა იქნება.

შეგახსენებთ, რომ იაპონია პრეტენზიას აცხადებდა 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უპირატესობა რიო-დე-ჟანეიროს მიანიჭა. ტოკიოს გარდა, 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობას უმიზნებენ - რომი, მადრიდი, სტამბოლი, დოჰა და ბაქო.

**ჩოგბურთი**

### კორდას გოლფისტი ქალიშვილი

ცნობილი ჩეხი ჩოგბურთელის **პეტრ კორდას** ქალიშვილი - **ჯესიკა კორდა** გოლფში ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული გახდა. ეს მისი პირველი გამარჯვებაა პროფესიულ დონეზე. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 1.1 მილიონ დოლარს შეადგენდა.

პეტრ კორდა „დიდი სლემის" ტურნირის გამარჯვებულია - 1998 წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. მაშინ მან ფინალში ჩილელი **მარსელო რიოსი** 6:2, 6:2, 6:2 დაამარცხა. ასევე კორდას მოგებული აქვს ავსტრალიის ღია წყვილთა თანრიგში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ივიცას პირველი ტიტული



რიში ტიტულს უნდა გამოეთხოვოს

სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის გათამაშება ანდორასა და რუსეთში გაგრძელდა.

ქალები კურორტ სოლდეუ-გრანდვალირაში შეიკრიბნენ. აქ ქულათა მარაგის შევსების ნაკლები იმედი ჰქონდა მსოფლიოს თასის მფლობელ **ლინდსი ვონს**, რადგან ანდორაში არაჩქაროსნულ დისციპლინებში თამაშდებოდა პირველობა. მართლაც, შაბათს ამერიკელმა ვერ დაასრულა სლალომის დისციპლინა, კვირას კი გიგანტურ სლალომში მერვე ადგილი დაიკავა. ამან მის კონკურენტებს საერთო ჩათვლაში ჩამორჩენის ოდნავ შემცირების საშუალება მისცა.

გიგანტური სლალომი 22 წლის ფრანგმა **ტესა ვორლიმ** მოიგო. მან ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა ამ დისციპლინაში, სულ კი კარიერაში მსოფლიოს თასზე შვიდი მოგება დაუგროვდა.

ვორლიმ პირველი ცდის შემდეგ სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. მეორე ცდაზე ის ლიდერის რანგში ბოლო ეშვებოდა. ამიტომაც არ გარისკა, კარგად გააკონტროლა თავისი დრო და საბოლოოდ, 16 მეასედი წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ **ტინა მაზეს**.

ეს უკანასკნელი გენერალურ კლასიფიკაციაში ვონის უახლოესი მდევარია და ანდორას ეტაპის შემდეგ 400 ქულამდე დაიყვანა ამერიკელთან ჩამორჩენა. სლოვენიელი პოდიუმის მეორე საფეხურზე ბრწყინვალე მეორე ცდის წყალობით ავიდა - მაზეს მეორე დაშვებისას საუკეთესო დრო ჰქონდა.

პოდიუმის მესამე საფეხურზე მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი - გერმანელი **მარია რიში** ვიხილეთ. თუმცა ის ძალიან ბევრს - 500 ქულაზე მეტს აგებს საერთო ჩათვლაში ლინდსი ვონთან და სავარაუდოდ, წელს უნდა გამოეთხოვოს ტიტულს.

■ ■ ■

მამაკაცებმა ზამთრის მომავალი ოლიმპიადის მასპინძლის - სოჭის ოლიმპიური ტრასა გამოსცადეს. აქ ისტორიაში პირველად გაიმართა მსოფლიოს თასის ეტაპი.

ბევრისთვის სოჭის ეტაპი საკმაოდ რთული აღმოჩნდა და მოთხილამურეების გარკვეულმა ნაწილმა უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, მომავლისთვის ტრასის გადაკეთება მოითხოვა.

სოჭში პირველობა გათამაშდა სუპერკომბინაციაში. ეს იყო ამ სეზონში აღნიშნულ დისციპლინაში ბოლო სტარტი და შესაბამისად, მცირე ბროლის გლობუსის მფლობელი ირკვეოდა.

პრეტენდენტი ორი იყო - ხორვატი **ივიცა კოსტელიჩი** და შვეიცარიელი **ბიტ ფოიზი**. როგორც მოსალოდნელი იყო, ეტაპზე პირველობა სწორედ ამ მოთხილამურეებმა გაითამაშეს.

სუპერკომბინაციის პირველ სახეობაში - სწრაფდაშვებაში ფოიზმა წამნახევარზე მეტი მოუგო ხორვატს, მაგრამ წინ იყო სლალომი, სადაც ხორვატს წელს ბადალი არ ჰყავს. კოსტელიჩმა არა მარტო გააბათილა სწრაფდაშვებაში წაგებული დრო, არამედ საერთო ჯამში წამი და 16 მეასედით აჯობა შვეიცარიელს. ივიცამ მოიგო ეტაპი და მასთან ერთად მსოფლიოს თასი სუპერკომბინაციაში. კოსტელიჩი გენერალურ კლასიფიკაციასაც ლიდერობს, სადაც 70 ქულით უგებს იმავე ფოიზს.

ავტოსპორტი. რალი

# ლატვალამ შვედეთი შეინარჩუნა


იარი-მატი ლატვალა

შვედეთში დასრულდა კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი. სამდღიანი რალი „ფორდის“ მანქანების ტრიუმფით აღინიშნა - პირველი ხუთი ადგილიდან ოთხი „ფორდის“ პილოტებს ერგო. მათ შორის საუკეთესო აღმოჩნდა ფინელი **იარი-მატი ლატვალა**, რომელმაც საბოლოოდ ზედიზედ მეორედ მოიგო შვედეთის რალი.

ბოლო დღის წინ, ლატვალას კომფორტული 23-წამიანი უპირატესობა ჰქონდა უახლოეს მდევარ **მიკო ჰირვონენთან**, რომელიც ამ სეზონში „სიტროენის“ მანქანით გამოდის.

პირველ ორ სპეცმონაკვეთზე ლატვალამ, ფაქტობრივად გაანადგურა ჰირვონენი და ამით თავისი უპირატესობა 35 წამამდე გაზარდა. თითქოს გამარჯვებისთვის ბრძოლის ინტრიგა საბოლოოდ დაიკარგა, მაგრამ მესამე სპეცმონაკვეთზე ლატვალას სერიოზული პრობლემები შეექმნა – მას საბურავი გაუსკდა და ამის გამო ბევრი დრო დაკარგა.

ბოლოსწინა სპეცმონაკვეთზე, რომლის სიგრძე 23 კილომეტრი იყო, ჰირვონენმა 8-წამიანი ჩამორჩენის გაბათილების შანსი მიიღო. მაგრამ სასწაული არ მოხდა. ლატვალამ დამაჯერებლად მოიგო ბოლო სპეცმონაკვეთი და ეტაპი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

რაც შეეხება სებასტიან ლოებს, მას თითქმის მთელი ეტაპის განმავლობაში მექანიკური პრობლემები ჰქონდა და საბოლოოდ, მეექვსე ადგილი დაიკავა, თუმცა შეინარჩუნა ლიდერობა საერთო ჩათვლაში. ის 10 ქულით უსწრებს ესპანელ **დანი სორდოს**.

შემდეგი ეტაპი მარტში მექსიკაში გაიმართება.

ფორმულა 1

# სენა პრიზებს აგროვებს


სენას შემქმნელები

ლეგენდარულ ბრაზილიელ პილოტზე **აირტონ სენაზე** შექმნილმა ფილმმა - „სენამ“ BAFTA-ის დაჯილდოების ცერემონიაზე ორი პრიზი მოიგო. BAFTA ამერიკული „ოსკარის“ ბრიტანულ ანალოგად მიიჩნევა. „სენა“ საუკეთესოდ აღიარეს დოკუმენტური კინოს ნომინაციაში, მან აგრეთვე პრიზი მიიღო საუკეთესო მონტაჟისთვის.

*„გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ სენას ოჯახს ჩვენ მიმართ გამოხატული ნდობის გამო,* - განაცხადა სცენარის ავტორმა **მანიშ პანდიმ**. - *როცა თქვენი შვილი ასეთ გარემოებებში იღუპება, შემდეგ კი მოდიან ვილაცები და ამბობენ: „გვინდა ამ ისტორიის მოყოლა“, ასეთ დროს დიდი მამაცობაა საჭირო, რომ ამ უცნობ ადამიანებს თანხმობა უთხრა“.*

*„ჩვენ ამ ფილმს სიყვარულით ვაკეთებდით და ყველაფერი, რაც სანაცვლოდ მივიღეთ - ასევე სიყვარული და მაყურებლის მხრიდან აღიარება. კომერცია საერთოდ არ განიხილებოდა - არასოდეს გამომიყენებია ეს ცინიკური სიტყვა“,* - ეს ფილმის პროდიუსერის **ერიკ ფელნერის** სიტყვებია.

დავამატებთ, რომ 2011 წელს „სენამ“ ამერიკაშიც და ევროპაშიც არაერთი კინოპრემია მიიღო. ამ მომენტისთვის მანიშ პანდი მუშაობს მხატვრულ ფილმზე, რომელიც ბრიტანელ პილოტებს - **მაიკლ ჰოტორნსა** და **პიტერ კოლინზს** ეძღვნება. ისინი ფორმულა 1-ში 50-იან წლებში გამოდიოდნენ და მათ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ **ენცო ფერარისთან**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

„ლელო“ მკითხველის ვერსიით
საქართველოს 2011 წლის
რჩეული სპორტსმენი

**წლეულს** პირველად „ლელო“ ატარებს მკითხველთა გამოკითხვას 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. დღეიდან საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს.

**მკითხველის რჩეული გამოვლინდება საერთო ხმების შეჯამებით**

მოცემულ ბარათზე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი კანდიდატებიდან გთხოვთ, შეარჩიოთ მხოლოდ ერთი საუკეთესო სპორტსმენი, შემოხაზოთ შესაბამისი ნომერი, ამოჭრათ ბარათი და „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

*ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხი ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე:* ***2 19 60 53****, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 11-დან 18 საათამდე).*

**გამოკითხვა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება**

1. **აბუთიძე ალექსი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III; ევროპა-III
2. **ბასილაია დიმიტრი** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
3. **ბახტაძე მიხეილ** - კრივი: ევროპა-III
4. **ბოდაველი მინდია** - სამბო: ევროპა-II
5. **გაბრავა ვილენ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III
6. **გამთენაძე ირაკლი** - მკლავჭიდი: ევროპა-II
7. **გორგოძე მამუკა** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
8. **გორელაშვილი შოთა** - კარატე: ევროპა-II
9. **დაუთაშვილი ვასილ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-II; ევროპა-III
10. **ესებუა ქრისტინე** - მშვილდოსნობა: მსოფლიო-II
11. **ვეკუა ჰენრი** - კარატე: ევროპა-I
12. **კვაჭატაძე ზაალ** - კრივი: ევროპა-III
13. **კვიკვინია გენადი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-I; ევროპა-II და II
14. **კალაძე კახა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
15. **კობიაშვილი ლევან** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
16. **კაშია გურამი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
17. **კუზანაშვილი უშანგი** - სამბო: მსოფლიო-II; ევროპა-I
18. **კუცია ნიკო** - სამბო: მსოფლიო-III; ევროპა-III
19. **ლავერაშვილი თეონა** - კიკბოქსინგი: მსოფლიო-II
20. **ლაშხი რევაზ** - ბ/რ ჭიდაობა: ევროპა-I
21. **ლიპარტელიანი ვარლამ** - ძიუდო: ევროპა-III
22. **ლორიაშვილი დავით** – სამბო: მსოფლიო-III
23. **მამულაშვილი კახა** - სამბო: ევროპა-II
24. **მარსაგიშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-II;
    მსოფლიო ახალგაზრდებში-I; ევროპა ახალგაზრდებში-I
25. **მაჭავარიანი გია** - ძალოსნობა: ევროპა-II
26. **ოქრუაშვილი ადამ** - სუმო: ევროპა-III (აბსოლუტურში);
    ქართ/ჭიდაობა: საქართველოს სამგზის ფალავანი
27. **ოძელაშვილი ნინო** - სამბო: მსოფლიო-III
28. **პავლიაშვილი მირიან** - სამბო: ევროპა-III
29. **ჟორჟოლიანი ლომერ** - ძიუდო: ევროპა-II; სამბო: მსოფლიო-II
30. **სალუქვაძე ნინო** - ტყვ. სროლა: მსოფლიოს სუპერთასი-II
31. **სანიკიძე ვიქტორ** - კალათბურთი: პოპულარობის ინდექსით
32. **ფაჩულია ზაზა** - პოპულარობის ინდექსით
33. **შუკვანი ბეთქილ** - ძიუდო: ევროპა-II
34. **ცერცვაძე ავთანდილ** - სუმო: ევროპა-III
35. **ცინცაძე ავთანდილ** - სამბო: მსოფლიოს ჩემპიონატი-I
36. **ცირეკიძე ირაკლი** - ძიუდო: მსოფლიოს ჩემპიონატი III; ევროპა-III
37. **ცხადაია მანუჩარ** - ბ/რ ჭიდაობა: მსოფლიო-II
38. **ხინჩეგაშვილი ვლადიმერ** - თ/ჭიდაობა: ევროპა-II;
    ევროპა (ახალგაზრ დებში)-I; მსოფლიო ახალგაზრდებში-I
39. **ხოსიტაშვილი ჯაბა** - კრივი: ევროპა-III
40. **ხუციშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-III

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, ვინც 2011 წელს გახდნენ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულები პრიზიორები, ან ორივე ერთად.*

*საუკეთესო სპორტსმენს „ლელოს“ სპეციალური პრიზი გადაეცემა.*